ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებამდე 21 დღე დარჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტორატი

## ასეთია მათი აზრი

**1. როგორ აფასებთ ედუარდ შევარდნაძის მოღვაწეობას საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე?**
**2. ფიქრობთ თუ არა, რომ მისი კანდიდატურა უალტერნატივოა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში, და თუ ასე გგონიათ, რატომ?**

**ჩვენს ტრადიციულ შეკითხვებს უპასუხებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მთარგმნელი დალი ფანჯიკიძე:**

1. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად სამი ფაქტორის გააზრება დაგვჭირდება. პირველი, – რა არის საქართველოსათვის ყველაზე მთავარი განვითარების დღევანდელ ეტაპზე; მეორე, – რას ნიშნავს სახელმწიფოებრივი აზროვნება; მესამე, – აქვს თუ არა პრეზიდენტის მოღვაწეობას ისტორიული მნიშვნელობა.

საღღეისოდ ჩვენი ქვეყნისათვის, უამრავი მოუგვარებელი საშინაო პრობლემისა და დაკარგული მიწების მიუხედავად, მთავარი მიზანი მაინც მსოფლიოს რუკაზე დამკვიდრებაა; ხოლო ის, ვინც უპირველესად აქეთკენ მიმართავს თავის ძალისხმევას, სახელმწიფოებრივად, მასშტაბურად აზროვნებს და მისი მოღვაწეობის შეფასება მხოლოდ ისტორიულ ასპექტში შეიძლება.

2. ზოგს ტრაგედიად მიაჩნია ედუარდ შევარდნაძის უალტერნატივობა. ჩემი აზრით, მსგავსი შეფასებები ემოციის სფეროს ვერ სცილდება და ქართული პოლიტიკური აზროვნების არცთუ მაღალი დონის მიმნიშნებელია; თუკი ქვეყნისათვის უპირველესი მიზანი სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაა, მაშინ ნუ შეგვეშინდება ვაღიაროთ, რომ ამ საქმის დაგვირგვინებას ახლანდელ პრეზიდენტზე უკეთ ვერავინ შეძლებს და მისი კანდიდატურა სწორედ ამიტომ მიმაჩნია უალტერნატივოდ.

არჩევნები

## ბუმერანგივით უკან დაუბრუნდებათ...

ჩვენ, ამომრჩევლები, ამ პატარა საქართველოში ყველა პოლიტიკურ მოღვაწეს ვიცნობთ, ვიცით, ვინ ვინ არის. მით უფრო კარგად ვიცნობთ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატებს, რომლებსაც არჩევნების წინ მოეთხოვებათ, ამომრჩევლებს ტელევიზიისა და პრესის მეშვეობით, აგრეთვე, მიტინგებსა და შეკრებებზე ეთიკური და ცივილური ქცევის ნორმების დაცვით გველაპარაკონ, გველაპარაკონ მხოლოდ თავიანთი საპრეზიდენტო პროგრამების თაობაზე, თანაც ისე რომ, მოცილეს ღირსებას არ შეეხონ. სამწუხაროდ, ამის მიუხედავად პრეზიდენტობის ზოგიერთი კანდიდატი და მათი ქომაგები მიმართავენ ბინძურ ხერხებს, უკადრებელს კადრულობენ, ცილს სწამებენ დღევანდელ პრეზიდენტსა და ხვალინდელ პრეზიდენტობის კანდიდატს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს.

თვალში ნაცრის შეყრით, ალვირახსნილი როხროხით, მონაჩმახებით აქამდე ხელმოცარული, პარტიიდან პარტიაში, ბლოკიდან ბლოკში მოხეტიალე ვაი-

იხ. მე-2 გვ.

**ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:**
**http://www.opentext.org.ge/sakartvelos-respublika**

**საქართველო მსოფლიო გლობალურ გარემოში** გვ. 3.

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №74-75 (3475) კვირა-ორშაბათი. 19-20 მარტი, 2000 წელი. ფასი შეთანხმებით.

პარლამენტის თავმჯდომარე

## ზურაბ ჟვანია დუშეთის რაიონს ესტუმრა

**ედუარდ შევარდნაძის წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტის საარჩევნო შტაბის უფროსი, პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია შაბათს დუშეთის რაიონს ესტუმრა.**

როგორც პრაიმ-ნიუსის სპეციალური კორესპონდენტი დუშეთიდან იტყობინება, ჟვანიამ დუშეთის რაიონული ამბულატორია და საავადმყოფო მოინახულა, რომელთა კოლექტივებსაც ქირურგიული ინსტრუმენტები, სასუნთქი აპარატურა და სხვადასხვა სამედიცინო მოწყობილობები გადასცა. გადაცემის ცერემონიას დაესწრნენ პრეზიდენტის რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის მხარეში კობა ბუჩუკური და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ამირან გამყრელიძე.

როგორც პრაიმ-ნიუსს მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სამედიცინო სამსახურის დირექტორმა ქეთევან ლორიამ უთხრა, რაიონულ საავადმყოფოს კონტაქტები აქვს ამერიკელ პარტნიორებთან და უახლოეს მომავალში აქაური ექიმები სტაჟირებს აშშ-ში გაივლიან.

მისი თქმით, ერთი თვის წინ ჟურამაყარში სამედიცინო ამბულატორია გაიხსნა, სადაც ახალგაზრდა სპეციალისტები დასაქმდნენ.

მარათონი – 2000

## „ჩვენ დავძლევთ სიღარიბეს და 4-5 წელიწადში აყვავებულ ქვეყანაში ვიცხოვრებთ“

**„თქვენ იქნებით საქართველოს პრეზიდენტი, ვიდრე საქართველოს აყვავებულსა და ძლიერს არ ჩაგვაბარებთ... ჩვენ გვჭირდება თქვენი პრეზიდენტობა,“ – ამ სიტყვებით შეეგება გორის მოსახლეობა 18 მარტს მათთან სტუმრად ჩასულ საქართველოს პრეზიდენტს.**

ედუარდ შევარდნაძის შიდა ქართლში ვიზიტი სოფელ ვარიანში გიორგი კანდელაკის მიერ დაარსებულ მოკრივეთა კლუბის „ჩემპიონის“ მონახულებით დაიწყო, სადაც ქვეყნის მეთაურმა მსოფლიო ჩემპიონისაგან საჩუქარი – მოკრივის ხელთათმანი მიიღო.

კლუბ „ჩემპიონის“ ჩანაწერების წიგნში პირველი შთაბეჭდილებაც გაჩნდა. „გიორგი კანდელაკის სკოლა არ შეიძლება ადამიანმა აუღელვებლად მოინახულოს. ასეთი ადამიანები ქმნიან საქართველოს მომავალს. პირადად გიორგის გულწრფელ მადლობას მოვახსენებ როგორც პრეზიდენტი იმისათვის, რომ მან საქართველოს სახელი გაუთქვა. ედუარდ შევარდნაძე.“

1992 წელს ჩაფიქრებული იდეა გიორგი კანდელაკმა უკვე მსოფლიო ჩემპიონის რანგში განახორციელა და თავის მშობლიურ მხარეს უანგარო საჩუქარი – სპორტული კლუბი „ჩემპიონი“ უსახსოვრა. კლუბში დღეისათვის სამასამდე ბავშვი უსასყიდლოდ ეუფლება კრივს.

„ეს ისტორიული საქმეა, – იტყვის მოგვიანებით საქართველოს პრეზიდენტი შიდა ქართლის საზოგადოებრიობასთან შეხვედრისას, – ქვეყნის პატრიოტებმა საფუძველი ჩაუყარეს დიდ მოძრაობას – ქართული სპორტის აღორძინების საქმეს. ეს კლუბი ახალი სახელმწიფოს ნაყოფია. დღეს მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი სკოლის მონახულებისას მოვიხიბლე გარეჯული, ჯანმრთელი ბავშვებით, მომავალი მოკრივეებით. გიორგი კანდელაკმა მოკრივის ხელთათმანი მაჩუქა. ალბათ, ელოდებით, რომ დავიწყებ ვარჯიშს ჩემი ოპონენტების დასამარცხებლად, – ხუმრობით განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა, – მაგრამ ხელთათმანი ამ საქმეში არ დამჭირდება, ამ საჩუქარს სხვა საქმეში გამოვიყენებ – კრივის ხელთათმანებით იმ მინისტრებს მოვუვლი, ვინც თავის მოვალეობას კარგად ვერ გაართმევს თავს.“

ვარიანში სტუმრობისას საქართველოს პრეზიდენტი ეწვია იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმს, სადაც ჩვენი ერის სახიქადულო მოღვაწის მემორიალის მაკეტი მოინახულა. როგორც შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა ირაკლი ბოჭორიძემ განაცხადა, იაკობ გოგებაშვილის ძეგლი გორში იაკობობას, ოქტომბრის თვეში დაიდგმება. „უნდა ვიზრუნოთ, რომ ამ ერისკაცის ძეგლი თბილისშიც დაიდგას, – განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა, –

იხ. მე-2 გვ.



დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 16 მარტი ქ. თბილისი

**ჯ. გაბელიას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის, მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი **ჯემალ გაბელია** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 16 მარტი ქ. თბილისი

**ო. გვიჩიას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს გამოჩენილი მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და სამხედრო ფორმირებებისა და ჰოსპიტლებისათვის გაწეული დახმარებისათვის საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი **ოთარ გვიჩია** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

სახელმწიფო მინისტრი

## ვაჟა ლორთქიფანიძე მოსახლეობას შეხვდება

**საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე, თანმხლებ პირებთან ერთად, შაბათს სამეგრელოში გაემგზავრა.** დელეგაციის შემადგენლობაშია სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ვალერი ვაშაკიძე და შპს „მარტინ ბაუერის“ გენერალური დირექტორი შალვა ცეცხლაძე. სამეგრელოს ქალაქებსა და სოფლებში დაგეგმილია მოსახლეობასთან შეხვედრები. სახელმწიფო მინისტრი თბილისში კვირას დაბრუნდება.

გვეხმაურებიან

## მისი ხმა ერთიანი საქართველოს ძახილია

**საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად მატულობს მოსახლეობაში ამ საგანზე გამართული მსჯელობის ორომტრიალი, რომელიც გაზეთების ფურცლებზეც გადმოდის.**

ბუნებრივია, რომ შეხედულებათა და მოსაზრებათა სხვადასხვაობის ჭიდილში ზოგიერთი მათგანი მისაღებად გვეჩვენება, ზოგიც – მიუღებლად. თავს ნებას მივცემ მკითხველს გავუზიარო ჩემი მოკრძალებული შეფასება „საქართველოს რესპუბლიკის“ 10 მარტის ნომერში ჩხოროწყუს ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარის, საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის ვარლამ როდონაიას წერილზე „ამგვარი ფიქრიც კი ღალატია“. იგი გამორჩეულად, გონივრულად და სამართლიანად, ანუ სწორად ჩამოყალიბებულად მომეჩვენა. წერილის ავტორს პირადად არ ვიცნობ. თუმცა, როგორც ვარკვევ, ჩემი, უხმაურო შრომას დამეგობრებული ადამიანი უნდა იყოს, ახლა შრომის ვეტერანია, ვეტერანებს ხელმძღვანელობს თავის რაიონში რაც მთავარია დამსახურებული მასწავლებლის წოდებაც ჰქონია, მოღვაწეობს დედაქალაქიდან საკმაოდ შორს, ჩხოროწყუს რაიონში. იქიდან შემოგვაშველა თავისი პატრიოტული ხმა და ეს ხმა ერთიანი, მთლიანი საქართველოს ძახილია!

მასწავლებელი უპირველესთა შორის უპირველესი ადამიანია ყოველგვარ საზოგადოებაში და ყოველ ეპოქაში. ამ პროფესიის მფლობელთა სიმრავლე – ზოგ წარსულ ეპოქაში ფაქტობრივად მხოლოდ ერთეულები, შესაბამისად საზოგადოების განვითარების ტემპს განსაზღვრავს. რამდენადაც საქმეს ვიცნობ, მასწავლებელთა რაოდენობა საქართველოში არ გვაკლია, მათ შორის დამსახურებულნიც გეგმაზომიერად გვემატებიან და ეს გასამხნევებლად მიმაჩნია არა იმიტომ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ედუარდ შევარდნაძის მხარდამჭერთა რიცხვის ზრდას მოწმობს. უამისოდაც მწამს, რომ საქართველო, თავის მთლიანობაში, ისეთ შეცდომას არ დაუშვებს, რომ დაჰკარგოს უმეტესი მანძი მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოთა შემადგენლობაში თავისი ადგილის დამკვიდრებისა, ოღონდ, აუცილებელია ვითვალისწინებდეთ მეტს: ამჟამინდელი სირთულეები გარდამავალია და ნუ შეგვაკრთობს, როცა ისინი საბოლოოდ დაიძლევა, მჯერა, ქვეყნის განვითარება უფრო აჩქარებული ტემპით დაიწყება. ვეთანხმები ვარლამ როდონაიას და ყველას, ვინც თვლის, რომ ბატონ ედუარდ შევარდნაძეზე რეალური და უცილობლივ საჭირო კანდიდატურა დღეს არც პრეზიდენტობის მაძიებელთა რიგებშია და არც მთელს საქართველოში.

ევგენი ხარაძე.

გიხაროდენ!

## სიმრავლე შვილთა...



გაზეთ „ოკრიბის“ რედაქტორმა გივი გეწაძემ ტყიბულიდან გვამცნო:

– მარიამი, საბა, დავითი, მიხეილი! – ამ დღეებში ასეთი სახელებით გაატარა რეგისტრაციაში XXI საუკუნის მოქალაქეები სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილების გამგემ დარეჯან ბექტურაშვილმა. სახელის დარქმევა არ არის უბრალო საქმე. სასურველია, იგი მოხდენილი და პოპულარულიც იყოს. სახელების შერჩევაში მშობლებს რეგისტრაციის განყოფილებაც ეხმარება. ბავშვების მშობლებიც ითვალისწინებენ მათ რჩევას. ამის გამო მადლიერება გამოხატეს მარიამის, საბას, დავითისა და მიხეილის დედებმა ცირა ცნობილაძემ, ინგა მიქიაშვილმა, ნათია შეყილაძემ და ეკა სულამანიძემ.

ორ თვეში ტყიბულის სამშობიარო სახლში 23 ბავშვი დაიბადა, მათზე უმალ გაიცა დაბადების მოწმობები. ქალაქში შესამჩნევად იზრდება ახალდაქორწინებულთა რიცხვი, დაე გაიხარონ ახალშობილთა მოვლენით მათმა ოჯახებმა.

**ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.**

გამარჯობათ!

## ჯერ დოლარები ჩაიჯიბა, შემდეგ თავისი აფხაზობა გაიხსენა

კარგია, როცა ყველაფერი კარგად მთავრდება.

მადლობა ღმერთს, გასარკვევი გაირკვა: რუსეთის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ვლადიმერ პუტინმა, რომელსაც კირკიტა ჟურნალისტებმა კინაღამ ჩვენთან, კასპის რაიონის სოფელ მეტეხში ამოაყოფინეს თავი დაკარგული დედისა და და-ძმების საძებნელად, თავის მშობლებს რუსეთშივე, სანქტ-პეტერბურგში „მიაკელია“.

დავაზუსტოთ: 17 მარტს **РТР** სამაუწყებლო კომპანიამ სულ წვრილ-წვრილად, „მოწმეების“ – მასწავლებლებისა და თანაკლასელების „ჩვენებათა“ საფუძველზე (თანაც „თვალსაჩინოებით“ – ფოტოსურათებით), გაგვაცნო ბატონ ვლადიმერ პუტინის ბავშვობა და ყრმობა.

იხ. მე-3 გვ.

ქორწილია, ქორწილი...

## მიყვარს და ვუყვარვარ



19 წლის მაია ხომერიკმა და 22 წლის გია დავითულიანმა ახლახან იქორწინეს სააქციო საზოგადოება თბილისის სადღესასწაულო ცენტრში. მაიკო თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია, გია ფირმა „ქიოსში“ მუშაობს.

ბედნიერებაზე უფრო მშვენიერი არა არის რა ქვეყნად, – ასე ითქვა იმ დღეს სადღესასწაულო ცენტრში. იგი ორი დიდებული სიტყვით გამოიხატება: მიყვარს და ვუყვარვარ!

რა ვუსურვოთ ამ წყვილს? როგორც საქორწინო სუფრაზე დალოცვისას ნეფე-პატარძალს უსურვებენ ხოლმე: მათ ჭერქვეშ ბინა დაედოს აკვნის ჭრიალს, ნუ მოჰკლებოდეთ ჩვილთა ღუღუნი, რწმენა და ძალა ახალი ოჯახის დაფუძნებისა.

**ასრულებოდეთ, იბედნიერონ!**

**ნათელა ფაილოძე,**
**თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.**

**ახალგაზრდებო, გვესტუმრეთ რედაქციაში ქორწინების დღეს გადაღებული ფოტოსურათებით, გელოდებით.**

**ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.**

ინფორმაცია

### სამხედრო ბაზების გაყვანაზე მოლაპარაკებები მალე დაიწყება

საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები, სავარაუდოდ, რუსეთში 26 მარტისთვის დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების დასრულების შემდეგ დაიწყება, – უთხრა პრაიმ-ნიუსს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ რევაზ ადამიამ.

გადაწყვეტილება 2001 წლის ზაფხულისთვის საქართველოდან რუსეთის ორი - ვაზიანისა და გუდაუთის ბაზების გაყვანის შესახებ, გასული წლის ნოემბერში სტამბოლში გამართულ ეუთოს სამიტზე მიიღეს. როგორც ადამიამ აღნიშნა, რუსეთმა უნდა შეასრულოს საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები.

მიმდინარე წლის დასაწყისიდან, საქართველოს ხელმძღვანელობამ არაერთგზის შესთავაზა რუსეთს სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით მოლაპარაკებების დაწყება.

### რუსეთი ჩეჩნეთიდან შეიარაღებული ძალების ჭარბ ნაწილს გაიყვანს

რუსეთის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ვლადიმერ პუტინის განცხადებით, დასასრულს უახლოვდება ჩეჩნეთში ფედერალური ძალების ფართომასშტაბიანი ოპერაცია და რესპუბლიკის ტერიტორიიდან გაიყვანენ შეიარაღებული ძალების ჭარბ ნაწილს.

რუსეთის რადიოსადგურ „მაიაკის“ ეთერში პუტინმა შაბათს განაცხადა, რომ ჩეჩნეთში მხოლოდ ჯარების აუცილებელი ნაწილი დარჩება ჩეჩნეთის მთიან ნაწილში სპეციალური ოპერაციების ჩასატარებლად.

პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ რევაზ ადამიამ იმედი გამოთქვა, რომ რუსეთი არ გადააჭარბებს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულებით ჩრდილოეთ კავკასიაში განსაზღვრულ კვოტას.

### სამშვიდობო ოპერაცია მრავალეროვნული გახდება

აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაცია მრავალეროვნული გახდება. გადაწყვეტილებას ამის შესახებ მოსკოვში 16-17 მარტს გამართულ დსთ წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა საბჭოს მორიგ სხდომაზე მოეწერა ხელი. როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობის სამმართველოს უფროსმა პაატა გაფრინდაშვილმა აცნობა, დოკუმენტის რეალიზაციაზე უახლოეს მომავალში ექსპერტები კონსულტაციებს დაიწყებენ. მისი თქმით, ოპერაციაში მონაწილეობაზე საქართველო პრიორიტეტს სუამ-ის (საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა) წევრ ქვეყნებს მიანიჭებს.

### ქუთაისში ავტობუსით მგზავრობა კვლავ 10 თეთრი ღირს

ქუთაისში ავტობუსით მგზავრობის ღირებულება კვლავ 10 თეთრი გახდა. ქალაქის მერის რამაზ მხეიძის თქმით, მგზავრობის ტარიფის შემცირება პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის განკარგულებით გამოყოფილი დიზელის საწვავის ხარჯზე გახდა შესაძლებელი. მისივე ინფორმაციით, ყოველდღიურად, თითო ავტობუსზე 30 ლიტრი დიზელის საწვავია გამოყოფილი უფასოდ, მაგრამ ეს მხოლოდ 3 თვე გაგრძელდება, შემდეგ კი ახალ სატრანსპორტო პროგრამას შეიმუშავებენ და შეეცდებიან, რომ მგზავრობის ღირებულება აღარ გაიზარდოს.

**ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.**

პროკურატურა

## ხეირი, რომელიც შარად იქცა

დიდი სამამულო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი ერთი ჩვენებური ტვინის გამოლაყებამდე ურტყამდა თავს კედელს, მაგრამ ვერა და ვერ გაიხსენა, თუ რომელი სამხედრო ნაწილიდან გადაისროლეს იგი მტრის ზურგში 6 დღის წინათ. გერმანელებმა ლამის გმირად შერაცხეს, – ისეთი მაგარია, სიტყვა ვერ დავაცდენინეთო. აბა, რა იცოდნენ, რომ იმას მეხსიერება ხავერიელად ღალატობდა და საგმიროდ საერთოდ არ ეცალა...

იხ. მე-3 გვ.

დღეს

ამინდი

დასავლეთ საქართველოში
დაბლობში: ღამით +2+7; დღისით +6+11.
მთაში: ღამით 0+5; დღისით +2+7.

აღმოსავლეთ საქართველოში
ბარში: ღამით +1+6; დღისით +7+12.
მთაში: ღამით -2+3; დღისით +2+7.

თბილისში
ცვალებადი მოღრუბლულობა. მცირე წვიმა.
ღამით +2+4; დღისით +10+12.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ფინანსები

## ლარის კურსი

*18 მარტიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:*

| | | | |
|---|---|---|---|
| გერმანული მარკა | 1 | 0.9797 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.9750 | ლარი |
| ევრო | 1 | 1.9161 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0696 | ლარი. |

გვირეკავენ, გვეკითხებიან

– „მემაცივრეთა ასოციაციის“ შექმნის თაობაზე კარგა ხანია ვიცით, მაგრამ გთხოვთ, გაგვიმარტოთ, რას წარმოადგენს ეს ასოციაცია და რა კავშირი აქვს ადამიანის ჯანმრთელობასთან.

მეგი თალაკვაძე, ნათელა ურუშაძე, დოდო ბადრიძე, თბილისი.

– საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინიციატივით თითქმის ერთი წელია, რაც „მემაცივრეთა ასოციაცია“ შეიქმნა.

ცნობილია, რომ ძველ მოდელებსა და კონდიციონერებში მაცივარაგენტებად გამოყენებულია ისეთი ნივთიერებები, რომელთა დაზიანების

იხ. მე-2 გვ.

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90, 93-28-54.**

ინტერპანორამა

**ტაივანში,** საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა 49 წლის ჩენ შუიბიანმა დემოკრატიულ პროგრესული პარტიიდან. იგი ტაივანის დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამოდის.



**უგანდის სამხრეთით,** ქალაქ კანუნგის ეკლესიაში იპოვეს ნაკლებადცნობილი სექტის „ათი მცნების“ 120 ცოცხლად დამწვარი წევრის სხეულის ნარჩენები. არ გამორიცხავენ მასობრივ რიტუალურ თვითმკვლელობას.




**წუხელ,** ყველასთვის მოულოდნელად, ვლადიმერ პუტინი სოჭში დასასვენებლად ჩავიდა. არავინ იცის, როგორ გაატარებს იგი კვირა დღეს.



უკანასკნელ საათს



**ჩუმინ** ბოევიკების ნაწილმა გაარღვია ალყა არღუნის ხეობაში და დაღესტანში გადავიდა. ფედერალური ძალები მთლიანად აკონტროლებენ სოფელ კომსომოლსკოეს. ეძებენ და ვერსად მიაგნეს საველე მეთაურს რუსლან გილაევს.

**ვლადიმერ პუტინის** წუხანდელი განცხადებით, სამხედრო ოპერაციები ჩეჩნეთში დამთავრებულია და იწყება წმენდა.

**სტავროპოლში,** ავტოსადგურში მილიციის რეიდის დროს ყარაჩაი-ჩერქეზეთის ორმა მოქალაქემ ავტომატით და გადაჭრილი თოფით მოკლა 5 და დაჭრა 1 ადამიანი.

საქართველოს რესპუბლიკა
№74-75. კვირა-ორშაბათი, 19-20 მარტი, 2000 წელი.

მარათონი — 2000

# „ჩვენ დავძლევთ სიღარიბეს და 4-5 წელიწადში აყვავებულ ქვეყანაში ვიცხოვრებთ“

(პირველი გვერდიდან)

ის ერთ-ერთი იმ მამულიშვილთაგანია, ვინც ეროვნული სული, ჩვენი ენა და თავისუფლების სურვილი შეგვინარჩუნა საქართველოსთვის უმძიმეს ჟამს.“

სოფელ ვარიანში ედუარდ შევარდნაძემ გვირგვინით შეამკო 9 თებერვლის ტერაქტის დროს დაღუპული პრეზიდენტის დაცვის წევრის დათო კოკაურის საფლავი.

შიდა ქართლში პრეზიდენტის სტუმრობა საკმაოდ დატვირთული იყო მოსახლეობასთან შეხვედრებით. პრეზიდენტმა მოისმინა მათი პრობლემები, მოსახლეობამ კი ქვეყნის მეთაურს საპრეზიდენტო არჩევნებში მხარდაჭერა აღუთქვა.

მოსახლეობასთან საუბრების შემდეგ ედუარდ შევარდნაძე ეწვია საკონსერვო ქარხანას, სააქციო საზოგადოება „გორკონს“, რომლის ამუშავებაშიც გერმანელ ინვესტორებს 60 ათასი დოლარი აქვთ ჩადებული და წელს უკვე 100 ტონა მშრალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გამოშვებას გეგმავენ. ქარხნის დირექტორმა მარინე ქიტიაშვილმა სახელმწიფოს მეთაურს გააცნო ქარხნის საწარმოო პროცესების, შიდა ბაზრის ათვისების, საექსპორტო პროდუქციის წარმოებისა და გასაღების პერსპექტივა.

გორში საქართველოს პრეზიდენტმა დაათვალიერა ანალიზური ხელსაწყოს ქარხანა, რომლის ამოქმედებითაც იტალიელი ბიზნესმენები არიან დაინტერესებული. ედუარდ შევარდნაძემ მოინახულა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველო“, რომელიც დღეისათვის ათი დასახელების შუშხუნა ღვინოებსა და შამპანურს აწარმოებს. საწარმოს ხელმძღვანელი ბორის გოგიჩაშვილი ქვეყნის ხელმძღვანელს პროდუქციის რეალიზაციის პერსპექტივის შესახებ ესაუბრა.

დღის მეორე ნახევარში გორის ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრა შიდა ქართლის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან. თათბირზე საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა ბაკურ გულუამ საზოგადოებას გააცნო ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამა, განიხილეს, აგრეთვე, გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების საკითხებიც.

ბაკურ გულუას განცხადებით, პრეზიდენტმა მოსახლეობასთან შეხვედრების უფრო რთული გზა აირჩია, რაც ეკონომიკის დარგში არსებული მიღწევების წარდგენასთან არის დაკავშირებული. „მიწის რეფორმა, მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის პრობლემა თითქმის ვერც ერთმა პოსტკომუნისტურმა ქვეყანამ ვერ დაძლია. საქართველოს კი სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამა აქვს, რაც საქართველოს პრეზიდენტისა და რეფორმებისადმი საერთაშორისო მხარდაჭერაზე მეტყველებს, — აღნიშნა სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა, — თუ ეს პროგრამები განხორციელდა, 2-3 წელიწადში აგრარული სექტორი აღდგება, ხოლო 2010 წლისათვის სხვა განვითარებად ქვეყნებს გაუწევს დახმარებას.“

პრეზიდენტის რწმუნებულმა შიდა ქართლის რეგიონში ირაკლი ბოჭორიძემ წარმოების ზრდის ტემპებისა და ეკონომიკის განვითარების კონკრეტული ციფრების დასახელებასთან ერთად ხაზგასმით მიანიშნა სოციალურ სფეროში არსებულ პრობლემებზე, კერძოდ, პენსიებისა და ხელფასების დავალიანებაზე.

ედუარდ შევარდნაძემ შიდა ქართლის მოსახლეობას წინასაარჩევნო პროგრამის რამდენიმე მიმართულება გააცნო, რომელთაგან უმთავრესი პრიორიტეტი საქართველოში სოციალური პრობლემის გადაჭრაა. „ჩვენ ხუთ წელიწადში სახელმწიფო შევქმენით. 1995 წელს პირველად გაუჩნდა ჩვენს ქვეყანას ბიუჯეტი და მაშინ სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გეგმა გამოვაცხადეთ. ფაქტობრივად, ხუთ წელიწადში დამოუკიდებელი ქვეყანა ავაშენეთ, სახელმწიფო, რომელიც სხვა სახელმწიფოებს სჭირდება, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა, — მივმართავ იმ პენსიონერებს, იმ ადამიანებს, რომლებიც დღეს გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან - ჩვენ შეუძლებელს შევძლებთ 4-5 წელიწადში, რადგან გვაქვს კონკრეტული პროგრამა და შეგვიძლია, ადამიანებისათვის ნორმალური პირობების შექმნა. მათ კი, ვინც ხალხს სასწაულების ჩადენას — არაფრისაგან ხელფასებისა და პენსიების დარიგებას პირდება, არავითარი პროგრამა არ გააჩნიათ, ზღაპრებით პენსიებს ვერ დაარიგებ. ჩემი საპრეზიდენტო პროგრამის ერთ-ერთი თავი სიღატაკის მოსპობის, სიღარიბის დაძლევის სამწლიან პროგრამას ითვალისწინებს. ჩვენ ამას შევძლებთ და 4-5 წელიწადში აყვავებულ ქვეყანაში ვიცხოვრებთ. ეს იქნება ჩვენი უზარმაზარი გამარჯვება“, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლას ვრცლად გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი**

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 16 მარტი ქ. თბილისი

### ა. გოგოლაძის მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

შეიარაღებულ ბოროტმოქმედთა დაკავებისას გამოჩენილი მამაცობის, თავდადებისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უმცროსი ინსპექტორი, პოლიციის ზემდეგი **ალექსი გოგოლაძე** დაჯილდოვდეს მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.

**ე. შევარდნაძე.**

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 16 მარტი ქ. თბილისი

### დუშეთის ვაჟა-ფშაველას სახელობის №1 საშუალო სკოლის პედაგოგთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებისა და წახალისების შესახებ

მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, განათლების რეფორმის მიმდინარეობის პროცესში აქტიური მოღვაწეობისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის დუშეთის ვაჟა-ფშაველას სახელობის №1 საშუალო სკოლის პედაგოგები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით და გამოეცხადოთ მადლობა:

**ღირსების ორდენით:**

**ნელი დიდებაშვილი** — ფრანგული ენის მასწავლებელი.

**ღირსების მედლით:**

**ნაზი ბადაგაძე** — დაწყებითი კლასების მასწავლებელი; **გულნარა ბუზაშვილი** — ბიოლოგიის მასწავლებელი; **აითარ კობიაშვილი** — რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი; **მედეა მაისურაძე** — ქიმიის მასწავლებელი; **ნინო ფოლოდაშვილი** — დაწყებითი კლასების მასწავლებელი; **მაყვალა ქაფიაშვილი** — დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში; **ნათელა ჩქარეული** — მათემატიკის მასწავლებელი; **რევაზ ხოსრუაშვილი** — ფიზიკის მასწავლებელი; **გიული ხუციშვილი** — ფრანგული ენის მასწავლებელი; **იზოლდა ხუციშვილი** — საქმეთა მმართველი.

**გამოეცხადოთ მადლობა:**

**ნაზი ბერელოვას** — გეოგრაფიის მასწავლებელს; **იზა გოზიტაშვილს** — ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს; **ზიგული ვარდუაშვილს** — ფიზიკის მასწავლებელს; **ნანა თათიკიშვილს** — მათემატიკის მასწავლებელს; **ნანა კაიშაურს** — ხატვის მასწავლებელს; **ქეთევან ნავროზაშვილს** — ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს; **თამაზ ნიკაჭაძეს** — შრომითი სწავლების მასწავლებელს; **ცარო ოთარაშვილს** — ხელოვნების მასწავლებელს; **მარინე ოსეფაშვილს** — ინფორმატიკის მასწავლებელს; **ქეტევა სიდამონიძეს** — შრომითი სწავლების მასწავლებელს; **ნელი სინჯარაძეს** — რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს; **ელზა ფულაძეს** — მათემატიკის მასწავლებელს; **დალი ქავთარაძეს** — ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს; **ბელა შაბურიშვილს** — დირექტორის მოადგილეს; **ნათელა ხოსრიაშვილს** — დაწყებითი კლასების მასწავლებელს.

**ე. შევარდნაძე.**

არჩევნები

## ბუმერანგივით უკან დაუბრუნდებათ...

(პირველი გვერდიდან)

პოლიტიკოსები ჩვენ, საქართველოს ბედისთვის მოფიქრალ ამომრჩევლებს ვერ დაგვაბრმავებენ, ვერ დაგვაყრუებენ, გონებას ვერ აგვირევენ — შეხედულებას ვერ შეგვიცვლიან ედუარდ შევარდნაძის პიროვნებაზე. ერთი მხრივ, სამწუხარო კი არის, მაგრამ ფაქტია, რომ კარს მომდგარ საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტობის ამჟამინდელ კანდიდატთაგან პრეზიდენტობის ღირსი მხოლოდ ერთია, ერთადერთია — ედუარდ შევარდნაძე. მე პირადად ედუარდ შევარდნაძეს ვუჭერ მხარს; დარწმუნებული ვარ ამომრჩეველთა აბსოლუტური უმრავლესობაც ედუარდ შევარდნაძეს დაუჭერს მხარს.

უღირსი მეთოდების გამოყენება მარტო მიუღებელი და გაუმართლებელი კი არა, დამღუპველიც შეიძლება გამოდგეს მათი იმედით ფონს გასვლის მსურველთათვის, რადგან აუცილებლად ამოქმედდება ბუმერანგის პრინციპი. ასეთ რამეს ამომრჩევლები კანდიდატებს არ პატიობენ.

**ალექსანდრე კუჭუხიძე,**
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიისა და სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის“ პრეზიდენტი, საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორი, აკადემიკოსი.

არჩევნები

# მან შეძლო შეუძლებელი

**გუშინ გაიმართა შიდა ქართლის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა წინასაარჩევნო შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან, გთავაზობთ ამ შეხვედრაზე წარმოთქმულ რამდენიმე სიტყვას:**

მიმდინარე წლის 9 აპრილი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში შევა, როგორც ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა.

ამ დღეს უნდა გადაწყდეს ყველაზე მთავარი: ვის უნდა ანდოს ხალხმა საქართველოს საჭეთმპყრობლობა XXI საუკუნის ათვლითი ეტაპის პირველ ხუთ წელიწადს, — დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის ძნელ გზაზე.

ეს მარტო პრეზიდენტის არჩევნები როდია. ამავე დროს ეს არის ბოლო ხუთ წელიწადში ქვეყნის აღმშენებლობის საშინაო და საგარეო პოლიტიკისადმი მხარდაჭერისა და აქტიური მონაწილეობის მაუწყებელიც, და, რაც განსაკუთრებით ხაზგასასმელია, ევროპულ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის სწორი კურსისათვის ბრძოლის აუცილებელი წანამძღვარი.

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ საპრეზიდენტო არჩევნები ცივილიზებული სამყაროს ყურადღების ცენტრშიცაა, ვინაიდან აქ ბატონ ედუარდ შევარდნაძის ფენომენი დომინირებს და ამიტომ მისმა შედეგებმა ფაქტობრივად უნდა განსაზღვროს მსოფლიოს დიდმნიშვნელოვანი ქვეყნების დამოკიდებულება საქართველოსადმი.

ვინც ობიექტურად გააანალიზებს ბოლო ათწლეულის მოვლენებს, მიხვდება, რომ ბატონი ედუარდ შევარდნაძე 1992 წლის მარტში საქართველოში ჩამოიყვანა ორმა გარემოებამ და არა ვინმემ, როგორც ამას ზოგიერთები იბრალებენ.

პირველი, მეტად მძიმე ვითარებაში მყოფი ქვეყნისა და მშობლიური ხალხის სიყვარულმა და, მეორე, მტკიცე გადაწყვეტილებამ საქართველოსათვის დაებრუნებინა მისთვის წართმეული უმთავრესი ფუნქცია და ისტორიული მისია — გამხდარიყო ევროპა-აზიის დამაკავშირებელი გეოპოლიტიკური სივრცე და საერთაშორისო თანამეგობრობის სრულფასოვანი მონაწილე.

მეამაყება, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა დიდი გონიერებითა და ბრძოლით სტაბილურობას მიაღწია. მან ქვეყნის ინტერესები ყველაზე მაღლა დააყენა და პირადი წყენა არაფრად ჩააგდო, ქვეყნის მეთაურს რომ შეშვენის, ისეთი სიდინჯით, მოთმინებით, მიმტევებლობითა და ღირსებით ყველას უთხრა თავისი მთავარი სათქმელი: ეროვნული თანხმობა, შერიგება, ერთად დგომა და ახალი საქართველოს ერთად შენება.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ნათლად დაინახა, რომ საქართველო ევროპული კულტურის კუთვნილებაა და წამოწყებული რეფორმები მის ფასეულობებთან აახლოებს. საბაზრო ეკონომიკის განვითარება ამის მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი მხარეა. არის მეორე მნიშვნელოვანი მხარე — დემოკრატიის დამკვიდრება. ჩვენ თანდათან ვერგებით ევროპულ სტანდარტებს: გავაუქმეთ სიკვდილით დასჯა, გაიმართა თავისუფალი არჩევნები, მივიღეთ ახალი კონსტიტუცია, დაიწყო სასამართლო და ეკონომიკური რეფორმები, შევედით ევროსაბჭოში, ჩავერთეთ საერთაშორისო ვაჭრობაში, გავერთიანდით სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში და ა. შ.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ევროსაბჭოსთან დაახლოების ინტერესი უმთავრესად ეკონომიკურია, თუმცა ეს, აგრეთვე არის საქართველოსათვის უშიშროების უზრუნველყოფის ერთგვარი გარანტი და დაწყებული დემოკრატიული რეფორმების შეუქცევადობის საშუალება.

ღმერთმა ნუ ქნას, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები არასასურველი იყოს და ჩვენს ქვეყანას კვლავ დაემუქროს პოლიტიკური და ეკონომიკური იზოლაციის საფრთხე.

ამის გამო, ამ საშვილიშვილო საქმეში მთელი საზოგადოების აქტიური მონაწილეობა, გაზრდილი პასუხისმგებლობით საპრეზიდენტო არჩევნების ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩატარება იქნება სწორედ ჩვენი საოცნებო მიზნების წარმატებით განხორციელების სათავეც და საფუძველიც.

ნიშანდობლივია, რომ რაც უფრო ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები, ვითარება მით უფრო რთულდება და იძაბება. ოპოზიციონერები სპეკულირებენ ქვეყანაში შექმნილ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მატერიალურ სიდუხჭირეზე, გაუცემელ ხელფასებზე, პენსიებზე და ა. შ.

ასეთ პირობებში ძნელი როდია ხალხის მოტყუება-გადაბირება, ზოგიერთების მოსყიდვაც კი და ამ გზით საპრეზიდენტო არჩევნებისათვის საფრთხის შექმნის მცდელობა. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რომ დარჩენილ დროში მოფიქრებული, შინაარსიანი და სისტემატური მუშაობით თავიდან ავიცილოთ ასეთი საფრთხე.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ბატონო ედუარდ, თქვენს მიერ ახლად ხელდასხმული გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალათასიან კოლექტივს, რომელიც ნელ-ნელა იკრებს ძალებს და პრეზიდენტის რწმუნებულის ირაკლი ბოჭორიძისა და გამგებლის გივი განიძის დიდი მხარდაჭერით უკვე მტკიცედ დგება ფეხზე, კარგად მახსოვს გასულ წელს თქვენთან საოცრად თბილი და გულისხმიერი შეხვედრა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყოველი ჩვენგანი გულითა და გონებით გაითავისებს ერისა და ქვეყნის ინტერესებს და 9 აპრილს გააკეთებს ერთადერთ სწორ და ლოგიკურ არჩევანს. ორ თვეზე მეტია, რაც შიდა ქართლში საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში ბატონ ედუარდ შევარდნაძის მხარდამჭერთა დარბაზს ვხელმძღვანელობ და ქალაქისა და რეგიონის ხელმძღვანელებთან, აგრეთვე, მოწინავე ინტელიგენციასთან ერთად სერიოზული სამუშაოც გავწიეთ. მოახლოებული არჩევნების ფონზე, ყოველი დღე დიდ მნიშვნელობას იძენს, ამიტომ რაც შეიძლება ოპერატიულად უნდა მივაწოდოთ მოსახლეობას რეალური ინფორმაცია. ღრმად მჯერა, მიუხედავად გაჭირვებული მდგომარეობისა, ხალხს, ამომრჩევლებს სიმართლე უნდა ვუთხრათ, დასაბუთებულად აუხსნათ, რომ გარდამავალი პერიოდი ყველგან და ყოველთვის ხასიათდება დიდი სიძნელეებით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერთი საზოგადოებრივი წყობილება იცვლება საწინააღმდეგო ხასიათის მეორე წყობილებით.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკის გარდაქმნა ისედაც რომ ხანგრძლივი და რთული პროცესია, ეს საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ როდესაც მას თან ახლავს ნგრევა და ძარცვა, ბანდიტობა და ყაჩაღობა, ძმათამკვლელი ომი, ცნობიერების გახლეჩა და ქაოსი, მაშინ, ცხადია, მდგომარეობა უკიდურესად რთულდება და მწვავდება. რომ ყველაფერი მოწესრიგდეს და ახალმა გზა გაიკაფოს, ამისათვის წლებია საჭირო, გარკვეულ ცოდნასთან ერთად დიდი მატერიალური რესურსები და შესაბამისი ტრადიციების დამკვიდრებაა აუცილებელი.

ამიტომ, ყველამ უნდა გავითავისოთ, შევიგნოთ ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ასეთ ვითარებაში ეკონომიკის ერთბაშად გარდაქმნა-გაძლიერება შეუძლებელია, იგი არა მარტო დიდ დროს, არამედ დიდ ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს მოითხოვს. ეს სრულიად კანონზომიერი, ობიექტური მოვლენაა და დღევანდელი სიღარიბისა და ეკონომიკური სიდუხჭირის გადაბრალება პრეზიდენტზე, რასაც მისი ოპონენტები კადრულობენ, უცოდინარობა და უსინდისობაა.

დავიმოწმებ ერთ ასეთ ფაქტს: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ლათინური ამერიკის, აფრიკისა და აზიის 90-მდე სახელმწიფომ დამოუკიდებლობა მიიღო. ყველა მათგანი ეკონომიკურად ჩამორჩენილი კაპიტალისტური ქვეყანა იყო, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური წყობა არ შეცვლილა და წლების მანძილზე ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას რეგულარულად ღებულობდნენ ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ამასთან, ქვეყნის შიგნით მშვიდობიანი გარემო იყო შექმნილი, 20-25 წელი მოუნდნენ ეკონომიკური საფუძვლების მომზადებას, ჩამორჩენილობის დაძლევას და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ისიც ყველამ როდი მოახერხა. ჩვენთან კი, ფაქტობრივად, მხოლოდ 1995 წლიდან, ე. ი. სულ 5 წელიწადია, დავიწყეთ ორიენტირება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე და, შეიძლება ითქვას, არც თუ ცუდად. სასიკეთო ძვრები შეინიშნება მეურნეობის თითქმის ყველა დარგში, რაც იმის დასტურია, რომ ჩვენი ქვეყნის მეურნეობრიობა აღმავლობის გზაზეა და სრულყოფილი განვითარებისათვის, ცხადია, კიდევ რიგი წლებია საჭირო.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის ფონზე, მკაფიოდ და ნათლად იკვეთება ქვეყნის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის უდიდესი და შეუცვლელი როლი, მისი მოქნილი და შორსმჭვრეტელური პოლიტიკის ღირებულება და სიცოცხლისუნარიანობა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის ისტორიულ საქმეში. დიახ! მან შესძლო შეუძლებელი, ქაოსითა და განუკითხაობით მოცული ქვეყანა სტაბილურ სახელმწიფოდ აქცია და დემოკრატიული მშენებლობის ლერძზე შეაყენა, წინ წარუძღვა და ევროპის სტრუქტურების ინტეგრაციას აზიარა. ახლა ამ ქვეყანას მსოფლიო ენდობა და ანგარიშს უწევს, ამის გარანტი კი თვით ბატონი ედუარდ შევარდნაძეა, პიროვნება, რომელიც კაცური სიმამაცით არის დაჯილდოებული, პიროვნება, რომელიც მშვიდობასა და დემოკრატიას ქადაგებს, კაცი, რომელიც ებრძვის ყოველგვარ ექსტრემიზმს, ულტრანაციონალიზმს, მეზღუდულობას და, რომელსაც შესწევს ცოდნა, გამოცდილება, ძალა და უნარი წარმატებით დააგვირგვინოს დაწყებული საქმე და ჩვენი და ჩვენი ღირსეული წინაპრების ნაოცნებარი — ძლიერი და დამოუკიდებელი საქართველოს დამკვიდრება ცივილიზებულ სამყაროს სამკვიდროში სინამდვილედ აქციოს.

და ბოლოს, მამაკაცურ სიმამაცესთან ერთად ბატონი ედუარდი, შეიძლება ითქვას, იღბლიანი კაცია. მთელი მისი ცხოვრების გზა ეკლიანი იყო, ბევრი წინააღმდეგობა და დაბრკოლება შეხვდა, რამდენიმე ტერაქტიც მოუწყვეს, მაგრამ რამდენადაც მისი ყოველი საქმე, ჩემი ღრმა რწმენით, სამართლიანი იყო, ამდენად, უფალი ღმერთი მუდამ მის გვერდით იდგა და ყოველთვის წყალობდა და მფარველობდა.

დე, მომავალშიც ასე გაგრძელებულიყოს!

**გედევან ხელაია,**
**გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში ედუარდ შევარდნაძის მხარდამჭერი დარბაზის ხელმძღვანელი.**

# კულტურა მართლაც გადაარჩენს საქართველოს

ქართლელები, ჩვენი მოკრძალებული იუმორით, გურულებს ვერ გავაკვირვებთ, მაგრამ ცეკვაშიც რომ ჩვენზე უკეთესები ყოფილან, ამაში მე „დიდების ზღაპარმა“ დამარწმუნა.

ზოგიერთებს დიდების ზღაპრის ეს საინტერესო ჩანაფიქრი, რატომღაც უხერხულადაც მიაჩნიათ, მე კი — პირიქით, წავიდა ის დრო, როდესაც უმაღლესი ხელმძღვანელი აუცილებლად მოღუშული, ზედმეტად თავშეკავებული, და მეტისმეტად არაბუნებრივი მოძრაობით გადმოდიოდა შავი მანქანიდან და დამუშავებული ჟესტით ესალმებოდა ხალხს. მე, მაგალითად, მთელ იმ დადგმულ სცენარს ბატონ ედუარდ შევარდნაძის ერთი ბუნებრივი ღიმილი მირჩევნია.

ბატონო პრეზიდენტო, მინდა ერთი ჩემი ნათქვამი გაგახსენოთ, სულ ახლახან თბილისობაზე რომ მოგახსენეთ: ქართლი თქვენს გვერდზე იდგა და ქართლი თქვენს გვერდზე იქნება! როგორც ვატყობ, თქვენ მე არ მენდეთ და თავად ჩამობრძანდით ქართლში, რომ ჩემი სიტყვების გულწრფელობაში დარწმუნებულიყავით.

ჩვენი დიდებული მწერალი ნოდარ დუმბაძე ბრძანებდა:

„უამრავი ნაკლის მიუხედავად ქართველს, ისეთი თაკარა გული, უმზესი სული, და მაღალი ბუნება აქვს, მთელ სამყაროს დასწვავდა, კავკასიონის მარადიული თოვლი რომ არ აგრილებდეს და ამოშმინებდესო“.

ამ სიტყვებით ბატონ ნოდარს, საქართველოს რომელიმე კუთხე არ დაუკონკრეტებია, მაგრამ ღრმად მწამს, რომ ძირითადად ქართლელები ვყავდით მხედველობაში.

ბატონო პრეზიდენტო, თქვენი სტუმრობა ქართლში, ნამდვილად დიდი სიხარულია. დღეს ყველა ქართველი კარგად ხედავს თქვენს ფასდაუდებელ შრომას. ერის და ხალხის გასახარად, ყოველივე ამ სასიკეთო საქმის და ნათელი გზის მთავარი არქიტექტორი ბრძანდებით თქვენ, ჩვენ გვწამს, რომ თქვენს მიერ წამოწყებული კურსი, სწორი და სამართლიანია. კარგი ცხოვრება რომ უცბად არ მოდის, ეს ჩვენზე უკეთესად მოგეხსენებათ. მაგრამ მთავარია, რომ ჩვენ გვჯერა — სულ მალე ჩვენი სამშობლო გამოვა ამ ჩიხიდან, და ერთ-ერთი ძლიერი და ღირსეული ქვეყანა გახდება.

დღეს არავის, მით უმეტეს, უცხოეთში, ტყუილად არავის ასხამენ ხოტბას. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ყოველი მიწვევა საზღვარგარეთ ზეიმად არის ქცეული, ბევრ გამორჩეულ შეხვედრებთან ერთად

**გერმანიაში ვიზიტი**
**დღესაც ზღაპარი მგონია,**
**ბერლინმა გაგვაგებინა**
**რამხელა კაცი გვყოლია.**

ჩვენი დიდი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“ განა იქნებოდა დიდი ღირებულების ნაწარმოები, ნახევარი რომ ბატონ კონსტანტინეს დაეწერა და ნახევარი მე?! თქვენი დაწყებული საქმე თქვენვე უნდა მიიყვანოთ იმ ზღვრამდე, რომელსაც ჰქვია ნამდვილი, სამართლიანი, თავისუფალი საქართველო!

ჩვენ გვჯერა, რომ ქართველი კაცი არ გადადგამს გაუთვალისწინებელ ნაბიჯს, არ შეცდება, და გააკეთებს სწორ არჩევანს.

სწორედ ამ გაგებით მივალთ ყველანი საარჩევნო ყუთთან და გამოვხატავთ ჩვენს ნებას.

მე არ შემიძლია ერთ გარემოებას არ გავუსვა ხაზი. ასე ლამაზად, ასე ერთბაშად, ახალგაზრდობის მოსვლა სახელმწიფოს სათავეებში, ვიტყოდი, გაბედული ნაბიჯია. თაობამ, რომელსაც თქვენ, სამართლიანად გაუწიეთ რეკომენდაცია, დღეს თავისი პატარა გამოცდილებით, მაგრამ დიდი გულითა და სუფთა ქართველობით უკვე ხალხის სიყვარული და ნდობა დაიმსახურა.

იყო დრო, რომ ორმოცდაათ წელს ქვემოთ თანამდებობის პირი ვერც წარმოგვედგინა.

პირველად ასე ახალგაზრდა ირაკლი ბოჭორიძე იმდროინდელი გაფართოებული თვალებით რომ დავინახე, სიმართლე გითხრათ, შევფიქრიანდი. მაგრამ ჩემი ეჭვები მისმა დიდმა ღირსებებმა სრულიად გაფანტა, და დღეს პრეზიდენტს ქართლში ღირსეული და საქმის ერთგული რწმუნებული ჰყავს.

ეს რა თქმა უნდა სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ ყველაფერი მოგვარებული და მოთავებული გვაქვს, გადასაწყვეტი პრობლემები რომ ბევრია და ზოგიერთი მათგანი რომ სასწრაფოდ ითხოვს შველას, ეს ბატონ ირაკლის ჩვენზე უკეთესად მოეხსენება.

მე მსახიობი ვარ, მაგრამ კარგად მესმის პოლიტიკოსების რთული და მძიმე საქმის. ღმერთმა დამიფაროს, ქართველს, ვისაც ხელეწიფება ხალხის მოვლა და პატრონობა, არ აწუხებდეს განათლების, მედიცინის, კულტურის და სხვა დარგები, მაგრამ მე მაინც ჩემი და თქვენი თეატრის ბედი მაწუხებს.

მომავალი თაობა ნამდვილად არ გვაპატიებს, რომ ბრწყინვალე ინტელიგენციით სავსე ქართლში, უძველეს ქართულ თეატრს დახურვის საშიშროება ემუქრებოდეს.

ჩვენი რაიონის ხელმძღვანელობა ყველაფერს ცდილობს, ყველაფერს აკეთებს თეატრის გადასარჩენად, მაგრამ რა ქნას, ცდა ერთია, შესაძლებლობები მეორე.

ბატონო პრეზიდენტო, ქართლიდან რომ წაბრძანდებით, ვიცი გზაში იფიქრებთ, დაიჯერო, გორელებს სათხოვარი არაფერი ჰქონდათო? ამიტომ გული რომ არ გატკინოთ, მე მაქვს სათხოვარი:

ერთი თქვენი ლამაზი ღიმილი ნამდვილად უშველის თეატრს და იმ კოლექტივს, რომელსაც ძალიან კარგად ახსოვს თქვენი შესანიშნავი სიტყვები: გადავარჩინოთ კულტურა და კულტურა გადაარჩენს საქართველოს!

**ლევან ოზგებაშვილი,**
**გორის გ. ერისთავის სახელობის თეატრის მსახიობი.**



### საგზაო პოლიციაში ადგილები კვლავ ვაკანტურია

საგზაო პოლიციელთა ტესტირების პირველი ეტაპი დასრულდა. ტესტირებაში მონაწილეობა მიიღო 186-მა მსურველმა. საგზაო პოლიციელის თანამდებობაზე მუშაობის უფლება მათგან 48-მ მოიპოვა. ტესტირების მეორე ეტაპი საგზაო პოლიციელთა 135 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად უახლოეს მომავალში დაიწყება.

### უკან დაბრუნების ვადა ამოიწურა

კოჯრის სასწავლო ცენტრიდან გაქცეული წვევამდელები უკან ბრუნდებიან.

18 მარტისთვის კოჯრის სასწავლო ცენტრიდან გაქცეული 65 წვევამდელიდან უკან 59 დაბრუნდა.

### გვპირდებიან ელექტროენერგიის მიწოდების გაუმჯობესებას

— თბილისის მერი ივანე ზოდელავა დედაქალაქის მოსახლეობას 20 მარტიდან ელექტროენერგიის მიწოდების გაუმჯობესებას ჰპირდება. ზოდელავას თქმით, მან რამდენიმე დღის წინ მიიღო სომხეთის დელეგაცია და შეხვედრაზე გადაწყდა, რომ სომხური მხარე თბილისს კიდევ დამატებით 100 მგვტ.სიმძლავრის ელექტროენერგიას მიაწვდის. სომხეთიდან თბილისი 100 მგვტ. სიმძლავრის ელექტროენერგიას უკვე ერთ თვეზე მეტია იღებს.

გარდა ამისა, ზოდელავას თქმით, გაზაფხულის დადგომასთან დაკავშირებით წყალსაცავებში წყლის დონის მომატებასთან ერთად ელექტროენერგიის სიმძლავრეც მოიმატებს.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს პრაიმ-ნიუსმა, მეილექსპრესმა.**

### გვირეკავენ, გვეკითხებიან

(პირველი გვერდიდან)

შემდეგ მათი ჰაერში გაჟონვა აზიანებს ოზონის შრეს. ოზონის შრე კი თავის მხრივ იცავს დედამიწას მზის ულტრაიისფერი გამოსხივებისაგან, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა „მემაცივრეთა ასოციაცია“, რათა ძველი დაზიანებული ტექნიკის შეკეთება მოხდეს უხიფათოდ.

„მემაცივრეთა ასოციაციაში“ გაერთიანებულ ხელოსნებს ამისათვის სპეციალური ტექნიკა გადაეცათ.

მომავალში გათვალისწინებულია აქ გაერთიანებული სპეციალისტების სერტიფიცირება, მათი კვალიფიკაციის შესაბამისად.

**თამარ ფიძრიშვილი,**
**საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელი.**

# იმ ტრაგიკული მოვლენების ავტორს ცოტა მაინც უნდა რცხვენოდეს

პატივი მაქვს ვიდგე იქ, სადაც უნდა იდგეს საქართველოს ყველა ღირსეული მოქალაქე. სურვილი მაქვს, ვიდგე იქ, სადაც იდგებოდა მამაჩემი — მამუკა ასლანიკაშვილი.

ორი საუკუნის გზაგასაყარზე ქართველი ხალხი, უკვე მერამდენედ, ისტორიულ გზაჯვარედინზე აღმოჩნდა, მაგრამ ღრმად მწამს, რომ უკვე გამოცდილი ქართველი ხალხი არ დაუშვებს საბედისწერო შეცდომას, რადგან იგი არის მომსწრე და მონაწილე ჩვენი ქვეყნის ისტორიითა და გეოპოლიტიკური მდგომარეობით განპირობებულ პრიორიტეტულ მიმართულებათათვის ნიადაგის შექმნისა, ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში საშინაო და საგარეო პოლიტიკის სწორი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებისა, რეგიონულ და გლობალურ ინტეგრაციულ პროცესებში მისი ჩართვისა.

ნება მიბოძეთ, დღევანდელი გადმოსახედიდან მივმართო მათ, ვისთვისაც საქართველოს ბედი სულერთი არ არის, თაობებმა უნდა იცოდნენ, რომ სიქველე, პატიოსნება, უბრალოება, ერთგულება, სულიერება ისეთი მარადიული ღირებულებებია, რომელთაც ოდითგანვე ხარკს უხდიდნენ ყველაზე ტირანული ეპოქებიც კი. ამ ფასეულობათა შენარჩუნებისათვის, სწორედ რომ ღირს მსხვერპლის გაღება, და ასეთ მსხვერპლად მამუკა ასლანიკაშვილმა საკუთარი სიცოცხლე გაიღო. დღეს იგი, ვისაც „დამსახურება“ მიუძღვის ამ ტრაგედიის ორგანიზებაში, რატომღაც თავს არიდებს მასზე საუბარს, რაც იმის დასტურია, თუ რაოდენ ძნელია საკუთარ შეცდომათა დანახვა, აღიარება, სინანული, ბოდიშის მოხდა.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე ტელევიზიისათვის მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში ბრძანებს: „მამუკა ასლანიკაშვილი საოცრად ნიჭიერი ახალგაზრდა იყო, თანდაყოლილი ორგანიზატორული უნარით, თანდაყოლილი ადამიანური და ვაჟკაცური თვისებებით. სიმართლე გითხრათ: მე გამორჩეულად მიმაჩნდა ის, ვთვლიდი ძალიან დიდი მომავლის მქონე მოღვაწედ. სამომავლო მოღვაწედ... ასეთის ვზრდიდი და ასეთი იყო ჩემი დამოკიდებულება მის მიმართ. ჩემთვის თავზარდამცემი იყო იმის გაგება, რომ მან თავი მოიკლა. ახლაც, რომ იტყვიან, ვერ გადამიხარშავს ეს, ვერ მომინელებია“.

მამუკა ასლანიკაშვილი თავისი მოღვაწეობის პერიოდში ყოველთვის იდგა ედუარდ შევარდნაძის გვერდით და მხარში, მაშინაც კი, როცა იგი მოსკოვში წავიდა. ეს ერთგულება იყო მიზეზი შემდგომში განვითარებული მოვლენებისა. დაიწყო საზოგადოებრივი აზრის მომზადება მის წინააღმდეგ. წამოვიდა ცილისწამებებისა და აბსურდული ბრალდებების ტალღა. ქუთაისში აღნიშნული ვერიკო ანჯაფარიძის იუბილეც კი დანაშაულად ჩაუთვალეს. ძნელია, ახლა თქვა, რომ ვინმეს მისი თვითმკვლელობა უნდოდა, მაგრამ იმდენად ავიწროებდნენ, იმდენად სდევნიდნენ, იმდენად უნდოდათ მისი კომპრომენტირება, განადგურება, რომ საბოლოოდ 1986 წლის 10 ივნისს ტრაგედიამდე მივიდა.

მე მსურს დღეს, მრავალი წლის შემდეგ, მადლიერებით გავიხსენო ერთი პატარა, მაგრამ მრავლისმეტყველი ფაქტი მამაჩემის მონათხრობიდან, რომელიც პრეზიდენტის არა მარტო საქმეებზე, მის ხასიათზეც მიუთითებს:

მაშინ, როდესაც სიტუაცია მამაჩემის გარშემო უკიდურესად დაიძაბა, მაშინ, როდესაც თბილისიდან მას მახეს უგებდნენ, მოსკოვში ყრილობაზე ჩასულს ედუარდ შევარდნაძის მისალმებისას მხარდამჭერმა ჟესტმა ძალიან დიდი თანაგრძნობა დაანახა, იმედი ჩაუსახა. მახსოვს, როგორი აღტაცებით გვიამბობდა ამის შესახებ. ეს ფაქტი დამრჩა, როგორც მოგონება უკანასკნელ აბედით დღეებში გამხნევებულ მამაჩემზე.

მაგანნი და მაგანნი შეეცადნენ ჩრდილი მიეყენებინათ პატიოსნების სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანილი მისი სულისათვის... საოცარია, რომ დედაქალაქში საფლავიც ვერ გამოინახა მისთვის. პანაშვიდებზე მოსვლა ხომ ვაჟკაცობის ტოლფასი იყო, რადგან როგორც აწ გარდაცვლილი ერთ-ერთი ფუნქციონერი ამბობდა, მამუკა ასლანიკაშვილი „უკანონო მიცვალებული“ გახლდათ. მიუხედავად ამისა, ჭირისუფალი ცოტა როდი ჰყავდა მამას. იგი გულწრფელად დაიტირა თბილისმა, ქუთაისმა, ზესტაფონმა, რუსთავმა, ლეჩხუმმა... სრულიად საქართველომ.

ბატონო პრეზიდენტო!

მინდა კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მოგახსენოთ მამაჩემის რეაბილიტაციისათვის. მისი იუბილე აღინიშნა რამოდენიმე ქალაქში, ქუჩებსა და სკვერებს მიენიჭათ მისი სახელი, გაიხსნა მემორიალური დაფა, მარჯანიშვილის თეატრში კი გაიმართა ხსოვნის საღამო, სადაც 20 ოქტომბერი გამოცხადდა მამუკა ასლანიკაშვილის ხსოვნის დღედ.

სულ მალე ქვეყანაში გაიმართება საპრეზიდენტო არჩევნები. მე მიმაჩნია, რომ ადამიანს, ვინც ორგანიზატორი იყო ზემოთ აღნიშნული ტრაგიკული მოვლენებისა, ცოტა მეტად უნდა რცხვენოდეს საზოგადოებისა, ვიდრე ახლა რცხვენია.

დღეს საქართველო აღმშენებლობის, თავისუფლებისა და სამართლებრივი ქვეყნის სტატუსის მოპოვების გზას ადგას. მინდა, საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც პრეზიდენტის ყველა წამოწყებას სკეპტიკურად ხედავს, დიდი კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები შევახსენო „დავით აღმაშენებლიდან“: „როცა მოყვასი შენი საქმეს დაიწყებს რაიმეს, სანამ მას არ მოათავებს, არ უნდა განიკითხო იგი. რადგან მხოლოდ ოფოფი შეიცნობა თავითა, ხოლო ჭეშმარიტი საქმე ბოლოთი“.

ვინც ოთხი წლის წინათ ხმა არ მისცა ქვეყანაში დინამიკურ ძვრათა ავტორსა და არქიტექტორს — დღევანდელ პრეზიდენტს, იმედია, ახლა მაინც გადაჭრით გამოვა შებოჭილი პირადული ჩარჩოებიდან და ღირსეულ არჩევანს გააკეთებს.

**ალეკო ასლანიკაშვილი.**

№74-75. კვირა-ორშაბათი. 19-20 მარტი. 2000 წელი.
ეროვნული ბიბლიოთეკა

## პრესკონფერენცია

# ირაკლი ბათიაშვილი: 9 აპრილს მე გვამებში მიპოვნეს, პატიაშვილი კი კაბინეტში იჯდა!

ბოლო წლებში ასე მივიწყებული 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები, კვლავ მთელი საზოგადოებისა და, უპირველესად, პოლიტიკოსების ყურადღების ცენტრში მოექცა. ამის მიზეზი გასაგებია: 9 აპრილს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში იმ მოვლენების ერთ-ერთი პერსონაჟი ჯუმბერ პატიაშვილიც მონაწილეობს. თუმცა კრიტიკის ქარცეცხლი ახლა მხოლოდ მას კი არა, მაშინდელი ეროვნული მოძრაობის ლიდერებსაც დაატყდათ თავს: ისინი რომ არა, უდანაშაულო ხალხი არ დაიღუპებოდაო, ეროვნული მოძრაობის ლიდერები თვითონ უვნებლად გადარჩნენო.

არადა, 9 აპრილის აქციის ლიდერები მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, გიორგი ჭანტურია, ირაკლი ბათიაშვილი და ირაკლი წერეთელი იყვნენ. მათგან სამი უკვე ცოცხალი აღარ არის. ირაკლი წერეთელი მოქმედი პოლიტიკოსების სიაში მაინცდამაინც ვერ ეწერება; ერთადერთი ირაკლი ბათიაშვილია, რომელიც პარლამენტის წევრი კიდევ ერთხელ გახდა და ნეოკონსერვატიული პარტიაც შექმნა. ამიტომ, ეროვნული მოძრაობის მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს იგი ეპასუხება. მისი განცხადებით, 9 აპრილი არამხოლოდ დიდი ტრაგედია იყო, არამედ მას საქართველოსათვის დიდი მორალურ-პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. რაც შეეხება იმ ბრალდებას, რომ ეროვნული მოძრაობის ლიდერები 9 აპრილს უვნებლად „გამოძვრნენ", ბათიაშვილს ეს ბრალდება უადგილოდ ეჩვენება. მე 9 აპრილს გვამებს შორის, როგორც დაღუპული, ისე მიპოვნეს. არავინ არსად არ გაქცეულა და არ დამალულა, ჩვენ ყველანი იქ ვიდექით, — განაცხადა ირაკლი ბათიაშვილმა პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე.

პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის ჯუმბერ პატიაშვილის თაობაზე იგი ამბობს: პატიაშვილს არ შეეძლო ჯარის შემოყვანა-არშემოყვანის საკითხის გადაწყვეტა, იგი ვალდებული იყო მოსკოვის გადაწყვეტილებებს უხმოდ დამორჩილებოდა, მაგრამ იგი, როგორც ცეკას პირველი მდივანი ვალდებული იყო 9 აპრილს ხალხთან გასულიყო, ამის სანაცვლოდ კი კაბინეტში იჯდაო. და იქვე დასძენს: ცოტა უცნაური და გაუგებარი ნამდვილად არის, როცა ასეთი მოვლენების ერთ-ერთ მონაწილეს კიდევ რაღაც პოლიტიკური პრეტენზიები აქვსო.

**ბექა ჭედია.**

## გამარჯობათ!

# ჯერ დოლარები ჩაიჯიბა, შემდეგ თავისი აფხაზობა გაიხსენა

**(პირველი გვერდიდან)**

ყოველ შემთხვევაში, ღედის სურათმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა: შვილი წყლის წვეთივით ჰგავს ცნობილ დედამისს.

ერთი სიტყვით **PTP**-ის იმ გადაცემამ საბოლოოდ შეაჭრა ფრთები ყველა ლეგენდას და მით. და „მეტეხელ ნათესავებს" უჯობთ უფრო საგულდაგულოდ (ოღონდ არა კრემლის პალატებში) ეძიონ ამ ორმოცი წლის წინათ აქედან გაძევებული ვოვა პუტინი, რომლის სავარაუდო გადიდკაცებამაც იმედებით აღავსო მათი მოსიყვარულე გულები.

ამ დღეებში კიდევ ერთი მითი დაემხო. ამჯერად — კაცობის მითი.

ასლან სმირბაზე მოგახსენებთ.

მე არ ვიცი, ეს გამოძიებისა და სასამართლოს საქმეა, რამდენად დამნაშავეა იგი წაყენებულ ბრალდებაში — საქართველოს სანაოსნოს კუთვნილი 290 ათასი დოლარის დატაცებაში, მაგრამ ის კი დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ასლან სმირბა უღირსი კაცია.

ამის თქმის საშუალებას მაძლევს მისი განცხადება, რომ თურმე აფხაზური წარმოშობის გამო სდევნიან, ამიტომ საქართველოში არ ეცხოვრება და შეიძლება იძულებული გახდეს უცხოეთს შეაფაროს თავი, პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვოს.

ეს უღირსი კაცის განცხადებაა.

ბათუმის მერად დანიშვნამი, საქართველოს სანაოსნოს უფროსად დანიშვნაში, საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევაში, ბოლოს და ბოლოს, 290 ათასი დოლარის მითვისებაში (თუ ეს მართალია) არ შეუშალა ხელი „აფხაზობამ" და ახლა, როცა პროკურატურა ფულის დატაცების გამოძიებას აპირებს, თურმე ნუ იტყვით, იგი იძულებულია საქართველოდან გაიქცეს, იმის გამო, რომ მას სდევნიან, „როგორც აფხაზს".

სისხლის სამართლის დანაშაულში — ქურდობაში ედავებიან და პოლიტიკურ დევნილად ასაღებს თავს, თანაც თავის გამზრდელ ხალხს აფურთხებს სულში!..

ნეტავ დაფიქრებულა, სდევნიან თუ არა აფხაზობისთვის ქალბატონ სვეტლანა ქეცბას, ან ბატონ ლორიკ მარშანიას, სდევნიან თუ არა ოსობისთვის ქალბატონ იზოლდა ტიგიევას ან ბატონ კონსტანტინე კოკოევს და ძალზე ბევრ სხვას?..

პირადად ჩემთვის (და, როგორც ვიცი, არა მარტო ჩემთვის) უკვე აღარავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ასლან სმირბა რა „საწებლით" წავა საზღვარგარეთ, მთავარია, რომ მან ეს თქვა.

მთავარია, რომ თავის გადასარჩენად იგი მზად არის ნებისმიერ ხვრელში გაძვრეს, მათ შორის ისეთშიც, ღირსეული კაცი რომ არამც და არამც არ იკადრებს.

ადამიანები ძალზე იოლად კადრულობენ უკადრებელს. ამას საპრეზიდენტო არჩევნების მარათონიც ადასტურებს: გადაბრალება, შეურაცხყოფა, დაწიხვლა... არადა, სიტყვით დაკოდვა გაცილებით მტკივნეული და შეურაცხმყოფელია, ვიდრე კვერცხების დაშენით გამოწვეული წყენა!

როცა შენ გტკივა, ხომ უნდა დაფიქრდე, რომ ასევე ეტკინება სხვასაც...

**მორიგე რედაქტორი.**

## პროკურატურა

# ხეირი, რომელიც შარად იქცა

**(პირველი გვერდიდან)**

ბათუმელმა დავით ასანიძემ ზუსტად 6 წლის შემდეგ გაიხსენა, რომ თენგიზ ასანიძის წაქეზებით ხელვაჩაურის რაიონის პოლიციის უფროსი ვაჟა გოგიტიძე სიცოცხლეს გამოასალმა. 1999 წლის 11 ნოემბერს იგი აჭარის ტელევიზიით გამოვიდა, 17 ნოემბერს კი ახსნა-განმარტებაც დაწერა, სადაც მიუთითა, — ვაჟა გოგიტიძის მოსატაცებლად თენგიზ ასანიძემ გამაბრიყვაო. იარაღიცა და 3000 დოლარიც, მაგან მომცაო. მოტაცება არ გამოვიდა, — ბანდიტური ჯგუფი ვაჟა გოგიტიძის წინააღმდეგობას წააწყდა და დავით ასანიძემ პოლიციის უფროსი ადგილზე მოკლა. დავით ასანიძის ჩვენებათა საფუძველზე 1999 წლის 28 დეკემბერს თენგიზ ასანიძეს, აღკვეთის ღონისძიების სახით, ბათუმის სასამართლოს ბრძანებით, პატიმრობა შეეფარდა. თუმცა, იგი ისედაც საკანში იჯდა. როგორ?

როგორ და, თენგიზ ასანიძეს საკუთარი ცოდვებიც არ აკლდა. იგი 1994 წელს გაასამართლეს და 8 წლით თავისუფლება აღუკვეთეს. პატიმრობის ვადა გაუდიოდა 2001 წლის 4 ოქტომბერს. 1999 წლის 1 ოქტომბერს იგი საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა. მსჯავრდებულს შანსი მიეცა სუფთა ჰაერზე გამოსვლისა, მაგრამ ვინ აღირსა. 9 ოქტომბერს აჭარის უმაღლესმა სასამართლომ, კანონის მოთხოვნათა სრული იგნორირებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების აღსრულება შეაჩერა, 11 ნოემბერს კი ამ ბრძანებულებას სპეციალური განჩინებით ხაზი საერთოდ გადაუსვა და თენგიზ ასანიძე გარეთ არ გამოახედა. ცოტა მოგვიანებით, აჭარის პროკურატურამ თენგიზ ასანიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმეც აღძრა. ერთი სიტყვით, ჭირს ჭირი მიემატა.

1999 წლის 28 დეკემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ გააუქმა აჭარის უმაღლესი სასამართლოს 11 ნოემბრის განჩინება. მაგრამ, თითქოს ჯინაზე, ზუსტად იმ დღეს აჭარაში თენგიზ ასანიძეს აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდეს. მისი დაჭერა, ცხადია, არ გასჭირვებიათ. 6 წელი, ისედაც უკანონოდ, კოლონიის ნაცვლად უშიშროების სამინისტროს იზოლატორში იჯდა და აბა, სად გაექცეოდათ.

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან აჭარის სამართალდამცავებს ბევრჯერ შეახსენეს, ვაჟა გოგიტიძის მკვლელობასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში ჯერ კიდევ 1996 წელს შევიდაო, თავად დავით ასანიძეს არც გამოძიებისას და არც სასამართლო განხილვისას თენგიზ ასანიძე თანამონაწილედ არ დაუსახელებიაო, ამიტომაც თენგიზ ასანიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე კანონით აღარ უნდა აღიძრას და თუ აღიძრა, აუცილებლად უნდა შეწყდესო. როგორც თქვენ არ შეგიწყვეტიათ საქმე, ისე კიდევ — აჭარის პროკურატურას.

2000 წლის 6 იანვარს საქართველოს გენერალური პროკურატურის სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველომ ადგილზე შეისწავლა თენგიზ ასანიძის საქმე და დაასკვნა, რომ იგი შეთითხნილია ხელოვნურად. სპეციალურ ცნობაში წერია:

როგორც ახსნა-განმარტებაში, ასევე ჩვენებაში დავით ასანიძე მიუთითებს, რომ თენგიზ ასანიძე ვერ წავიდოდა ასლან აბაშიძის წინააღმდეგ, რომ არ ჰქონოდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერა. თენგიზ ასანიძის მიმართ ატეხილი დღევანდელი აჟიოტაჟიც და პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ თენგიზ ასანიძის შეწყალების მიზნით გადადგმული ნაბიჯიც საფუძველს აძლევს დაასკვნას, რომ მისი ვარაუდი მთლიანად გამართლდა. ამიტომაც, როგორც თავისი მიწა-წყლის შვილსა და პატრიოტს, არ აქვს უფლება გაჩერდეს და მაყურებლის როლში გამოვიდეს.

მამულიშვილობა, პატრიოტობა ისეთი გრძნობებია, რომელთაც უბრალოდ ვერ აბუჩრთავებ, თავის მოსაჩვენებლად ვერ ათამაშებ. ისინი ძირითადად ჩანს საქმეში, ადამიანთა პირად ცხოვრებაში. ვაჟა გოგიტიძის მკვლელობის გარდა, დავით ასანიძესა და მის თანამზრახველებს ისეთი ცოდვები აქვთ ჩადენილი, რომ მათ, წესით, ენაც არ უნდა უტრიალდებოდეთ ამ გრძნობებზე სალაპარაკოდ. და თუ მაინც ლაპარაკობენ, საინტერესოა, ამ ლაპარაკს როგორ იჯერებენ თავად აჭარის სამართალდამცავები?

გარდა ამისა, რა შუაშია აქ ასლან აბაშიძე, როცა თავს დაესხნენ ვაჟა გოგიტიძეს? იქნებ ძაღლის თავი სწორედ იმ მონაკვეთშია დამარხული, რომელიც ჩვეულებრივ დანაშაულსა და მის პოლიტიკურ საფანელს შორის ძევს? ძნელი სათქმელია, მაგრამ ადვილი მისახვედრია.

2 მარტს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ თენგიზ ასანიძის ბრალდების საქმე შეწყვიტა და მისი პატიმრობა გააუქმა. აჭარის პროკურატურაში კი დღემდე სხვაგვარად ფიქრობენ. პირიქით, გენერალური პროკურატურიდან დავით ასანიძის საქმის ცალკეული დოკუმენტების ქსეროასლებს ითხოვენ... თენგიზ ასანიძის ბრალდებათა დასამძიმებლად. როგორც ამბობენ, თენგიზ ასანიძეს, სხვათა შორის, საქართველოს პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატს, სულ მალე გაასამართლებენ...

1996 წლის 20 სექტემბერს დავით ასანიძეს დახვრეტა მიუსაჯეს. საქართველოს პრეზიდენტმა იგი შეიწყალა და 53 კაცთან ერთად სიცოცხლე აჩუქა, 20 წლით თავისუფლების აღკვეთა აკმარა. საქართველოს პრეზიდენტმა თენგიზ ასანიძეც ასევე შეიწყალა და, როგორც უკულმა იტყვიან, ხეირი შარად ექცა. რას ვიზამთ, ბუნების ძალას კი არა, თურმე ბედის ირონიასაც წინ ვერავინ დაუდგება!

**ბონდო გულიაშვილი.**

## არჩევნების წინ

# საქართველო მსოფლიო გლობალურ გარემოში

3. **ინიციატივა — „სტაბილიზაციიდან კეთილდღეობისაკენ" — მისაღებია ჩვენი მოსახლეობისთვის, ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ ინიციატივას და მივიჩნევთ, რომ იგი დროული და მნიშვნელოვანია,** პრაქტიკულად 2000 წლიდან იწყება ახალი ეტაპი საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიის განვითარებაში. საქართველოს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე, მიმდინარე წლის 22 იანვარს, დაისახეს ადამიანის განვითარების პრობლემათა ფართო სპექტრი. ადამიანის კეთილდღეობა გამოცხადდა ქვეყნის პრიორიტეტულ პოზიციად. ამასთან, მნიშვნელობა მიენიჭა არა აღნიშნული პრობლემის ვიწრო სოციოლოგიურ გააზრებას, არამედ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ყველა სფეროს, ქვეყანაში ადამიანთა თანაცხოვრების ყველა მიმართულებას. საკითხის ასეთი დასმა გასცდა ეკონომიკური კეთილდღეობის ვიწრო ჩარჩოებს და დაეუფლა ადამიანის არჩევანის ყველა ასპექტს.

**საქართველოსთვის 90-იანი წლების შუახანებში იდგა არა მარტო სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების საკითხი, არამედ მოსახლეობის ფიზიკურად გადარჩენის უმტკივნეულოვანესი ამოცანა.**

საქართველომ, როგორც გარდამავალი ეკონომიკის სახელმწიფომ, უახლესი ისტორიის ბოლო მონაკვეთზე გაიარა საინტერესო და სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების ინტენსივობით დატვირთული პერიოდი. საქართველოსთვის 90-იანი წლების შუახანებში იდგა არა მარტო სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების საკითხი, არამედ მოსახლეობის ფიზიკურად გადარჩენის უმტკივნეულოვანესი ამოცანა. ქვეყნის მოსახლეობას, ხელისუფლებასა და მსოფლიო საზოგადოებრიობას შორის ჩამოყალიბდა ერთგვარი კონსენსუსი, რომლის მიხედვითაც პირველი რიგის ამოცანებად მიჩნეული იქნა მოსახლეობის ფიზიკური გადარჩენა და მაკროეკონომიკური რეფორმები, კეთილდღეობის პრობლემებმა კი მეორე პლანზე გადაინაცვლა. ამჟამად, როდესაც მიღწეულია ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობა, მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვა დროულიცაა და მნიშვნელოვანიც ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის.

ადამიანის კეთილდღეობა არის მსოფლიო ცივილიზებული სამყაროს უმთავრესი ორიენტირი. მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვა, რა ფორმითაც არ უნდა ხორციელდებოდეს იგი, მოითხოვს გლობალური მასშტაბების მხარდაჭერას. ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია, გამოინახოს ეფექტური ფორმები საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობისთვის, რათა მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისაკენ მიმართული მატერიალური და ფინანსური რესურსები იძლეოდნენ მაქსიმალურ უკუგებას. ეს აუცილებელია იმიტომაც, რომ ქვეყნის გრძელვადიანი სტაბილიზაციის და ეკონომიკის ზრდის აუცილებლობა განაპირობებდა სიღარიბისადმი დროებით შეგუებას, რისი „ლიმიტიც" ამოიწურა და დგება დრო, როდესაც სიღარიბის ლიკვიდაციის მიმართულებით უნდა განხორციელდეს ფართომასშტაბიანი ღონისძიებები.

„მართე ძლიერები და დაიცავი სუსტები" — ეს დევიზი საუკუნეთა მიჯნაზე მსოფლიო ხალხთა საერთო მოწოდებად იქცა. ქვეყნის მაკროეკონომიკური ამოცანები, სტაბილიზაცია, ეკონომიკური ზრდა, საერთაშორისო გარემოში ადაპტაცია ვერ გახდება ცალკეული სოციალური პრობლემების „მსხვერპლი", თუგინდ იგი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა იყოს. ამავე დროს ყველასათვის ნათელია, რომ ეკონომიკური ზრდა არ ნიშნავს ავტომატურად მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. ამიტომ ჩნდება ამ ორი სტრატეგიული ტენდენციის ერთ პოლიტიკურ მიმართულებაში გაერთიანების ამოცანა. ეს კი უპირველესად სახელმწიფოებრივი რეგულირების ამოცანაა.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება არ ნიშნავს მის სუბორდინირებულ მართვას, როდესაც ზემოდან მომავალი იმპერატივებით წყდება, თუ რა, რამდენი და ვისთვის იწარმოოს, არამედ სახელმწიფო აყალიბებს წარმოებისა და მომსახურების პრაქტიკულ ნორმებს, აწესებს კონკურენტულ გარემოში ინიციატივის გამოვლენის პირობებს, იძლევა დამოუკიდებელი შემოქმედებითი არჩევანის შესაძლებლობებს. არაკონკურენტულ და შეზღუდულ საბაზრო გარემოში მოქმედ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს კი უქმნის მოქმედების საკმაოდ რაციონალურ პირობებს.

კონკურენტულ გარემოში სოციალური სფერო, განსაკუთრებით განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და კულტურა ქმნიან შეზღუდულ საბაზრო სივრცეს. სოციალურ სფეროში ბაზრის შეზღუდულობა განპირობებულია გადახდისუნარიან მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ასიმეტრიული დამოკიდებულებით. არავის არ შეუძლია ექიმთან მისვლამდე განსაზღვროს მისთვის საჭირო მომსახურების მოცულობა. სამედიცინო დაწესებულებაში ვიზიტის შემდეგ კი ხშირია შემთხვევა, როდესაც პაციენტი გადახდისუუნარო აღმოჩნდება. ასეთივე მდგომარეობაა განათლების, კულტურის და სოციალური დაცვის სფეროში. ამიტომ, ბაზრის რეგულირება, მისი სოციალური სეგმენტების ადამიანის განვითარების სამსახურში ჩაყენება სახელმწიფოს აუცილებელი და მნიშვნელოვანი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, საჭიროა შემუშავდეს პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მთელი პაკეტი, რომელიც გამოხატავს სახელმწიფოს ძალისხმევას მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების საქმეში. სახელმწიფოს პოლიტიკურ ძალისხმევას ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის განვითარების პრობლემების მოგვარებაში, როგორც ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებას.

ჩვენ ვიზიარებთ იმ სპეციალისტთა შეხედულებებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ დადგა დრო, შემუშავდეს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის, სიღარიბესთან ბრძოლისა და ადამიანის განვითარების ღონისძიებათა 5-7-წლიანი ეროვნული გეგმა, რომელიც დაემყარება ადამიანთა თანაცხოვრების ღია სამოქალაქო საზოგადოებისათვის დამახასიათებელ წესებს და ჩამოაყალიბებს ქვეყანაში ადამიანის განვითარების პრობლემების გადაჭრის ორიენტირებს. გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის მოსახლეობის არა მარტო ეკონომიკური ზრდის, ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლების საკითხებს, არამედ ამ სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორ ქვეყნებთან თანამშრომლობის წესსაც და ფორმებსაც. ამასთან, გეგმის შემოქმედი უნდა იყოს საქართველოს მთავრობა ღია საზოგადოების წარმომადგენლობებთან ერთად. მის განხორციელებაში ფართოდ უნდა ჩაებათ მსოფლიო ბანკი, მსოფლიო შრომის, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციები და გაეროს სხვა ინსტიტუტები, ჩვენი მეგობარი ქვეყნების კომპეტენტური ორგანოები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

მიგვაჩნია, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და სოციალური განვითარების 5-7-წლიანი გეგმის „საჭრეთელს" უნდა წარმოადგენდეს სიღარიბესთან ბრძოლის მასშტაბური პროგრამა, რომელმაც უნდა დასახოს სიღარიბის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის, აღმოფხვრის, შესაძლებლობების მიხედვით კი, მისი ლიკვიდაციის გზები. სიღარიბის ლიკვიდაციის პროგრამიდან უნდა გამომდინარეობდეს ქვეყანაში მობილიზებული ყველა მატერიალური და ფინანსური რესურსის გამოყენების სფერო და მიმართულებები, ამ პროგრამიდან უნდა გამომდინარეობდეს ცალკეული სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის და ხარისხის შეფასების კრიტერიუმები. ამჟამად, ჩვენს ქვეყანაში სიღარიბის სტრუქტურული და ტერიტორიული თავისებურებები ასეთი პროგრამის შემუშავების აუცილებლობაზე მიგვანიშნებენ.

4. **კულტურათა დიალოგი განპირობებულია ადამიანთა შორის კონტაქტების უსწრაფესი ზრდით.** საქართველოს მოქალაქეები დღითიდღე ახალ-ახალ კულტურულ სახესხვაობებს და მიმდინარეობებს ეცნობიან. გლობალიზაციის პროცესში, ეკონომიკური ზრდის გარდუვალობა განაპირობებს კულტურათა დაახლოების აუცილებლობას. მიიჩნევენ, რომ მსოფლიოში 10 000 კულტურა არსებობს, მაგრამ ბევრი მათგანის მარგინალიზაცია მოხდა, ზოგიერთი კი გაქრა იმიტომ, რომ ხელისუფლება ხშირად წინასწარგანზრახულად თელიდა ტრადიციულ კულტურებს ქვეყნების მოდერნიზაციისა და განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორად. ეროვნებების ფორმირების პროცესში ხშირად ხელოვნურად ახერხებდნენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების შერწყმა-შეერთებას. დამადასტურებელი მაგალითების მოხმობა მრავლად შეიძლება, მაგრამ ამის აუცილებლობა არაა, რადგან მათ, ვისაც ცოტათი მაინც განუცდია „განვითარებული სოციალიზმის" იდეოლოგიური ზემოქმედება, მშვენივრად უწყიან ასეთი მაგალითები. ასე რომ, დღეისათვის მსოფლიოში 8 ათასი ენა არსებობს. მათ შორის 700 ძირითადად ითვლება. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოთა რაოდენობა 200 არ აღემატება, გრძელდება კულტურათა მარგინალიზაციის პროცესი.

ქვეყნები ცდილობენ შეიმუშაონ განვითარების ისეთი მოდელები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის ყველა ფენის ჩართვას სამეურნეო ცხოვრებაში ისეთი პრინციპებით, რომ თანაზომიერად იქნას ათვისებული ქვეყნის ტერიტორიული შესაძლებლობები. განვითარების ასეთი მოდელები, როგორც წესი, ვერ უთავსდებიან გლობალიზაციის ტენდენციებს, რომლებიც არსებითად ცვლიან სოციალურ გარემოს, ამით უაღრესად პრობლემატური ხდება ტრადიციული კულტურული ფასეულობების შენარჩუნება. იქმნება კულტურათა დაპირისპირების პრეცედენტები, რომლებიც ეროვნულ სისტემებში მეტად მტკივნეულად მიმდინარეობენ. საშიში ხდება რომელიმე მათგანის იდეოლოგიზაცია, მას შეუძლია ლოკალური კონფლიქტების გამოწვევაც. ტრადიციული კულტურის იდეოლოგიზაციამ წარმოშვა ისლამური ფუნდამენტალიზმი. ხოლო მსოფლიო კულტურულ ფასეულობათა იდეოლოგიზაცია საფრთხეს უქმნის ეროვნულ კულტურულ მემკვიდრეობებს. აღნიშნული ტენდენციები ჩვენს დღევანდელობაშიც აისახება. ერთნი, რომლებიც ეროვნული კულტურული ფასეულობების იდეოლოგიზაციას მოითხოვენ, საფრთხეს ხედავენ მომძლავრებულ დასავლურ ფასეულობებში და ეროვნული ტრადიციების მარგინალიზაციის შიშით გამოდიან ღია საზოგადოების მშენებლობის საწინააღმდეგო მოსაზრებებით. ნაბან წყალს ბავშვსაც აყოლებენ. მეორენი კი ყოველივე დასავლურის ფეტიშიზაციით ახდენენ ჭეშმარიტ მსოფლიო ფასეულობათა ჰიპერტროფირებას და პრაქტიკულად იაფფასიანი მასკულტურის ფერად კოსტუმებს ირგებენ. ეს დისკუსია მიმდინარეობს არა მხოლოდ ზოგად ფორმებში, არამედ ხშირად ჩვენი პრაქტიკის რეალურ სეგმენტებს მოიცავენ. საკმარისია გავიხსენოთ დისკუსიები ქართული კინემატოგრაფის, მწერალთა კავშირის და სხვათა შესახებ. ყოველივე ეს მიგვანიშნებს, რომ დადგა დრო, როდესაც უნდა გადავწყვიტოთ, თუ როგორი გზა ავირჩიოთ: გამოვიყვანოთ ჩვენი, ეროვნული კულტურული მონაპოვარი ბაზრის კონკურენტული გარემოდან და მოვაქციოთ იგი სახელმწიფოებრივ პატრონაჟში, როგორც აკეთებენ ფრანგები და კანადელები, თუ იგი გახდეს ბაზრის კონკურენტული სექტორის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი, როგორც ეს ამერიკაში, იაპონიასა და გერმანიაშია. კულტურის სფეროში ეროვნული პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობას განაპირობებს ისიც, რომ იგი სრულებითაც არაა მეორადი, როგორც ამას არც ისე შორეულ წარსულში ამტკიცებდნენ, იგი ადამიანთა მატერიალური აქტიურობის აუცილებელი კომპონენტია და განსაზღვრავს მის მიზანმიმართულებასაც და შრომითი ფაქტორების შეერთების წესსაც, რომ არაფერი ვთქვათ მათ ხარისხზე.

კულტურათა დიალოგი გლობალიზებულ გარემოში გულისხმობს: ერთი მხრივ, მოიძებნოს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო კულტურათა სისტემაში ადაპტაციის ფორმები და მეთოდები, ხოლო, მეორე მხრივ, შემუშავდეს მსოფლიო კულტურულ მიღწევათა გათავისების ეროვნული სახესხვაობები, ახალი სტანდარტები მისთვის ახალი იერსახის მინიჭებისათვის. ეს პროცესი რთულია და შეჯერებულია უამრავ ლოკალურ და ეროვნულ პრობლემასთან. ამ პრობლემათა გადაწყვეტა ხშირად მტკივნეულად მიმდინარეობს. ამ დაპირისპირებათა შეერთების წესი კი დამოკიდებულია არა მარტო საზოგადოებრივ აქტიურობაზე, არამედ პოლიტიკურ ძალისხმევაზეც.

**დადგა დრო, შემუშავდეს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის, სიღარიბესთან ბრძოლისა და ადამიანის განვითარების ღონისძიებათა 5-7-წლიანი ეროვნული გეგმა, რომელიც დაემყარება ადამიანთა თანაცხოვრების ღია სამოქალაქო საზოგადოებისათვის დამახასიათებელ წესებს და ჩამოაყალიბებს ქვეყანაში ადამიანის განვითარების პრობლემების გადაჭრის ორიენტირებს.**

5. **მსოფლიოს გლობალიზაციის შედეგები ყველაზე თვალსაჩინოა ქვეყნის მეურნეობის მართვის და ინსტიტუციონალური მოწყობის სფეროში.** ტექნიკური დახმარება, რომელსაც ახორციელებენ დონორი ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში, უაღრესად მაღალია. პრაქტიკულად აღარ მიიღება სტრატეგიული ან მიმდინარე ხასიათის რაიმე ეროვნული სამეურნეო გადაწყვეტილება, რომლებშიც არ მონაწილეობდნენ ჩვენი უცხოელი პარტნიორები. ხშირად მიღებულ გადაწყვეტილებათა საზოგადოებრივ მხარდაჭერასაც უპირატესად უცხოელ სპეციალისტთა ავტორიტეტი განსაზღვრავს. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი ცხოვრების დიდ მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ყოველთვის არ არის ეფექტიანი მათი ხელშეწყობით მიღებული გადაწყვეტილებები. ამ გადაწყვეტილებათა რეალიზების ღონისძიებების ხარისხობრივი მხარეები კი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მაგალითად, ელექტროენერგეტიკის სექტორში მომხდარ გარდაქმნებში პრაქტიკულად მონაწილეობდა თითქმის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ევროპისა და ამერიკის უამრავი სპეციალისტი, რომლებიც მსოფლიო ბანკის, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის და სხვა ორგანიზაციების ეგიდით შემოვიდნენ საქართველოში. ამის შედეგად 1996-1999 წლებში 4 ძირითადი კრედიტორისგან ავიღეთ 170 მილიონი დოლარის საერთო მოცულობის 9 კრედიტი, რომელთა ათვისების შედეგები არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. ელექტროენერგეტიკის სექტორის რეფორმირების პროცესის დაბალეფექტურობა მხოლოდ იმიტომ კი არ არის სამწუხარო, რომ იზრდება ქვეყნის საგარეო დავალიანება, არამედ იმიტომაც, რომ ვერ მოხერხდა ამ სექტორის განვითარების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის შემუშავება და მიღებულ მიმდინარე გადაწყვეტილებებში ნაკლებად იქნება გათვალისწინებული ჩვენი სპეციალისტის შესაძლებლობები. ასეთივე მდგომარეობაა სხვა დარგებშიც. უცხოური ტექნიკური დახმარება გახდა პოლიტიკის განმსაზღვრელიც და მისი რეალიზაციის მთავარი შემოქმედებითი ძალაც. ეს კი უარყოფითად მოქმედებს ადგილობრივი სპეციალისტების შემდგომ დაოსტატებაზე, მათი ცხოვრებისა და შრომის ხარისხზე.

ტექნიკური დახმარების მეშვეობით უდიდესი სახელმწიფოებრივი საკითხები გადაწყდა: მოწესრიგდა საბანკო სისტემა, ჩამოყალიბდა სრულყოფილი საბიუჯეტო პროცესი, მიმოქცევაში შემოვიდა ეროვნული ვალუტა — ლარი, მოწესრიგდა საგარეო ვალების მომსახურების სისტემა, მიმდინარეობს კაპიტალის ბაზრის ფორმირება, აქტიური მხარდაჭერა აქვს საბუღალტრო აღრიცხვის და ანგარიშგების სისტემის ჩამოყალიბებას. ყოველივე ეს გვიჩვენებს, რამდენად ძვირფასია ჩვენი ქვეყნისათვის ასეთი დახმარება. ამიტომ საჭიროა მეტი ძალისხმევა იმისათვის, რომ ამ დახმარების მიზნობრიობა და ეფექტურობა ჩვენი ქვეყნის მოთხოვნების ადეკვატური იყოს, ხელს გვიწყობდეს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაში, მათი როლის ზრდაში ქვეყანაში მიმდინარე სამეურნეო პროცესებში და ღია საზოგადოების განვითარებაში. თორემ ხდება ისე, რომ ტექნიკური დახმარებისთვის გამოყოფილ თანხებს ითვისებენ უცხოელი სპეციალისტები, რომლებიც ჩამოდიან და ისევ უკან ბრუნდებიან, ადგილობრივი სპეციალისტები კი განიცდიან მატერიალურ სივიწროვეს და რჩებიან საკუთარ ქვეყანაში, გადაუჭრელი პრობლემების წინაშე.

**უნდა გადავწყვიტოთ, თუ როგორი გზა ავირჩიოთ: გამოვიყვანოთ ჩვენი, ეროვნული კულტურული მონაპოვარი ბაზრის კონკურენტული გარემოდან და მოვაქციოთ იგი სახელმწიფოებრივ პატრონაჟში, როგორც აკეთებენ ფრანგები და კანადელები, თუ იგი გახდეს ბაზრის კონკურენტული სექტორის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი, როგორც ეს ამერიკაში, იაპონიასა და გერმანიაშია.**

ქვეყანაში მობილიზებული უდიდესი ტექნიკური დახმარების შედარებით დაბალი ეფექტიანობის მთავარი მიზეზი სულაც არ არის დონორი ქვეყნების და ორგანიზაციების მოთხოვნები ან უცხოელი სპეციალისტების კომპეტენტურობა. იგი უნდა ვეძებოთ ჩვენი მართვის სისტემებში. საქმე ის არის, რომ, როგორც 1995-1996 წლებში **„TACIS"**-ის პროექტის — „სახელმწიფო სამსახურის რეფორმა და კადრების მომზადება" — ფარგლებში შესრულებული სამუშაოების შედეგებიდან გამომდინარეობს, საქართველოში ხელისუფლების წინაშე მდგარი ცალკეული არაერთგვაროვანი პრობლემების სწორი და დროული გადაჭრა ვერ ხერხდება მათი სტრუქტურების არასრულყოფილების გამო.

როდესაც ჩვენი ქვეყნის მმართველობის სფეროს განიხილავენ, მარტო უცხოელი კი არა, ჩვენი სპეციალისტებიც მიიჩნევენ, რომ მას ახასიათებს გარკვეული ინერტულობა. მათი აზრით, ეს იმით გამოიხატება, რომ დიდი ცვლილებების მიუხედავად, ჩვენი „სტრუქტურებისთვის" დამახასიათებელია ზემოდან წამოსული დირექტივებისადმი სწრაფი რეაგირება, პირად ინიციატივას კი ნაკლებად ავლენენ, შესაბამისად დაბალია კავშირი საზოგადოებასთან და ვერ ხერხდება მმართველობითი ფუნქციის სრული განხორციელება. ასევე ჩვენი ხელისუფლებისთვის დამახასიათებელია პარალელიზმიც. ეს საკითხი განსაკუთრებულად იჩენს თავს ხელისუფლების სხვადასხვა შტოების ურთიერთობებისას. ამას ემატება განვითარების უმთავრესი სტრატეგიული გეგმების არარსებობა, გარე ფაქტორების ცვლილებების პროგნოზირების სათანადო გამოცდილების არქონა და ა. შ. თუ ყოველივეს იმასაც დავუმატებთ, რომ ჯერ კიდევ მაღალია დისპროპორცია საკანონმდებლო ნორმებსა და სოციალურ პრაქტიკას შორის, რაც ზომაზე მეტად ზრდის მოხელეთა როლს ქვეყნის მართვაში, იმ მოხელეებისა, რომელთა მომზადება-გადამზადებისადმი არ არსებობს ერთიანი სახელმწიფო მიდგომა, რომლებსაც არა აქვთ ქცევის კოდექსი და მათი შრომითი მოტივაცია უაღრესად სუსტია, დავრწმუნდებით, რომ ქვეყნის მართვის სისტემა მოითხოვს ინსტიტუციონალურ და შინაარსობრივ ცვლილებებს.

აღნიშნული მოვლენები მეტნაკლები ზომით დამახასიათებელია თითქმის ყველა განვითარებადი ქვეყნისთვის, რომლებიც იწყებენ თანამედროვე სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობას. გასათვალისწინებელია, რომ ამ პრობლემების დროულად მოუგვარებლობა შეიძლება გადაიზარდოს სტრუქტურულ სახელისუფლებო კრიზისში, რისი სიმპტომებიც უკვე გვაქვს საბიუჯეტო კრიზისისა და მასშტაბური კორუფციის სახით.

გლობალიზაციის პროცესების გავლენა კიდევ უფრო რთულდება. წარმოიქმნება საზოგადოებრივი პრაქტიკის მართვის პარალელური სისტემები. სუსტი მოტივაციის მქონე, ტექნიკურად გაუმართავი სახელისუფლებო ოფისების გვერდით აღმოცენდებიან და ვითარდებიან ცალკეული პროექტების მომსახურე გლობალურ გარემოში ტექნოლოგიურად ჩართული ოფისები. იქმნება რაღაც პარალელური სამყაროების მსგავსი თანაფარდობები, რომლებიც ერთმანეთისკენ კი არ ილტვიან, პირიქით, თანდათანობით შორდებიან კიდეც. ვერ იქმნება მათ შორის თანამშრომლობის ეფექტიანი ფორმები და მეთოდები. იქმნება აუცილებლობა, გაძლიერდეს უცხოური დახმარების (მათ შორის, ტექნიკური დახმარების) და ადგილობრივი შესაძლებლობების კონცენტრაცია (ეს სრულებითაც არ ნიშნავს ხელისუფლების კონცენტრაციას) ერთი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტის ფარგლებში, რომელიც გახდება კოორდინატორი იმ ცვლილებისა, ქვეყნის აღმშენებლობაში რომ შეაქვთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, დონორებს და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს. ეს დაწესებულება უნდა გახდეს ქვეყნის მთავარი, ძირითადი ფუნქციონალური წარმომადგენელი (აგენტი) ქვეყანაში ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის ლიკვიდაციის სახელმწიფო პროგრამის რეალიზების საქმეში. ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის შემცირების ეროვნული პროგრამის შემუშავება, ფინანსური და სხვა რესურსებით მისი უზრუნველყოფა შინაარსობრივად ითხოვს ამ ღონისძიებათა სისტემის განხორციელების ეროვნული კოორდინატორის არსებობას.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბატონ ედუარდ შევარდნაძის მხარდამჭერთა „დარბაზის" ისნის საბჭოს წევრებს მკაფიოდ გვაქვს წარმოდგენილი, რომ ჩვენს წინადადებებში ამომწურავად ვერ აისახებოდა ქვეყნის წინაშე მდგარი მრავალფეროვანი პრობლემები. კარგად გვესმის, რომ ჩვენს მიერ დაყენებული საკითხების გარდა, ქვეყნის პრეზიდენტის უშუალო ზრუნვის საგანია ქვეყნის გაერთიანება და მისი თავდაცვისუნარიანობის, მოსახლეობის უშიშროების გაძლიერების, მდგრადი და უსაფრთხო გარემოს შექმნის, კრიმინალიზაციის აღმოფხვრის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და სხვა პროცესების მართვა. ამ პროცესებში წარმოქმნილი სიძნელეები ისნის რაიონიდანაც კარგად ჩანს. მაგრამ, ჩვენი საზოგადოებრივი მისიიდან გამომდინარე, შემოვიფარგლებით მხოლოდ დღეისათვის ყველაზე აქტუალური საკითხებით, რომლებიც მსოფლიოს გლობალიზაციის გაღრმავების კვალობაზე „სისტემაქმნადია" და განსაზღვრავენ საქართველოს უნიკალური თავისთავადობის პროგრესს მსოფლიო ხალხთა შორის.

ასევე გვინდა, განვაცხადოთ, რომ ჩვენი მოსაზრებები არც იმის მოთხოვნაა, რომ ისინი აუცილებლად იქნას გაზიარებული, და არც სურვილია — გამოხატავდეს ხელისუფლების ნებას მოცემულ საკითხებზე. უბრალოდ ეს ჩვენი მოქალაქეობრივი სულისკვეთების გამოხატულებაა. გვჯერა, რომ მას ბატონი ედუარდ შევარდნაძე შესაბამის ადგილს მიუჩენს თავის საარჩევნო პროგრამაში და გამოიყენებს ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**დავით იაკობიძე,**
**საქართველოს პრეზიდენტის მხარდამჭერი „დარბაზის" ისნის საბჭოს თავმჯდომარე, თბილისის ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი.**

**გურამ თავართქილაძე,**
**თბილისის ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორი.**

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 73.

საქართველოს რესპუბლიკა
№74-75. კვირა-ორშაბათი. 19-20 მარტი. 2000 წელი

## პოეზია უპირველეს ყოვლისა



## ტაგუ მეგურიშვილი

### სხვა სამოთხეც არსებობს

გამოაღე ან ფანჯარა ან კარი
და ოთახი ცით ამივსე ანკარით.
ურიცხვ ჩიტის დავტკბე სტვენით, გალობით
და ბუნების ქველურ უანგარობით.

სილამაზით ერთმანეთს ყოველივე
ეჯიბრება – ხევი ხევს და ველი ველს.
მიწევს რიონის ჩქერი დაქანებული,
როგორც გოგო, ახლად დაქალებული.

ფშვინავს მიწა სასათიბე, საყანე,
შარა-გზაზე ბატები მიყაყანებს.
ჩანს საყდარი, მიყვარს ეკლესია მე,
ლიტანია და ნანდობის სიამე.

იქ პოეტი – მეჩონგურე, მეთარე –
თვისტომების ხატყოფითაც ენტარებ.
შორს კი, თოვლის მოგიზგიზე გორებთან,
მქრქალი ნისლი ზანტად მიიზმორება.

მიხარია საქართველოს სხეულის
სილამაზე მართლაც სამოთხეული.
მაგრამ ღმერთო, ანგელოსთა დასებო,
მე ვიცი რო სხვა სამოთხეც არსებობს.

### გოეთეს

**გოეთეზე დედამისი სამი დღე-ღამე მშობიარობდა თურმე, ჩვენ ერთმანეთს მხოლოდ ქვეყნად ერთნაირი მოვლინებით ვგავართ.**

სამ დღე-ღამეს მშობელი მეც ვაწამე,
ფეხს ვითრევდი, დაბადება არ მსურდა,
წუთისოფლის სიფლიდე სიავამემ
მე მიქცია ქვეყნად. მოსვლა აბსურდად.

განსხვავებით შენგან, ჩემი იმგვარი
საქციელი იყო გამართლებული,
მართლის მოქმელთა მიმართ
შურის გრიგალი
ქროდა ჩვენში – ჭირად დამართებული.

მომავალი ბედისწერის სიავე
სამოშიავე ვიგრძენ და ვახანებდი,
სიჭაბუკე სმაში გავანიავე,
მოყვრის ნაცვლად, მტრების გულს
ვახარებდი.

გულს არც ოდეს მომწოლია ნაღველი,
ჩემს ფირუზს რომ ჯობდა სხვისი აქატი...
უფლის ნებით მგოსნის მქვია სახელი,
თუმც ის არ ვარ, რაც ვიყავი აქამდი.

შენ კი ბედი ვარდებსა და მიმოზებს
გზად გიფენდა, გატარებდა სიასით...
აზნაურ კაცს თავადობა გიბოძეს,
ისეც თავადს, ოღონდ პოეზიაში.

ქუდბედიანს რა გქონდა საყუმანო
საქაოს მოსვლას რო აყოვნებდი?!
ვინც შექმენი ხელიხელსაგოგმანო
შედევრები – გულში ჩასაკონები.

### გამაზრდევინა

**თამრიკო ჭოხონელიძეს**

რომ გავზრდილიყავ, თამარ, შენი
იავნანათი,
მეყოლებოდა თვით უფალიც
თვალმონალანდი.

ხმებში შენი ხმა – უტკბილესი,
უნარნარესი
გამოირჩევა, როგორც ვარდი
ეკალნარებში.

მაგ იავნანით, – ვგრძნობ თვითონვე
მეტისმეტს ვბედავ –
გამაზრდევინა საქართველო ხელახლა
ნეტავ.

ის გახდებოდა უკეთესი ერთი სამადაც,
ალაზევებდა ერი ტახტზე კვლავაც
სამართალს.

თამარ, ჩვენს მამულს, მაგ უბადლო
იავნანათი,
აწ და მარადის ჰქონებოდეს
გზები ნანათი.

### დარჩენას არ ვისურვებდი

ციდან რომ მოვფრენილიყავ,
დარჩენას არ ვისურვებდი,
ქართველებს თუნდ უკვდავების
წყარო ესმიათ სურებით.

არ ვისურვებდი ამ ურიცხვ
სადღეგრძელოთან მედაგა,
მე წავიდოდი ტირილით
და უკან მოუხედავად.

მაგრამ აქ მტოვებს მე მხოლოდ
ჩვილი, რომ გულავს ქარ-თოვა,
რომელიც დედამ, უსახსრომ,
ბაღში, ძელსკამზე დატოვა.

### რა უგემურად

რა უგემურად გავხდი სამოცის,
ომია, არ გავს მყარი –
მყარს, ცა – ცას;
სულ მწუხარების მოსავს სამოსი
და ვერ გავხადე ვერაფრით ძაძა.

ათასი მეხი თვითონ დაეეცით
სამშობლოს, მივწვდით მაშრიყს
თუ მაღრიბს...
წინათგრძნობაა უავესი,
ეს ბუსუსები ტანზე რო მაყრის.

ათქვეფილია ერთურთში ისე
ავი და კარგი, თეთრი და შავი,
რომ ბულბულივით გამოდის ბისზე
სისხლით ყელ-კისერ მოთხვრილი სვავი.

რა უგემურად გავხდი სამოცის,
ჩემი ბედივით ქამი დგას თარსი...
და ვერდამცველი საესავოსი
ვქონდრისკაცდები საკუთარ თვალში.

### მალე

გადიჭიხვინა ელჭექებით ღრუბელთა რემამ
და ხევხუვებში შეჩეხილმა დაიწყო თელვებმა.

ახალგაზრდობამ, ხილულშიც რომ
ჭვრეტდა უხილავს,
გადაიქუხა ათას ვნების ჭექაქუხილად.

ძველი ხალისით აღარ ვსტუმრობ სორს
თუ ფარახეთს,
თვით ოცნებებშიც სიკვდილებმა
გადიბალახეს.

მალე სიცოცხლის ძუძუსწოვას თავს
დავანებებ
და შევუდგები მარადიულ ძილს და
ზმანებებს.

### შტო

**შტო რიონის ტოტს ჰქვია, რომელიც სოფელ როხის ბოლოს მოედინება.**

ისაა ცივი, ლურჯი და მღორე,
მოზრდილი ღელის ტოლა თუ ხელა,
შიგ ბანაობა სოფლის მაღონებს
უყვართ ძალიან, როდესაც ცხელა.

იქ დამიბრმავდა და ამეხილა
თვალი ქალწულთა სიშიშვლის ხილვით,
როგორ მინდოდა მაშინ მეხილა
გამზადებული სასთველოდ ხილი.

ოცნება იყო ფუჭი, რიოში
და ვერ მივუშვი წადილი ნებას...
მე გადაეეშვი იქვე რიონში
და ვაჭიდავე ვნებასთან ვნება.

ჩემს ბედისწერას ეწყევლი და ვესავ
ლექსით – კაცის და ღვთის ნაშიერით,
მე შტო მიყვარდა და მიყვარს დღესაც
და მენატრება ნატვრით მშიერით.

ზაფხული, შტო და სამიოდ მღვდრი
ღღესნამდე მახსოვს ერთურთის
მნუკველს,
ო, ქალწულების ღღესავით თეთრი,
სხეული, ალბათ, დაღამდა უკვე.

### თუ შვილს ვერ ხედავ

**გია აბესაძის ხსოვნას**

თავი დაიწვა ჩვენს თვალწინ კაცმა,
ჩვენ რო ერთმანეთს ვხოცდით
თავხედად...
მაგრამ ჩვენ მისმა თვითგვემამ,
ჯვარცმამ
მისკენ წუთითაც ვერ გაგვახედა.

ჩვენთვის აენთო მხოლოდ და მხოლოდ,
ლამის გვწვდებოდა გიზგიზა ალით
ბოლო საკოცნად თუ საამბოროდ,
მაგრამ ჩვენ ვერც კი მოვკარით თვალი.

დაბრმავებულნი ჯიბრით თუ შურით
ერთურთს ვუტევდით თავგამეტებით,
საგანას გრომად მივყიდეთ სული,
თვითონ გადავწვით ჩვენი ედემი.

რამდენი გმირი არ ვცანით გმირად,
გაგვიმათხოვრდა რამდენი გმირი...
გიორგის, ლამას, თეონას, ცირას არ
ჭირდებოდეთ თითქოს კუმირი?!

ტანკს შეუვარდა ცხუმში თექვსმეტი
წლის მამფორია და ააფეთქა,
შენ კი, შენ ისე გამორჩეტდი,
ვერ შეძელ მკვლრისთვის მადლობა გეთქვა.

უნდა გაკადრო, თუმც ძლიერ მიმძიმს,
უამისოდაც გულმოშხამულო,
თუ შვილს ვერ ხედავ, შენთვის
რო იწვის,
მამ, რა ჯანდაბას ხედავ მამულო?!

### მაღლა!

მესალბუნება ხმა შორეული თარის,
თოთო სინათლე ახლადმობილი
მთვარის.

ახლადმობილი იძერის სიო და ჩრდილი,
თითქოს აკვანში იმშუშნებოდეს ჩვილი.

ბერდება ნატვრა, მწვანე ედება ხავსი,
თავს კვლავ დაეეძებ საკუთარსავე
თავში.

მჯერა ვიპოვნი უკეთესს, მე ვარ
ვიღრე,
ქედს აღმოსაჩენ ტაგუს წინამე ვიღრეკ.

დავიბადები ამ მთვარესავით ახლად,
მერე კი ღვთისკენ: მაღლა, მაღლა და
მაღლა!

### ახლა

საჩვენებელი არა ვარ თითით
არც სიქველეში, არც სიავეში,
მსურდა ამევება, საწუთრო თითლი*
ვერ დავითანხმე, ერთხელ ავეშვი.

ერთხელ ქარივით მინდვრად გავეშვი,
მემტვერებინა გზები ტიალი...
შუმერს ვწვეოდი, სად გილგამეშის
ველურ ენქიდუს წვავდა ტრფიალი.

მეგრძნო მსოფლიოს ქანცის გამცლელი
მირიად ვნების ღელვა და ფრთონა,
არ ვყოფილიყავ ათას დაწერილ
და დაუწერელ კანონის მონა.

სულ უარები გასდევს ზოლივით
თხოვნებს, არ მწყალობს ბედი ზოგივით,
სულ აწონილი და მოზომილი,
განსაზღვრული და გამოზოგილი.

ვერ გააჟღალეს ნათლის ნაფერთლით
უსასოობის ღამე ჭაღებმა...
არ მღირსებია, ისე დავბერდი,
ერთხელ აწყვეტა და გალაღება.

ვიტან უძმობას ანუ სიერთეს
ნახევრადმკვდარი და შენამუსრი...
ახლა, კიდეც რო გავბედნიერდე,
თავს ვერ გამოვყოფ მტირალ მამულში.

* ცბიერი

### აქ

გაზაფხული მოდიოდა ბლებით
საადრიონით
და ბაზარი მწვანე გახლდათ
მწვანილით წალეკილი...
აქეთ ღრიალს რომ იწყებდა
ლომისფერი რიონი,
იქით წყალწითელა შიშით
წკავწკავებდა ლეკვივით.
მახარებდა ბალახვანში თვით ქარზე
წინმასწარა
ეტლში შებმულ თეთრონების მძიმე
ფლოქვთა თქარუნი,
სხვაგან რომ არ ისწავლება, ქუთაისმა
მასწავლა
მრავალი რამ, სულში ძერენა, ტკბილი
რერა-რანუნი.

ინსტიტუტში მოძღვრად მყავდა მეც
კენტავრი ქირონი,
პრომეთეც და ამირანიც ერთი
ჯაჭვით დაებათ...
მაოცებდა წინაპართა საქმენი საგმირონი,
–
ქართულივე სიტყვის მადლით ქცეულნი
უკვდავებად.

აქ გავუგე გემო ლხინს და ღვინის
ლეგა სარდაფებს
და ქცეული მქონდა სული ატოტებულ
ომებად...
სიჭაბუკე იმისთანა გოლეულით
დათაფლე,
რომ კარს მადგას ასე ხშირად მსუყე
შემოდგომებად.

### ნეტავი

ზეცას მობეზრდა ელჭექი,
სეტყვა, ღრუბელთა ოტება...
და სათნოებით იცვლება
ამინდის გაბოროტება.
ამოტყდა ქარი, ჯანღი და
ღრუბელი მიმოიფანტა,
ცა ბრწყინავს, ხმობენ ფოთლები
ვერხვთა, ბზათა და იფანთა.
ნეტავი ჩემი სული სცა –
ჩამოქცეული ავდრებად –
როდის გადიყრის დარდების
ღრუბლებს და მოკრიალდება?!

### ჩავუთვლი კი მადლად

ზის კაჭკაჭი ვერხვზე,
კუდს ხმალივით იქნევს,
ცურს ანებებს დედა
თხა მომშეულ თიკნებს.
ეს აქ ხდება, იქ კი
გლეხი მარგლის სიმინდს
კმაყოფილი, – რაც რამ
აბალია, იმით.
მე კი უკმარობა
მიკიდია ისე,
რომ მეცხრე ცას წვდება
ალი მოგიზგიზე.
უკმარობა მაქცევს
და მამდიდრებს კიდეც...
ერთდროულად მინდა:
ვწერდე, ვსვამდე, ვმკიდე.
სოფლის უალალეს
გლეხად ყოფნა მინდა,
ვთესო, ვხარღნო, შემა
ვზიდო ხარ-ურმითა.
კვლავ შევაღო კარი,
ოღესღაც რო დავხშე.
ვინადირო მწყერზე,
თუ გარეულ ტახზე.
მინდა, მაგრამ ღმერთმა
რომ მისმინოს მართლა
და მაქციოს გლეხად,
ჩავუთვლი კი მადლად?!

### არც სიცოცხლე, არც სიკვდილი

მანიშნებდნენ მოირები ოდენ
მოიარებით.
ღმერთებს სჯიდნენ, მეკი არა,
უწყალო მოირები.
მტეხს წარსული მოურჩენელ,
ტკბილ-მწარე იარებად,
ნეტავ, ხილო აკრძალულო, შენ როდის
მოილევი?!
უსაზღვრობის მოტრფიალე ვკვდები
უსამანობით,
ქვეყნად ყოფნის და არყოფნის
მომლილია მიჯნები.
არც სიცოცხლე, არც სიკვდილი წუთით
თავს არ მანებებს,
სიჭაბუკის სიმღერებო, ვარდებივით
მიჭკნებით.

### ქუთათური ქარი

**(რეზო ჭეიშვილს – ქარების დიდ მოყვარულს)**

ქუთაისო, ხარ სამშობლო ქართა
და არგისტულ სიტყვის მიხერა-მოხერის.
შენ უნდა სულ ღვთის გფარვიდეს
კალთა,
თვით მტერშიც რო ხარ მძებნელი
მოყვრის.

მოყვრისათვის სულ ღია გაქვს კარი,
თვალს მოკრავ და ცა გეხსნება უმალ...
და სულივით მოფანცქალე ქარით
გულში იკრავ, ეფერები სტუმარს.

აქაურ ქარს ათას ქარში ვიცნობ
და ტარება მისი მიყვარს უბით...
ქუთაისი ზენა ქარით მიშრობს,
ცხარე ცრემლი რო მდის ღაპა-ღუპით.

### მაინც

გამომტაცა საწუთრომ სავსე ძუძუს კერტი,
მესმა ეშმას ქირქილი მქირდავი
და მქისე,
ბედნიერმა ცხოვრებამ ჩამიარა გვერდით,
მე შიგ არ მიცხოვრია, ჩამიარა ისე.

მაინც ამ უტკბილმწარეს სიცოცხლით
ვარ მთვრალი,
ასატანად ამ გვემას ლექსის შევება
მიქცევს...
მე გვერდს რომ არ ამიღის,
სიკვდილია ტრელი,
მაგრამ მარადისობაც მე გვერდს
ვერ ამიქცევს.

## სიტყვების საკონტინენტთაშორისო ომი

არჩევნებს, გუშინ რომ გაიმართა ტაივანში, შეიძლება შორს მიმავალი შედეგები ჰქონდეს ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობისათვის. ზოგიერთი ამერიკელი ექსპერტი უკვე მომავალ შეიარაღებულ კონფლიქტზეც ალაპარაკდა. სხვებს ჩინეთის მუქარა ტაივანისადმი ბლეფი ჰგონიათ.

როდესაც ოთხი წლის წინათ ტაივანში პრეზიდენტის პირველი დემოკრატიული არჩევნები მიმდინარეობდა, ჩინელებმა კუნძულის მიმართულებით გაუშვეს ბალისტიკური რაკეტები, რომლებიც მისი სანაპიროს შორიახლოს ჩამოცვივდა. პასუხად, ვაშინგტონმა მოაწყო ამერიკის ძალის უმაგალითო დემონსტრაცია და ტაივანის სრუტეში გაგზავნა არმადა, რომელშიც შედიოდა ორი ავიამზიდი და 14 თანმხლები ხომალდი(!)

ოპტიმისტები აღნიშნავენ, ამჯერად ჩინეთი რაკეტებამდე არ მიიყვანს საქმეს და მხოლოდ მუქარას იკმარებსო. წყნარ ოკეანეში განლაგებული ამერიკის ძალების სარდალმა ადმირალმა დენის ბლერმა წინა კვირას კონგრესში გამოსვლისას განაცხადა, რომ პეკინი სჯერლება სიტყვებს და არ გადადის საომარ სამზადისზე.

მაგრამ „ვაშინგტონ პოსტმა“ ეს სიტყვები საკმაოდ პროვოკაციულად ჩათვალა საიმისოდ, რომ პარასკევს მათთვის მიეძღვნა სარედაქციო სტატია სათაურით „პრემიერი ჯუ დონ კორლეონე“. გაზეთმა გააერთიანა ჩინეთის პრემიერ-მინისტრის ჯუ ჟუნძისა და მაფიის მოთავის – „დიდი ნათლია“ დონ კორლეონეს სახელები, იმიტომ, რომ, მისი აზრით, ტაივანის თაობაზე პირველის გამონათქვამები თავისი სტილით ორი წვეთი წყალივით ჰგავდა თავისი მეორეს სიტყვებს.

ჯუ ჟუნძიმ ოთხშაბათს პრესკონფერენციაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ თუ ტაივანელი ამომრჩევლები არ გაითვალისწინებენ პეკინის სურვილებს, მაშინ საქმე ცუდად დამთავრდება. მან მასხრად აიგდო დასავლელი ექსპერტები, რომლებიც სერიოზულად არ მიიჩნევენ ჩინეთის მუქარას იმ საბაბით, თითქოს ჩინეთს უბრალოდ არ ეყოფა ძალები კუნძულზე შეჭრისათვის. *„ადამიანებმა, რომლებსაც ასეთი დასკვნები გამოაქვთ, არ იციან ჩინეთის ისტორია — თქვა ჯუ ჟუნძიმ, — ჩინელები მზად არიან, დაღვარონ სისხლი და გაწირონ თავი სამშობლოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად“.*



წინასაარჩევნო ბრძოლა ომის მუქარის ფონზე: ერთ-ერთი კანდიდატის მომხრენი ტაიბეის ბუდისტურ ტაძართან

„ვაშინგტონ პოსტის“ აზრით, ყოველივე ეს უფრო ჰგავს ბანდიტურ „მიწოლას“, ვიდრე „პრაგმატიკოსი და რეფორმატორი“ მოღვაწის სიტყვებს, როგორადაც ხშირად ახასიათებენ ჯუს დასავლეთში. პესიმისტები ვარაუდობენ, რომ საქმე კონფრონტაციისაკენ მიდის. ამას ამბობს აშშ ყოფილი თავდაცვის მინისტრი უილიამ პერი, რომელმაც 1966 წელს სამხედრო ხომალდები გაგზავნა ტაივანის ნაპირებთან. თებერვალში კონგრესის სხდომაზე გამოსვლისას ცენტრალური დაზვერვის დირექტორმა ჯორჯ ტენეტმა შენიშნა, რომ შაბათის არჩევნებს „პოტენციურად შეიძლება მოჰყვეს კიდევ ერთი სამხედრო აფეთქება“ ტაივანის სრუტეში.

„საომარი კონფრონტაცია გარდაუვალია“ – აცხადებს აშშ თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე ჩარლზ ფრიმენი, რომელიც დიდხანს მუშაობდა დიპლომატად პეკინში. თუმცა, უახლოეს ხანს საომარი კონფლიქტი ნაკლებად სარწმუნოა, ამბობს ფრიმენი, მაგრამ „საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მომავალში აშშ და ჩინეთი ომს დაიწყებენ ამ საკითხის გამო“.

ოპტიმისტები საზოგადოებრიობას ამშვიდებენ, რომ ჩინეთს არა აქვს საიმისო წელი, ტაივანზე რომ შეიჭრას და ძალით შეიერთოს იგი, როგორც ბოლო დროს იმუქრება, მაგრამ პესიმისტები აცხადებენ, რომ ეს პროგნოზი ემყარება მოკავშირეთა 1944 წლის ზაფხულის ნორმანდიის ოპერაციის გამოცდილებას, როდესაც მათ ცეცხლქვეშ მიიტანეს იერიში ნაცისტთა სანაპირო პოზიციებზე.

კარნეგის ფონდის თანამშრომელმა რობერტ კეიგენმა, რომელმაც ამ რამდენიმე დღის წინათ გამოაქვეყნა „ვაშინგტონ პოსტში“ სტატია სათაურით „როგორ დაიპყრობს ჩინეთი ტაივანს“, გამოთქვა პროგნოზი, რომ ჩინელები დაადგებიან სხვა გზას. ისინი ერთბაშად მოსპობენ ტაივანის სამხედრო ინფრასტრუქტურას მასირებული რაკეტების ზალპით და ასე აიძულებენ, დანებდეს, ყოველგვარი დესანტის გადაუსხმელად. ამ მომენტში პენტაგონს არ გააჩნია არავითარი გეგმა, როგორ დაიცვას ტაივანი ასეთი ვარიანტის დროს, თუმცა, ეს უფრო სარწმუნოა, ვიდრე მასირებული შეჭრა კუნძულზე.

ვინც არ უნდა იყოს მართალი ამ კამათში, თვით ასეთი პროგნოზების ფაქტი კარგს არაფერს მოასწავებს. ყოფილი აშშ სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი შიშობს, რომ ვაშინგტონი და პეკინი სულ ტყუილუბრალოდ ამოყოფენ თავს ბარიკადის გაღმა-გამოღმა. ჩვენ დავაჯერებთ საკუთარ თავს, რომ მთავარი მტრები ვართ ერთმანეთისათვის“, – ამბობს იგი.

## ტაივანმა ამჯობინა არ გაამწვავოს ვითარება

**ტაივანში დამთავრდა ხმის მიცემა პრეზიდენტის არჩევნებში. ჩინეთმა, რომელიც ტაივანს თავის ამბოხებულ პროვინციად თვლის, გააფრთხილა ამომრჩევლები, თავი შეიკავოს დემოკრატიული პროგრესის პარტიის მხარდაჭერისაგან, ვინაიდან ეს პოლიტიკური კავშირი იმის მომხრეა, რომ კუნძულმა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადოს თავი. თუმცა, თავად კანდიდატმა, ჩენ შუიბიანმა თქვა, რომ გამარჯვების შემთხვევაში არ გაატარებს დამოუკიდებლობის კურსს. აშშ თავდაცვის მინისტრმა უილიამ კოენმა, რომელიც ამჟამად შორეულ აღმოსავლეთში მოგზაურობს, ხაზი გაუსვა, რომ კმაყოფილია, ვინაიდან ჩინეთის მხარემ ხმის მიცემის დღეს თავი შეიკავა მუქარისაგან, და იმედოვნებს, რომ ტაივანის ლიდერი განავითარებს დიალოგს კონტინენტურ ჩინეთთან.**





## სტივენ კინგმა ინტერნეტშიც კოშმარი დაატრიალა

ინტერნეტის საიტებმა, რომლებშიც პოპულარულმა მწერალმა სტივენ კინგმა გადაწყვიტა, ერთ-ერთ პირველს გამოექვეყნებინა ექსკლუზიური წესით თავისი რომანი „ტყვიაზე ამხედრებული“, ვერ გაუძლეს დატვირთვას და მწყობრიდან გამოვიდნენ. რომანის ინტერნეტში გამოქვეყნებიდან რამდენიმე საათის შემდეგ მის საიტებში მოხვედრა სცადა ერთბაშად ორ მილიონამდე მკითხველმა, რამაც თითქმის შეუძლებელი გახადა მასზე გასვლა. გამომცემლები ინტერნეტს უწოდებენ წიგნის გამოცემის საქმეში წინგადადგმულ ნაბიჯს, მაგრამ ამავე დროს, აღიარებენ, რომ ახალი ტექნოლოგიები მკითხველთა მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდნენ.

## ლუკაშენკომ ოპონენტს სეირი უჩვენა

ბელორუსიის პრეზიდენტის ალექსანდრე ლუკაშენკოს პოლიტიკურ ოპონენტს მეწარმე ანდრია კლიმოვს მინსკის სასამართლომ ექვსი წლის ციხე მიუსაჯა სამეწარმეო საქმიანობის წესის დარღვევისა და საბიუჯეტო სახსრების დატაცების ბრალდებით. ანდრია კლიმოვი, რომელმაც უკვე ორი წელიწადი გაატარა პატიმრობაში, პრეზიდენტ ლუკაშენკოს მიერ გარეკილი პარლამენტის წევრი იყო. მას არაერთგზის დაუდევია პრეზიდენტისათვის ბრალად კონსტიტუციის დარღვევა და აცხადებს დასაჭერიაო. ლუკაშენკომ კი გადაწყვიტა, ეჩვენებინა, ვინ არის დასაჭერი...

## ვინ მისცა უფროსს თვალთვალის უფლება?

პარიზის წამყვანი მოდის სახლის მეთაურს მიშელ აზაროს პირობით მიესაჯა ოთხი თვის პატიმრობა თანამშრომლების საუბრების ფარული მიყურადებისათვის. ეს მაშინ გამოვლინდა, როდესაც დიზაინერის ყოფილმა პრესმდივანმა თავის კაბინეტში აღმოაჩინა პლინტუსში ჩამონტაჟებული მოსასმენი მოწყობილობა. აზარო ამტკიცებდა, რომ ეს არის არა თვალთვალის საშუალება, არამედ ჩვეულებრივი უხაფრთხოების უზრუნველყოფის მოწყობილობა. სასამართლოში პოლიციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ, როდესაც აზაროს სახლში ჩხრეკას აწყობდნენ, იმდენი ნაირ-ნაირი მაეთულები, სადენები, მიკროფონები და კამერები ნახეს, რომ ელექტრონიკის სპეციალისტი შემფოთდა, აზაროს უბედურება არ შეემთხვეს მოკლედ ჩართვის ან ელექტროშოკის შედეგადო.

## ფენს „სმიტ-ვესონს“ სხვა ვერ ისვრის

შეერთებული შტატების მთავრობამ შეწყვიტა ქვეყანაში იარაღის უდიდესი მწარმოებლის – კომპანია „**Smith and Wesson**“-ის სასამართლო დევნა. კომპანია დათანხმდა, ისე შეიცვალოს თავისი იარაღის მოდელების კონსტრუქცია, რომ ისინი უსაფრთხო გახდეს. ცვლილებები ითვალისწინებენ იარაღის დამცავებით აღჭურვას, რათა ბავშვებმა შემთხვევით ვერ გამოჰკრან თითი ჩახმახს, აგრეთვე, მფლობელის იდენტიფიკაციის ტექნოლოგიის გამოყენებას. „**Smith and Wesson**“-ი შემოიღებს აგრეთვე, ზოგიერთ შეზღუდვას თავისი ლიდერების საქმიანობაში, რათა შეამციროს დამნაშავეთა ხელში იარაღის მოხვედრის რისკი. აქამდე, კომპანიის წინააღმდეგ შეიტანეს რამდენიმე სასამართლო სარჩელი, რომლებიც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილ ძალადობასთან იყო დაკავშირებული. პრეზიდენტმა კლინტონმა „სმიტ-ვესონთან“ მიღწეულ შეთანხმებას ისტორიული უწოდა და გამოთქვა იმედი, რომ დანარჩენი იარაღის მწარმოებლებიც მიბაძავენ ამ მაგალითს.





## ჰილარის სექსუალური უმცირესობები შემოსწყრნენ

ამერიკის პირველ ლედის ჰილარი კლინტონს კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხეს თავს გეებმა და ლესბიანებმა იმის გამო, რომ გადაწყვიტა, მონაწილეობა მიეღო წმ. პატრიკის დღისადმი მიძღვნილ მსვლელობაში, ყოველ წელიწადს რომ ეწყობა ხოლმე ნიუ-იორკში. საქმე ის არის, რომ პარადის ორგანიზატორები ალღუმს ახლოს არ აკარებენ ირლანდიელ ეროვნულ უმცირესობათა ორგანიზაციას – ამის გამო დემოკრატიულ პარტიაში შემავალი პოლიტიკოსები, ჩვეულებრივ, ბოიკოტს უცხადებენ მსვლელობას. მაგრამ ჰილარი კლინტონმა, რომელსაც განზრახული აქვს, აშშ სენატში გავიდეს ნიუ-იორკისაგან, გადაწყვიტა, აღლუმს დასწრებოდა და ამრიგად გამოეხატა მხარდაჭერა ჩრდილოეთ ირლანდიის სამშვიდობო პროცესისადმი. ჰილარის გადაწყვეტილებამ, როგორც ბი-ბი-სის კორესპონდენტი იუწყება, შეიძლება მას აუმხედროს ადგილობრივი დედათმავალ-მამათმავლების თემი, რომლებიც აქამდე მხარში ედგნენ. ინციდენტი ჰილარი კლინტონის კრიტიკოსებს აძლევს საბაბს, ბრალად დასდონ, რომ ვერ ერკვევა შინასაქალაქო პოლიტიკაში.

## NASA მარსის პროგრამას ყინავს

მარსზე ადამიანის გაფრენის შესაძლებლობა გადაიდო იმის გამო, რომ შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტა, შეაჩეროს მეწამულ პლანეტაზე სიცოცხლის კვალის ძებნა. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს მას შემდეგ, რაც მარცხით დამთავრდა მარსზე ორი მრავალმილიონიანი კოსმოსური აპარატის გაშვება. პლანეტების კვლევის პროგრამის ხელმძღვანელის – დოქტორ კარლ პილჩერის თქმით, ამ მიმართულებით სამუშაოები არ განახლდება მანამდე, სანამ ამერიკის კოსმოსური უწყება არ ისწავლის მარსზე კოსმოსური აპარატების დასმას. მარშან ერთი აპარატი დაიკარგა კოსმოსში იმის გამო, რომ კონსტრუქტორებს შეცდომა მოუვიდათ სხვადასხვა მეტრული სისტემებით შესრულებულ გაანგარიშებებში, ხოლო მეორე მარსის ზედაპირზე დაშვებისას დაიმსხვრა.



## დირექტორის მოხსნა უშველის?..

უკრაინის მთავრობამ გაათავისუფლა დირექტორი, მთავარი ინჟინერი და კიდევ რამდენიმე კაცი იმ ქვანახშირის შახტის ხელმძღვანელობიდან, სადაც მომხდარი აფეთქების შედეგად 80 კაცი დაიღუპა. შემთხვევის მიზეზების გამომძიებელმა კომისიამ გამოიტანა დასკვნა, რომ არ სრულდებოდა უსაფრთხოების წესების ბევრი მოთხოვნა.

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადეს
არჩილ მანჯგალაძემ, ლევან ბოჭორიშვილმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამატება
ბავშვებისათვის №3
2000 წლის მარტი.

# დილა მშვიდობისა



## გრიგოლ აბაშიძე

### ტყეში

ტყეს მწვანე ფარჩა ჩაუცვამს,
ჭრელ ნოხებს ჰგვანან ველები,
ყურებს აცქვეტენ კურდღლები,
ლაღობენ დათვის ბელები.

ყველა ფრინველი ბარტყსა წვრთნის,
მართვები ფრენამ დაღალა,
სტომას, გალობას სწავლობენ
ყველა ბარტყი და ბახალა.

ყვავილთა გაშლას გვახარებს
ფუტკრების აზუზუნება...
გაზაფხულია,
გამოდით,
გაუღვიძია ბუნებას!





### გაზაფხული

აღარც ქარი, აღარც სუსხი,
აღარც თოვლის ნარჩენია,
ტყემლის ყვავილს ფიფქი სცვივა,
ატმებს ცეცხლი გაჩენია.

ცის ლაჟვარდში ტოროლები,
აივანზე მერცხლებია,
გამოსულან ჰატარები,
მათი ცქერით ვერ ძღებიან.

აკვირდება, უკვირს ჩიჩოს,
თუმცა სხვებზე დინჯი კია:
ეს, ტოლები ემახიან,
თუ ჩიტების ჭიკჭიკია?

სტვენს ბულბული, შაშვი გალობს,
ბინად ტყე აქვთ არჩეული,
მიწას მოლი მოჰფენია,
ტყეებს — მწვანე ფარჩეული.

აღარც ქარი, აღარც სუსხი,
აღარც თოვლის ნარჩენია,
ტყემლის ყვავილს ფიფქი სცვივა,
ატმებს ცეცხლი გაჩენია!

## გივი ჭიჭინაძე.

### ენის გასატეხი:

### ენაჭარტალა ელენე



ექვს სტუმარს ერთად ელისო,
ეკუნას, ელდარს, ექვთიმეს,
ეკას, ემზარს და ელისოს.
კედელ-ჭერს სწვდება სურნელი
სველ-სველი ენძელებისო.

## გიორგი წერეთელი

### ხელები



ჰირს ვიბანთ,
საჭმელს მივირთმევთ,
ჩვენი ჰატარა ხელებით.
კიდევ რად გვინდა ხელები?
დედიკოს მოვეფერებით.
რომ გავიზრდებით დიდები,
რას გავაკეთებთ ხელებით?
დედა სამშობლოს მოვხატავთ
ლამაზ-ლამაზი ფერებით.

## ტელეფონით მოყოლილი ზღაპრებიდან

### ჯანი როდარი (იტალია)



### ამბავი ქვეყნიერებისა

დედამიწაზე თავდაპირველად ყველაფერი უსწორმასწორო იყო და ფეხის მოკიდება ჭირდა. ვერსად მდინარეზე ხიდს ვერა ნახავდი და არც გზა ჩანდა სადმე, არც ბილიკი. დგომით მუხლებჩამოწყვეტილს დაჯდომა არ შეეძლო — სკამი ვინ იცოდა, რა იყო, ჯერ გაგონილიც არა ჰქონდათ! საწოლს ხომ ნულარ იტყვი, მთელ ამოდენა დედამიწის ზურგზე ერთი რა არის, ერთ ცალსაც ვერ იპოვნიდი. რა ფეხსაცმელი, რის ფეხსაცმელი! შენი დღე და მოსწრება ფეხშიშველას უნდა გევლო. თვალთ თუ დაგაკლდებოდა, სათვალეს ტყუილად დაუწყებდი ძებნას. რაც არ იყო, რას იპოვნიდი. ბურთი კი არა, კიდევ რა გინდა, მოგართმევდნენ! არც ქვაბი იყო, არც ცეცხლი, და აბა ისე მაკარონის მოხარშვა სად გაგონილა. ანდა რა უნდა მოგეხარშა, როცა მაკარონიც არ იყო. ცარიელ-ტარიელ დედამიწაზე მარტო ადამიანები იყვნენ. იდგნენ და თავიანთი ნაჯაფარი ხელებით ასწორებდნენ ათას უსწორმასწორობას. მაგრამ ქვეყანაზე უსწორმასწოროს რა გამოლევს. მაშ მიდი, დაიმკლავე და შენც შეუდექი საქმეს. გასასწორებელი ყელამდეა.

თარგმნა
გურამ გოგიაშვილმა.

## ლიდია მეგრელიძე

### ნაძვი



დგას ტყის პირას ტანაყრილი
ნორჩი, პაწაწინა,
ხან ნიავი უალერსებს,
ხან შხაპუნა წვიმა.
დგას პაწია, ნორჩი ნაძვი,
თავს იწონებს ტყეში, —
სულ მწვანეა, თბილ დარშიაც
და თოვლიან დღეშიც.

## ნუნუ კერესელიძე

### თხა



თხა მყავს კუდა და ნაცარა,
მთელი ვენახი გაცალა,
ისე შესანსლა ყურძენი
წვერი არ გააცანცალა.
ამბობს ბაბუა ილია
ამას ჩამოსმვრეს კბილია.
თავიდან მოვიცილებდი,
რმე რომ არ ჰქონდეს ტკბილია.

## მანანა რამიშვილი

### ხეები



ხე ჟანგბადს გვაძლევს საჭიროს,
ხილს გვაძლევს უხვად, სალხინოს,
მიწას ამაგრებს ფესვებით
და მრავალ ფრინველს მასპინძლობს.
ზამთარს აგვავსებს შეშით და
ზაფხულში წყაროს წყალითა.
ოთახიც მან დაგვიმშვენა
თარო-მაგიდა-სკამითა.

## შუშანა მგელაძე

### ხე და ბავშვი

რუსთაველის გამზირზე,
დილით, როცა იალებს,
უზარმაზარ ჭადართან
პატარა ხე შრიალებს.

ახლავს თავის სურნელი,
აქვს ლამაზი იერი
ჭადარს კიდეც სჯობია
თავის სიმშვენიერით.

თბილისურმა ნიავმა
ააჟღერა ნოტები, —
ხესთან ბავშვი შეჩერდა
შეარხია ტოტები.

ფოთლებს მიუალერსა,
გადაშალა რვეული
და ფერადი ფანქრებით
ხე დახატა რჩეული.



შევყურებ და
[illegible]:
ვჩურჩ[illegible]
გაიხარე,
იდიდე,
ხე და ბავშვი
ყოფილა
საქართველოს
სიმდიდრე.

### სესე



ერთი პატარა
ბიჭი ვარ,
სახელად
მქვია სესე.
ბუბულის
ძახილს მივბაძე,
ბევრი ვკაფე და ვთესე.

წინ მიმიძღოდა მურია,
თავის ფუმფულა კუდით,
მიმაცილებდა ყიყინით
თეთრი ბატების გუნდი.

გზაზე მდინარე შემომხვდა,
ვკითხე — საითკენ, წყაროვ?!
— იმ შენს ბოსტანში მივდივარ,
მინდა რომ აგიმწვანო.

მართლაც ამწვანდა კომბოსტო,
კიტრი, სტაფილო, ხახვი,
კბილდაკრეჭილმა სიმინდმა
მთლად გააოცა ხალხი.

ასეა, შრომის ნაყოფი
მუდამ ახარებს ძიასაც,
[illegible] გადაჭიმულა,
ზევით ტყე გ[illegible]
ქვევით ბოსტანი და ყანა.

მოსწავლე უნდა სწავლობდეს,
იყოს ბეჯითი, მშრომელი,
უყვარდეს თავის სამშობლო
და გაახაროს მშობელი.

## მამუკა ფილიშვილი

### მგალობელი ჩიტი გალობს

გივი ჭიჭინაძის ნათელ ხსოვნას

ჩიტო, ჩიტო, ჩიტუნიავ,
ოო, რა ტკბილად გალობ ისევ,
ხიდან ხეზე დახტი, რადგან —
კვლავ დაგიდგა გალობის თვე.
მგალობელი ჩიტი გალობს,
ყვება კარგად ნაცნობ ზღაპარს,
სტვენაში და გალობაში
მას ბადალი არსად არ ჰყავს.
ის უგალობს ტურფა მხარეს
და ბავშვობის წმინდა წუთებს,
სიბრძნეს შესძენს მას — ვინც მის ხმას,
გულისყურით ყურს დაუგდებს.
მოუსმინეთ პატარებო,
ის ხომ თქვენთვის,
თქვენთვის გალობს;



მას სურს ყველამ
მშობლიური
„დედა-ენა" შეისწავლოს.
სიმღერები იმღეროთ და
გული ლხენით მოიჯეროთ,
იხარო და იდღეგრძელო,
[illegible]ბიერო!
იმერო და [illegible]
ჩიტო, ჩიტო, ჩიტუნიავ,
ოო, რა ტკბილად გალობ ისევ
ხიდან ხეზე დახტი, რადგან —
კვლავ დაგიდგა გალობის თვე.

## შოთა ხოდაშნელი

### ძილფიცილა და ჭამაფიცილა

ერთი იტყვის, მეორეს
არა ჰყოფნის სიცილად.
ლია ძილფიცილაა,
ზურა — ჭამაფიცილა.
გოგო, იცი, რა დროა
მზემ აგასწრო ლიაო.
აქამდე რა გძინებს?
— მე არ მიძინიაო.
— მე მეძინა, რას ამბობ,
ახლა ზღაპარს მოუყვები!
ამბობს ლია, ძილისგან
დასიებულ ლოყებით.
სუფრასთან რომ სხდებიან
ზურიკო და ლიაო.
ზურა ორივ ყბითა სჭამს და
— მე არ მიჭამიაო.

— დიდი ჯამით წვნიანი,
შენ რატომ არ გებევრა.
დაიხედე, მუცელი
როგორ გამოგებერა.
— ეს საუზმენად რომ ავდექ,
ადრიანად დილისთვის,
ნავარჯიშევს მომწყურდა,
ბევრი წყალი მივირთვი.



ერთი იტყვის, მეორეს
არა ჰყოფნის სიცილად.
ლია — ძილფიცილაა,
ზურა — ჭამაფიცილა.
არ უფრთხიან ამინდებს,
თოვლიან და ქარიანს:..
ჯიბრიანი და-ძმანი,
ჯიუტებიც არიან.

## ხალხური

### თხას უთხრეს



თხას უთხრეს, მგელი
მომკვდარა!
თხამ ნავარდი ქნა, გაიქცა.
— თხაო, ნუ გაგხარებია,
განა სამგ[illegible]თი დაიქცა,
იმას რო დარჩა ლეკვები,
ისინიც მგლებად მაიქცა.

საქართველოს რესპუბლიკა
№74-75. კვირა-ორშაბათი, 19-20 მარტი, 2000 წელი.

## ალექსი ნამორაძე

### ჩემს საქართველოს

გაზაფხულმა ფრთა შეისხა,
მზე სხივს აქსოვს მწვანე მდელოს.
გაუმარჯოს აყვავებულ
ჩემს საყვარელ საქართველოს.
მიყვარს მისი მწვერვალები,
შეჭირხლული ვერცხლის ფერით,
სათაყვანოდ გამიხდია
სამშობლო და ჩემი ერი.

### გაზაფხული

ტყე უკვე იმშუშნება
თოთო ყლორტებაყრილი.
გაიღვიძა ბუნებამ,
კვირტში ღვენთავს აპრილი.
გაზაფხული მერქანში
მფოთავს, ველარ ეტევა,
მზის სხივები ცის გუმბათს
შესდგომიან სვეტებად.

### წვიმა

ზღვაზე წვებიან თეთრი ღრუბლები,
შავდებიან და ცისკენ მიდიან.
ცას დაფარავენ მწვერვალებს ზემოთ
მზე იკარგება, მთებში ბინდია.
მერე ერთმანეთს შეეხლებიან,
ელვა გააპობს ბნელ ქაოსს მძვინვარს,
იქუხებს, ზეცა შეზანზარდება,
კოკისპირული წამოვა წვიმა.

### მთაში



ხან მზიანი ამინდია,
ხან ქარი და ნისლი.
იალაღზე ჰირუტყვი სმოვს,
ფრთოსნების ხმა ისმის.
აყვავებულ ველ-მინდვრებზე
დანავარდობს სიო,
ცაში არწივს გალაღებულს
თვალით უნდა ვსდიო.
კლდეთა ქალაქს მიაშურებს
მართვეების დედა
ჰატარები მოელიან
ბუდეში რომ სხედან.
მდინარეთა ხმა ღრიალის
ცას შეჰკივის თითქოს.
მთა კი მუდამ მდუმარეა,
ნეტა რაზე ფიქრობს?

## გაზაფხული

დედამიწამ გაიღვიძა და მზის სითბოსაგან გაცოცხლდა. აშრიალდნენ ჭადრები, ტყის პირად მწვანედ აბიბინებულ ჯეჯილის შუაგულში მწყერს ბინა გაუჩენია და საამურად ქვითქვითებდა. კლდიდან რძისფერი ნაკადული ჩქეფდა. ბუჩქის ძირას ცისფერთვალება ია იმზირებოდა. ტყის სიღრმეში თეთრად გადაპენტილი ტყემალი მოჩანდა და ათასგვარ ხმებზე ფრინველთა გალობა ისმოდა. აქ გაეჩინათ ადგილსამყოფელი ჩიტბატონას, შოშიას, ჭინჭრაქას, ჩხართვს და მრავალ სხვა ფრთოსანს. მწერებსაც გალვიძებოდათ და ფრინველებს მათთან ორთაბრძოლა ჰქონდათ გაჩაღებული. როჭოს მარაოსავით გაეშალა ფრთები. კუნძზე შემომჯდარი ქორი თვალებს აბრიალებდა.



მზემ მეტად დააცხუნა, უზარმაზარ ცეცხლოვან დისკოდან აფრქვევდა სითბოს, სხივებს ირგვლივ ფანტავდა. მომრავლდა მაისის ხოჭო და ნაირნაირი პეპელა, მინდორი ყვავილებმა ააფერადა. და პეპლები ყვავილიდან ყვავილზე დაფარფატებდნენ. მათ დანახვაზე გავიფიქრე, — რატომაა პეპელას სიცოცხლე ასე ხანმოკლე, რატომ ვერ ძლებს იგი ზამთრამდე?.. „აწმყო წამია მარადისობისა?“ კოდალას ნისკარტის მორეული კაკუნი ნაცნობ სიბრძნესავით ჩამესმა.

უეცრად ამინდი შეიცვალა, ცა მოიქუფრა, შავი ღრუბლები წამოიშალნენ. ჯერ შეჯგუფდნენ, მერე იქით გაიშალნენ, საითკენაც ნუში და ტყემალი ჰყვაოდა. შავმა ჩრდილებმა ყველაფერს ყვავილები დააწყვიტეს. მერე კვლავ შეჯგუფდნენ ღრუბლები, ქუხილს მოუხმეს და გრგვინავდნენ. ტყე უნდა გახმეს, რომ სუნთქვა შეწყდეს... აღარ გალობდეს ბულბული, არ ჩხრიალებდეს ნაკადულები, აღარ იფურჩქნებოდეს იაგარდი...

მათ დაძახილზე მზემ უცბად ისე გამოანათა, ღრუბლებმა კუშტად მოკუმეს პირი და უხმოდ გაიფანტნენ.

სიცოცხლე კვლავ ჩქეფდა! მზემ გაათბო ნაზამთრი დედამიწა.

ციალა ბრეგვაძე.

## შოთა ამირანაშვილი

## გამოცანები

1. ცხვირზე შესკუპებული
მოელვარე მინა.
მუდამ ცალკე იბუდებს,
როცა პატრონს სძინავს.
([illegible])

2. თუმცა თვალები მეხუჭა,
ათასი რამე ვნახე,
ყველაზე უმალ რომელი
მეტყვის ნანახის სახელს?
([illegible])

3. შევაერთებ ნაპირებს და
მდინარეზე ტვირთსა ვზიდავ,
მგზავრიც დამყავს ზურგით, მაგრამ
ფეხს არ ვიცვლი ადგილიდან.
([illegible])

4. ქსოვს სწრაფად და ოსტატურად,
არც დაზგა აქვს, არც ხელები.
მსხვერპლს დაუდებს ხოლმე მახეს,
ალბათ, თქვენც
ხართ მნახველები.
([illegible])

5. რამდენადაც მეტს მოაკლებ,
იმდენად უფრო დიდდება,
მზეს უმნელდება ჩაღწევა
და შინ თანდათან ბინდდება.
([illegible])

6. ის რომ არა, კრინტსაც კი
ვერ დავძრავდი მაშინ,
ახლაც მისი წყალობით
პასუხს მეტყვი წამში.
([illegible])

7. სადაც სახლებს აშენებენ
იქ მას ხშირად ნახავ,
ჟირაფივით კისერი აქვს,
დაუღია ხახა;
თითო ლუკმად არა ჰყოფნის
თითო ტონა მიწა,
ჰოდა, ალბათ, იმ მანქანის
სახელს მეტყვი იმ წამს!
([illegible])

## ანდაზები

ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო.
აგორებული ქვა ხავსს ვერ მოიკიდებსო.
აგურის ნატეხი ლალს შეუდარეს, აქაო და წითელიაო.
ადამიანი ადამიანის წამალიაო.
ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი დაიჭერსო!
ავთა მამათა ნაქნარი ან შვილს გადახდება, ან შვილიშვილსაო.
ავი კაცი აღდგომასაც ავიაო.
ავი სიტყვა მის მთქმელსაო.
ავსა სხვაც ავი ჰგონიაო.
ათჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერიო.
ალვის ხე მაღალი იზრდება, მაგრამ ზედ რა ასხიათ?
ალვის ხე ცამდე ასული, ჭინჭველას წაუქცევიაო.
ალილო და ხვალეო.
ამირან გულში მღეროდა, ყმანო, ბანი მითხარითო.
ამხანაგს ნუ უღალატებ, სხვის ოფლს ნუ მიეტანებიო.
ანაბარი მგელმაც იცის.

## ენის გასატეხი:

1) თეთრი თრითინა თეთრ
თრთვილზე თრთოდა.
თეთრი თხა გავათხათეთრე.
თამთა თეთრ თათარას
თქაფათქუფით სჭამდა.
თუთია თუთაბერს თეთრ თუთას თეთრ თეფშზე უყრიდა.

2) სამი სასაწნახლე ხე!
სერსა სერავს სამი მგელი,
მსუნაგი და სისხლის მსმელი
სიკინჭილი მიკინჭილი,
სიკინჭილ-მიკინჭილაშვილი.

3) ჩემი თხაი რქაგრეხილი,
შენსა თხასა რქაგრეხილსა,
რას ერჩოდა, რას ებრძოდა,
რას ერქაგრეხილებოდა.

4) ოქრო პატარაა, მაგრამ
დიდი ფასი აქვსო.
ორი კურდღლის მდევარი, ვერც
ერთს ვერ დაიჭერსო!
ორი ძიძის ხელში ბავშვი
დაიჩაგრაო!

ერთი, ორი, ერთი ორი, მოლის
ბოლოს ბოლავს მორი.
თოქალთო დავათოქალთოე,
დათოქალთოებულიაო.

ერთსა კაცსა
ბლისკინელსა
ბლის კალათით ბლის
ხიდზედა
ბალი გააქვს და
გამოაქვს.

## იმერი ხარაძე

ხე გადახვევს
ხეს ხელს, —
გაახარებს
ხე-ხეს.
მუხა — თხმელას,
თხმელა — მუხას,
ხე გადახვევს
ხეს ხელს..



## გიორგი წერეთელი

### მისარითმი

კაცის კუჭის წამალი,
მელას კუჭის წამალი,
მიდის მოდის ამალით,
ყოყლოჩინა.....
......

ხმაბულბულა შაოსანი
ჭახჭახებს მზის ამოსვლამდი,
ცხოვრობს შამბში
ჰქვია...
....

### მაჯამურა

საქმეს
არა უქნა რა,
მიტომ ჰქვია
.....

დაინახეთ
მამა, ლია.
ხორბლის ხვავზე
......

## გამოცანები

1. გაგვზარდა,
დაგვავაჟკაცა
თეთრმა
თბილმა რძემ
იმისმა.
ცოცხალი ყურძენს გვიჭამდა,
— დაკლეს,
დაიწყო ღვინის სმა.
([illegible])

2. ჰერი, ჰერი
დავდგი ქვევრი,
უთავბოლო,
საკვირველი.
შიგ ჩავანთე დიდი ცეცხლი,
ჩავაკარი ასი კვერი.
([illegible])

3. ზოგი კარავს მოჰგავს,
ზოგი ლამაზ ქოლგას.
სისხამ დილით მოვალთ,
კალათებით მოგვაქვს.
([illegible])

4. თავია, თავსაფრიანი,
ატლასიან-ფოჩიანი,
იმისგან აცრემლებული,
ბევრი ვნახე მომჩივანი.
([illegible])

5. ბაღჩაში დიდი ჯარი დგას
თავშეხვეული ჩალმითა.
მისგან კეთდება კერძები,
ვერ ვძლები მისი ჭამითა.
([illegible])

7. ზარმაცი და გულდიდა,
არ იკეთებს ბუდეს.
სხვას კვერცხს უგდებს ბუდიდან
და თავისას უდებს.
([illegible])

8. ზამთარში ვართ
საჭმელი,
ხმელი ხილის
ნაჭრები,
გაამზობინებ ჩურჩხელას,
[illegible]
ისე ტკბილად დავჭკხებით.
([illegible])

## აკაკი გეწაძე

* * *

ძეძვის ძირს მიძინებულმა
ძლივს გაიღვიძა ენძელამ.
მიწისფერ მზეზე პატარძალს
ძილი უთუოდ ეძნელა.

## ქიშვარდ ისაკაძე

### სოკო

როგორც კი მოვა ზაფხულის თქეში
მაშინვე თვალებს გაახელ ტყეში
წვიმის მოსვლა რომ ასე გწყურია,
სულ მუდამ ქუდი რად გახურია?

## ნუგზარ აფხაზავა

### გამოცანა

მე ვყვიროდი,
იგი დუმდა
გავჩუმდი და
ახმაურდა.
(ექო).

უძღვება
შოთა
ხოდაშნელი,

მხატვარი
სიმონ ჟიორელი.

№74-75, კვირა-ორშაბათი, 19-20 მარტი, 2000 წელი.
ეროვნული ბიბლიოთეკა

მამული



რუბრიკას უძღვება როინ მეტრეველი

# გარეჯის მრავალმთის კვლევა

## გასული წლის შედეგები და სამომავლო პერსპექტივა

გარეჯის უდაბნოს მასშტაბურობისა და მისი საგანძურის ამოუწურავი მრავალფეროვნების თაობაზე ბევრჯერ თქმულა. ეს ფაქტი მრავალმთის წარმტაცი ბუნებისა თუ მისი ისტორიული ძეგლების კვლევისას მუდამ არაჩვეულებრივი მკაფიოებით წარმოჩნდება. გამონაკლისი ამ მხრივ არც შარშანდელი წელი ყოფილა. ბოლო თვეების განმავლობაში სხვადასხვა დარგის სპეციალისტები მრავალმთას, ფაქტობრივად, ყოველ კუთხეში აგრძელებდნენ კვლევა-ძიებას. მათ შესახებ ჩვენი საზოგადოებისათვის ზოგადად უკვე არის ცნობილი პრესის ფურცლებიდან და სატელევიზიო პროგრამებიდან. მუშაობის შედეგები კი მართლაც მნიშვნელოვანია და სამომავლო კვლევის ახალ პერსპექტივებს სახავს.

გასულ ოქტომბერ-ნოემბერში გარეჯში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელთა ჯგუფმა განაახლა სისტემური სამუშაოები. პროექტი, რომელიც დააფინანსა საერთაშორისო ფონდმა „ლიკი ფაუნდეიშნ" ითვალისწინებს უდაბნოს ადგილსამყოფელის გათხრებს და ინტერდისციპლინარულ კვლევას (პროექტის კოორდინატორია დ. ლორთქიფანიძე).

მსხვილ ძუძუმწოვართა ნაშთებს შორის, რომლებიც ექსპედიციის მიერ იქნა მიკვლეული, უდავოდ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია პრიმატის კბილი. იგი ადამიანთა ოჯახის ერთ-ერთ უძველეს წარმომადგენელს, დრიოპითეკს ეკუთვნის. დრიოპითეკის ეს ყველაზე გვიანი ნამარხი აქამდე ესპანეთში იყო ნაპოვნი და მისი ასაკი 9,6 მილიონი წლით განისაზღვრა. გარეჯში მიკვლეული ნამარხის ასაკი 8-8,5 მილიონი წელია. ასე რომ, უდაბნოელი პრიმატი დღეისათვის დრიოპითეკის ყველაზე გვიანდელი წარმომადგენელია მსოფლიოში. აღსანიშნავია ისიც, რომ 9-და 5 მილიონ წლამდე პერიოდი ყველაზე ნაკლებ ცნობილი მონაკვეთია ჰომინიდების ისტორიაში. ამიტომ აღმოჩენამ კიდევ ერთხელ ცხადყო საქართველოს ტერიტორიის დიდი მნიშვნელობა ანთროპოგენეზის პროცესში.

ექსპედიციამ დაზვერვების დროს აღმოაჩინა აქამდე უცნობი ადრე ქვის ხანის (შუა პალეოლითური) ძეგლები. საველე სამუშაოებში ქართველ სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობდნენ კოლეგები ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ესპანეთიდან. გაზაფხულზე სამუშაოები განახლდება და კიდევ უფრო ფართო მასშტაბს მიიღებს — იგი ამჯერად ნატოს პროგრამის ფარგლებში განხორციელდება, ამასთან, მასში ჩაერთვებიან ესპანელი და იტალიელი პალეონტოლოგები, აგრეთვე, მკვლევარები ჰარვარდის უნივერსიტეტიდან (აშშ) და ზენკენბერგის მუზეუმიდან (გერმანია).

მრავალმთის სხვადასხვა მონასტერში გათხრებს აგრძელებდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გარეჯის უდაბნო-მონასტრების არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ზ. თვალჭრელიძე). ნათლისმცემელში გაგრძელდა პირველი იარუსის სამარხული გამოქვაბულის (XI-XIII სს. სამჭედლო-სახელოსნოს) და მასთან დაკავშირებული ქვითკირის ნაგებობების შესწავლა. მიწის ფენით ერთიანად დაფარული გამოქვაბული სათავსის მიკვლევით რეალურად გამოიკვეთა იმის შესაძლებლობა, რომ მონასტრის აღმოსავლეთ ნაწილში, დაახლოებით 100 მეტრის სიგრძეზე, ქვაბთა კიდევ ერთი იარუსი უნდა არსებობდეს. მისი სრული სახით გამოვლენა მომავლის საქმეა. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა წამებულის მონასტრის დასავლეთი ნაწილის პირველ იარუსში მდებარე მცირე ეკლესიის ნაწილობრივი გაწმენდის შედეგები. ესაა არასწორი მოხაზულობის დარბაზული ქვაბი აღმოსავლეთით შექმნილი დაბალი [illegible] საკურთხევლითა და ჩრდილოეთ კედელში გამოკვეთილი [illegible] უბით. გამოქვაბულ სათავსის ამგვარი გეგმარება, ისევე, როგორც მის ინტერიერში მიმოფანტული ძვლები, ცხადყოფდა, რომ ქვაბი დასაკრძალავს წარმოადგენდა. ამასვე ადასტურებდა გვიანი ხანის ეპიგრაფიკული მასალა, რომელიც შეიცავს მიმართვას წმინდა მოწამეებისადმი. ქვაბის გაწმენდამ სავსებით დაადასტურა ეს ვარაუდი. ინტერიერში მიწის ნაწილობრივი აღების შედეგად გამოვლინდა ორი ლუსკუმა. მათგან ერთი, დიდი ზომისა კოლექტიურ სამარხს უნდა წარმოადგენდეს. მის წინ კიდევ ერთი, შედარებით მცირე ზომის ლუსკუმაა მოწყობილი. სამარტვილის იატაკი მოსხმული იყო საგანგებო ხსნარით. წინასწარი დაკვირვება ცხადყოფს, რომ სამარტვილე ადრეული შუა საუკუნეების განმავლობაში უნდა იყოს შექმნილი და მონასტრის არსებობის თავდაპირველ ეტაპს განეკუთვნება.

სამარტვილის გაწმენდისას მონასტერს ეწვია საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ხელოვნების საბჭოს თავმჯდომარე ალავერდელი მთავარეპისკოპოსი დავითი. გადაწყდა, რომ სამუშაოები სამარტვილის გასაწმენდად და მისი ინტერიერის მოსაწესრიგებლად წლეულსაც გაგრძელდება და იგი მონასტრის ძმობის უშუალო მონაწილეობით განხორციელდება. სამარტვილის ანაზომები შესრულდა გარეჯის კვლევის ცენტრის წევრთა მიერ. იმავდროულად, დასაკრძალავის წინასწარი გაწმენდის შედეგები დეტალურად აღიბეჭდა ფოტოზეც.

წმინდა დავითის ლავრის ძმობის თხოვნის საფუძველზე, საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ხელოვნების საბჭოს შუამდგომლობითა და საქართველოს არქეოლოგიური კომისიის გადაწყვეტილებით დაიწყო არქეოლოგიური სამუშაოები გარეჯის იმ ორ ძველ ეკლესიაში, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში მიწით იყო დაფარული.

წმინდა მახარებლისა და მოციქულის, იოანე ღვთისმეტყველის გუმბათიანი ეკლესია საუკუნეების მანძილზე გარეჯის მრავალმთის ცენტრის — წმ. დავითის ლავრის ერთ-ერთ უმთავრეს სალოცავს წარმოადგენდა. ადგილობრივი სამონასტრო გადმოცემა მის შენებას XII საუკუნეში მოღვაწე ბერს მამა ონოფრე გარეჯელს მიაწერს. ტაძარი XVI-XVIII საუკუნეების განმავლობაში საქართველოს სამეფო ოჯახის წევრთა და ადგილობრივ წარჩინებულ მოწყესეთა განსასვენებელი იყო. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან მოკიდებული ტაძარი თანდათან ჩამოქცევა დაიწყო. ათწლეულების განმავლობაში მისი სახურავ-აღმოსავლეთი ნაწილი მთლიანად დაინგრა და ინტერიერი კედლის ქანითა და მიწის ნაყარით ამოივსო. გასულ წელს გაიწმინდა ეკლესიის დარბაზის აღმოსავლეთი ნაწილი. სამუშაოებს ამძნელებს კამარის ჩამონგრევის შედეგად ინტერიერში დაგროვილი კლდის უზარმაზარი ლოდები, რომელთა დამსხვრევა და გადატანა დიდ ძალისხმევას მოითხოვს, აგრეთვე, მიწის დიდი მასა, რომლის გატანა მონასტრის ფარგლებს გარეთ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამის გამო გადაწყდა ეკლესიის გაწმენდითი სამუშაოების ცალკეულ ეტაპებად განხორციელება.

წმინდა დავითის ლავრის ზემოთ უდაბნოს ქედის ყველაზე მაღალ მონაკვეთზე აგებული იოანე წინასწარმეტყველის ეკლესია გარეჯის ერთ-ერთი ყველაზე წმინდა ადგილია. ადგილობრივი გადმოცემის მიხედვით (იგი წერილობით წყაროებშიც დასტურდება), სწორედ აქ აღესრულა და თავის წმინდა ლოცვებს აღავლენდა ღირსი მამა დავით გარეჯელი. საუკუნეების განმავლობაში უდაბნოს მონასტრის ლავრიდან [illegible] ეკლესია თანდათანობით დაინგრა და თითქმის მთლიანად მიწით დაიფარა.

არქეოლოგიური გათხრების პროცესში ეკლესიის გარშემო მოიხსნა მიწის ფენა. გამოიკვეთა ეკლესიის მთლიანი გეგმა. გაირკვა, რომ ნაგებობის დასავლეთი კედელი ადრევე იყო დარღვეული. გვიან შუა საუკუნეებში, უკვე დაზიანებულ ეკლესიაში საკურთხეველი ქვებით დაუტიხრავთ და იგი კირის შესანახად გამოუყენებიათ. გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდშია დაცული.

წმინდა დავითის ლავრის ძმობის სურვილია ბოლომდე გაიწმინდოს ორივე ეკლესია. შემდგომში, სათანადო პროექტების საფუძველზე გათვალისწინებულია მათი ნაწილობრივი კონსერვაცია. მომავლისათვის განზრახულია ეკლესიების საფუძვლიანი გამაგრება, ხოლო შემდეგ — მათი შეძლებისდაგვარად სრული აღდგენა. არქეოლოგიური სამუშაოების უზრუნველყოფა და ეკლესიების კონსერვაციის საკითხების გადაჭრა ითავა გარეჯის კვლევის ცენტრმა.



გარეჯის კვლევის ცენტრი, ამ სამუშაოების წარმართვის პარალელურად, აგრძელებდა საველე ექსპედიციებს მრავალმთის ძეგლთა სრული ფიქსაციისა და შესწავლის მიზნით. ცენტრის წევრები შარშან ძირითადად მრავალმთის აღმოსავლეთი ნაწილის მონასტრებს იკვლევდნენ. ეს სამუშაოები ინტასის (INTAS) საერთაშორისო პროექტის ფარგლებში ხორციელდება, რომელშიც მონაწილეობენ ფრანგი და ინგლისელი მკვლევარები. მუშაობა მიმდინარეობს სამი მიმართულებით: ხუროთმოძღვრებისა და კედლის მხატვრობის ძეგლთა შესწავლა (ჯგუფის ხელმძღვანელი — ზ. სხირტლაძე), ეპიგრაფიკის ფიქსაცია და კვლევა (ხელმძღვანელი — დ. კლდიაშვილი), ფრესკების რესტავრაცია (ჯგუფის ხელმძღვანელი — მ. ბუწუკური). სრულად აიზომა პატარა ქვაბი, [illegible] მთის აღმოსავლეთი კომპლექსი, დასავლეთით, ძნელად მისავალი კომპლექსის ცენტრალური მონაკვეთი. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა კლდეში ნაკვეთი ორლუსკუმიანი სამარტვილე და მის დასავლეთით მდებარე, თავისი არქიტექტურული ფორმებით გამორჩეული დარბაზული ეკლესია.

ჩვენი საზოგადოებისათვის უკვე ცნობილია გარეჯის აღმოსავლეთ ნაწილში, [illegible] მიმდებარე მიკვლეული კომპლექსის — თეთრი უდაბნოს ერთ-ერთი ჩამორღვეული ეკლესიის ადრეული, VII-VIII სს. მოხატულობის ფრაგმენტთა გადარჩენად განხორციელებული სამუშაოების თაობაზე. ამ სამუშაოს ინიციატორი გარეჯის კვლევის ცენტრი იყო და იგი ასევე ინტასის პროექტის ფარგლებში შესრულდა ძველი ქართული მხატვრობის კვლევისა და რესტავრაციის ცენტრის (ხელმძღვანელი მ. ბუწუკური) მიერ. მოხატულობის ძალზე დაზიანებული ფრაგმენტები შარშან წლის დასაწყისში მოხსნეს და გადმოიტანეს თბილისში. ახლო მომავალში განზრახულია ფრესკების მონტაჟი და მათი საექსპოზიციოდ მომზადება.

საგანგებო ყურადღება დაეთმო ქოლაგირის მონასტრის მთავარი ტაძრის მოხატულობიდან შემორჩენილ ფრაგმენტების ფიქსაციასა და კვლევას. [illegible] მართული, მთის ფერდზე გამოკვეთილი ეს მომცრო მონასტერი კარგახანია ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში. რამდენჯერმე დაიწერა მისი მოხატულობისა და ისტორიულ პირთა იქ შემორჩენილი [illegible] თაობაზე. წინასწარი ვარაუდით ფრესკებს XIII საუკუნის მეორე ნახევარს აკუთვნებდნენ.

სატიტორო გამოსახულებებისა და მათი თანხმლები განმარტებითი წარწერების კვლევა 80-იან წლებიდან მიმდინარეობს, ჯერ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის გარეჯის ეპიგრაფიკული ექსპედიციის, ხოლო ამჯერად ინტასის პროექტში მონაწილე ეპიგრაფიკული ჯგუფის მიერ. ეს ვრცელი ასომთავრული წარწერები თავის დროზე მრავალი საგულისხმო ცნობის მომცველი უნდა ყოფილიყო — როგორც ჩანს, ისინი ერთგვარ მატიანეს წარმოადგენდა. დრო-ჟამის განმავლობაში ტექსტების უმეტესობა უმოწყალოდ დაზიანდა და ნალექებისაგან წარიხოცა; თუმცაღა ის, რისი ამოკითხვაც დღეისათვის კიდევ შესაძლებელია, საგულისხმო მონაცემებს შეიცავს ფრესკების შესრულების სავარაუდო პერიოდის დაზუსტებისათვის — იგი XII-XIII საუკუნეების მიჯნით შეიძლება განისაზღვროს. რაც მთავარია, ქოლაგირის პორტრეტების კვლევა მრავალმხრივ საგულისხმო ჩანს დასახელებული პერიოდის საქართველოს პოლიტიკური და სამოხელეო წყობის, სახელდობრ, მწიგნობართუხუცესისა და ვაზირთუხუცესის სახელოთა შესასწავლად.

უახლოეს დღეებში რესტავრატორთა ჯგუფი ქოლაგირის ფრესკების გამაგრება-გაწმენდას შეუდგება.

მრავალმხრივ საგულისხმო აღმოჩნდა გარეჯის მრავალმთის მონასტერთა სამეურნეო ორგანიზაციის კვლევა, რომელიც ბოლო ხანებში სხვადასხვა მიმართულებით წარიმართა. კომპლექსური მუშაობის შედეგად დადასტურდა მეურნეობის მრავალმხრივი განვითარებული სისტემის არსებობა მრავალმთის თითქმის ყველა მნიშვნელოვან მონასტერთან.

წმინდა დავითის ლავრაში მეურნეობისათვის გამოსადეგი ფართობის სიმწირის გამო ტერასული ბაღების ერთიანი სისტემა ადრევე უნდა შექმნილიყო. ადგილობრივ [illegible] ხანგრძლივი დროის მანძილზე, ბუნებრივი [illegible] სუბების გამოყენებით დიდი გარჯის ფასად შეუქმნიათ ჰუმუსური ნიადაგი, რომელიც ორიგინალური სარწყავი სისტემით მუდმივად ირწყვებოდა. ბევრად უფრო დიდი სამეურნეო მასშტაბებით გამოირჩეოდა ნათლისმცემლის მონასტერი, რასაც ხელს უწყობდა მის უშუალო სიახლოვეს ფართო სავარგულების არსებობა.

მრავალმეტყველი სურათი წარმოაჩინა მრავალმთის სამონასტრო კომპლექსთა ჰიდროტექნიკური სისტემების შესწავლამ. უდაბნოს კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, აქ უმთავრესი ყურადღება გადატანილი იყო წვიმის წყლის მოპოვებაზე, რომლის შეკრება ხდებოდა კლდეთა მასივზე ამოჭრილი არხების ქსელის მეშვეობით. არხების ეს რთული სისტემა თავს იყრიდა კლდეში ამოჭრილ დიდ, ათიდან ოცდახუთ ტონამდე მოცულობის რეზერვუარებში (ე. წ. „ლაკვა"). ჰიდროტექნიკური ნაგებობების გონებამახვილური დაგეგმარება დიდად უწყობს ხელს როგორც სასმელი და საყოფაცხოვრებო მოხმარებისათვის აუცილებელი წყლის მოპოვებას, ისე მისი საირიგაციო მიზნებით გამოყენებას.

გარეჯში ჩატარებულ სამუშაოთა ძირითადი შედეგების ამგვარი მრავალფეროვნების ფონზე მაინც უნდა გამოიყოს ერთი ფაქტი, რომელიც, ერთი შეხედვით, რამდენადმე უჩვეულოა, თუმცა კი ერთგვარად ეხმიანება ჩვენს დღევანდელობას. იორისპირა გარეჯის ერთ-ერთი მონასტრის ქვაბების ტერიტორიაზე მოპოვებული, ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული მასალების არქეოლოგიური კვლევისას ყურადღება მიიქცია IX-X საუკუნეების თიხის ლულიანი ტიპის ჭრაქებში შემორჩენილმა ე. წ. „შავი მასის" ნიმუშებმა. ნიმუშების ქიმიური ანალიზი ჩატარდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქიმ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში, ქიმიკოს ნინო ქებულაძის მიერ, აგრეთვე, პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ნავთობის ლაბორატორიაში, პროფესორ ირაკლი ედილაშვილის ხელმძღვანელობით. ანალიზების შედეგად დადგინდა, რომ ჭრაქებში შემორჩენილი ნივთიერება ნავთობის მაღალმოლეკულურ ფისოვან-ასფალტენური ნაერთის რთულ ნარევს წარმოადგენს, რომელიც დარჩა ჭურჭლებში საუკუნეების განმავლობაში მსუბუქი ნახშირწყალბადური ნაწილის აორთქლებისა და ქიმიური გარდაქმნის შედეგად. გარეჯის აღმოსავლეთ ნაწილში ჩატარებული გათხრების შედეგად მიკვლეულ ჭრაქებში ნავთობის გამოყენების ფაქტი დიდად საგულისხმოა — იგი უძველესი ნივთიერი მოწმობაა აღმოსავლეთ კახეთის ტერიტორიაზე ნავთობის სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებისა. საგულისხმოა, რომ ნავთობი სამონასტრო ყოფაში გამოიყენებოდა არა მარტო განათებისათვის, არამედ როგორც საწერად ვარგისი პიგმენტიც. სწორედ ამაზე უნდა მეტყველებდეს ქვაბების მონასტრის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამელნე, რომელშიც ასევე დადასტურდა ნავთობის ნაშთები.

გარეჯში ჩატარებული კვლევა-ძიება თავისთავად წამოჭრის ახალ საინტერესო პრობლემებს, [illegible] სამომავლო პერსპექტივები. თანდათანობით იკვეთება კონტურები მრავალდარგობრივი პროექტისა, რომელიც ფართო ასპექტით წარმოაჩენდა ამ რეგიონში ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართებას სხვადასხვა ქრონოლოგიურ ეტაპზე. ამ რიგის კვლევები სპეციალისტთა ფართო ჯგუფის თანამშრომლობას გულისხმობს და მისი განხორციელება, იმედია, მრავალ საყურადღებო საკითხის ახლებურად გააზრების საწინდარი გახდება.

მრავალმთის ბოლოდროინდელი კვლევის ერთგვარ შემაჯამებელ შეკრებად იქცევა საერთაშორისო კონფერენცია „სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში: გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავლეთი". კონფერენცია მიმდინარე წლის 19-22 სექტემბერს გაიმართება თბილისში. მასში მონაწილეობის სურვილი ქართველ სპეციალისტებთან ერთად უკვე გამოთქვეს მკვლევარებმა საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ისრაელის სამეცნიერო დაწესებულებებიდან. კონფერენციის პარალელურად განზრახულია მოეწყოს გამოფენა.

**ზურაბ თვალჭრელიძე,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გარეჯის უდაბნო-მონასტრების არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი;

**დავით ლორთქიფანიძე,**
გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეოლოგიის განყოფილების გამგე;

**ელდარ ნადირაძე,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე;

**ზაზა სხირტლაძე,**
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, გარეჯის კვლევის ცენტრის თავმჯდომარე.

რეგიონი

# კოლეჯის სადაგი წლები

ადამიანები, რომელთაც კარგად იცოდნენ, თუ რას ნიშნავდა ხალხის განათლებით, საჭირო ცოდნით შეიარაღება, ცდილობდნენ ქვეყნისათვის რაიმე სასიკეთო გაეკეთებინათ. დიდი რუდუნება და სამომავლო მისწრაფება იყო ჩაქსოვილი წერილში, რომელიც მაშინდელ სამაზრო აღმასკომს თავის დროზე გაუგზავნა სენაკის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ჭეშმარიტმა პატრიოტმა გიორგი ქანთარიამ. იგი დაჟინებით მოითხოვდა სათანადო განკარგულებას სენაკში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დაარსებისათვის. ახლა მისი და მისი მხარდამჭერების ოცნებაა. ტექნიკუმში მეცადინეობა 1924 წლის 1 ნოემბერს დაიწყო, იგი განთავსდა ყოფილი მემამულის, მიქელაძის სახლში. ტექნიკუმის დირექტორი გიორგი ქანთარია ასწავლიდა ქიმიას, ბოტანიკას, ნიადაგმცოდნეობას.

დღეს ამ ტექნიკუმს სენაკის აგრარულ-ეკონომიკური სახელმწიფო კოლეჯი ჰქვია. მას დაარსებიდან 75 წელი შეუსრულდა. ამ თარიღს მიეძღვნა საიუბილეო საღამო, რომელიც სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა.

არსებობის 75 წლის განმავლობაში ტექნიკუმმა ცხოვრების საგზური მისცა 7.800-ზე მეტ ახალგაზრდას. ამ სასწავლებლის 25 კურსდამთავრებული მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატია. ისინი საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ეწევიან ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ამჟამად კოლეჯში სპეციალობას ეუფლება 350-ზე მეტი სტუდენტი. მათი აღზრდა-განათლების საქმეს კი ემსახურება 62 თანამშრომელი. კაბინეტ-ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. კოლეჯს აქვს მდიდარი საბიბლიოთეკო ფონდი, ჰყავს დიდი გამოცდილების მქონე მასწავლებლები, რომლებიც, დუხჭირი ცხოვრების მიუხედავად, არ ღალატობენ თავიანთ პროფესიას და უმწიკვლოდ ემსახურებიან მომავალი თაობის აღზრდას. დღესაც წარმატებით მოქმედებს კოლეჯის სასწავლო მეურნეობა.

კოლეჯის ხელმძღვანელობა (დირექტორი გ. ხარგელია) მომავალი სასწავლო წლიდან სწავლების სამსაფეხურიან სისტემაზე გადასვლისათვის ემზადება. ამ ექსპერიმენტს სასოფლო-სამეურნეო განათლების რეფორმასთან დაკავშირებით გერმანული მხარე ახორციელებს.

საზეიმო საღამოზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ დედაქალაქიდან საგანგებოდ ჩამოსული სტუმრები, რაიონის წარმომადგენლები, აგრარული კოლეჯების დირექტორები.

**იოსებ გობეჩია,**
„სრ" საკ. კორ.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს

# განცხადება

**ირიგაციისა და დრენაჟის რეაბილიტაციის პროექტის ინსტიტუციური მართვის ჯგუფის ხელმძღვანელისა და მთავარი ინჟინრის ვაკანსიების დასაკავებლად**

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო აცხადებს კონკურსს მსოფლიო ბანკის მიერ ფინანსირებადი ირიგაციისა და დრენაჟის რეაბილიტაციის პროექტის ინსტიტუციური მართვის ჯგუფის ხელმძღვანელისა და მთავარი ინჟინრის ვაკანსიების დასაკავებლად.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ინიციატივით, მსოფლიო ბანკისა და მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის დახმარებით მომზადდა საქართველოს ირიგაციისა და დრენაჟის რეაბილიტაციის პროექტი, რომლის მიზანს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და კერძო მეურნეობის შემოსავლების გაზრდა საირიგაციო და სადრენაჟო ინფრასტრუქტურის მომავალი გაუარესების შეჩერების და მუშა მდგომარეობაში შენარჩუნების გზით, რაც მიღწეული უნდა იქნას:

1. წყალმომხმარებელთა ასოციაციების ჩამოყალიბებით, რომლებიც მომავალში პასუხისმგებელი იქნებიან საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების ექსპლოატაციაზე, მოვლა-შენახვაზე და წყლის ეფექტურ გამოყენებაზე;
2. საირიგაციო და სადრენაჟო ინფრასტრუქტურის შეკეთებითა და რეაბილიტაციით;
3. საირიგაციო წყლის მართვის გაუმჯობესების პროგრამის განხორციელებით;
4. მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის მმართველობითი უნარის გაუმჯობესებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ირიგაციისა და დრენაჟის რეაბილიტაციის პროექტის ინსტიტუციური მართვის ჯგუფის ხელმძღვანელისა და მთავარი ინჟინრის თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისაგან აუცილებელია ქვემოთ ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო ნორმების დაკმაყოფილება.

**ინსტიტუციური მართვის ჯგუფის ხელმძღვანელის თანამდებობისათვის:**
– საინჟინრო/სასოფლო-სამეურნეო განათლება;
– მინიმუმ 10 წლის მუშაობის სტაჟი;
– სამელიორაციო დარგში მუშაობის მინიმუმ 2 წლის გამოცდილება;
– საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების ცოდნა;
– გამოცდილება მსოფლიო ბანკის ან სხვა უცხოელი დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელების საქმეში;
– სამელიორაციო ასოციაციების კონცეფციის ცოდნა ან მათთან მუშაობის გამოცდილება;
– ხალხის ფართო მასებთან ახსნა-განმარტებითი ღონისძიებების ჩატარების უნარი;
– გამოცდილება სამუშაოთა დაგეგმვის, ორგანიზების და მართვის სფეროში;
– კომპიუტერის საბაზისო ცოდნა;
– ქართული ენის კარგად ფლობა, რუსული ენის საფუძვლების ცოდნა, ინგლისური ენის საფუძვლების ცოდნა ან მისი შესწავლის სურვილი.

**მთავარი ინჟინრის თანამდებობისათვის:**
– ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი/წყლის მართვის, ირიგაციისა და დრენაჟის ინჟინერი;
– 20 წლის პროფესიული გამოცდილება (აქედან სულ მცირე 5 წლის ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება);
– გამოცდილება ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების და ძირითადი ჰიდროტექნიკური ნაგებობების დაგეგმვის, პროექტირების, განხორციელების, ექსპლოატაციისა და ზედამხედველობის საქმეში;
– გამოცდილება ადმინისტრაციულ საქმიანობაში, სპეციალისტების და კონტრაქტორების მართვის სფეროში;
– გამოცდილება ტენდერების ჩატარებაში;
– გამოცდილება მსოფლიო ბანკის ან სხვა უცხოელი დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელების საქმეში;
– ქართული ენის კარგად ფლობა, რუსული ენის საფუძვლების ცოდნა, ინგლისური ენის საფუძვლების ცოდნა ან მისი შესწავლის სურვილი.

ინსტიტუციური მართვის ჯგუფის ხელმძღვანელი და მთავარი ინჟინერი იმუშავებენ პროექტის მენეჯერის საერთო ხელმძღვანელობით და ანგარიშვალდებული იქნებიან უშუალოდ ტექნიკური მენეჯერის წინაშე.

დავალების ხანგრძლივობა თავდაპირველად 10 თვით განისაზღვრება, ყოველწლიური გაგრძელების შესაძლებლობით შემდგომი 4 წლის (ან მეტი) განმავლობაში.

ინსტიტუციური მართვის ჯგუფის ხელმძღვანელისა და მთავარი ინჟინრის დეტალური ტექნიკური დავალება კანდიდატებს შეუძლიათ მიიღონ ქვემოთაღნიშნულ მისამართზე.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ბიოგრაფიები (CW) ინგლისურ და ქართულ ენებზე კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომების/მოწმობების ასლებთან ერთად. განაცხადების მიღება იწარმოებს წინამდებარე განცხადების გამოქვეყნებიდან 4 (ოთხი) კვირის განმავლობაში 11.00 საათიდან 17.00 საათამდე ქვემოთაღნიშნულ მისამართზე:

**ირიგაციისა და დრენაჟის რეაბილიტაციის პროექტის მოსამზადებელი ერთეული, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტი**

**თბილისი 380008, მაჩაბლის ქ. №8,**
**ტელეფონი/ფაქსი:**
**(995 32) 99-08-18; 93-66-68.**

# განცხადება

**„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს რაიონული განყოფილებების შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:**

1. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სიღნაღის რაიონული განყოფილების უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 30 ლარი);
2. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ჩოხატაურის რაიონული განყოფილების უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 30 ლარი);
3. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მარტვილის რაიონული განყოფილების უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 30 ლარი);

**კონკურსის პირობები:**

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ – კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია ქალებისათვის 21-დან 60 წლამდე, მამაკაცებისათვის – 21-დან 65 წლამდე.

***საკვალიფიკაციო მოთხოვნები:***

• განყოფილების უფროსის თანამდებობაზე:
– უმაღლესი განათლება (სასურველია იურიდიული ან ეკონომიკური);
– საჯარო სამსახურში ან კერძო სტრუქტურაში მუშაობის გამოცდილება;
– პრივატიზების შესახებ ნორმატიული აქტების ცოდნა;
– ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნა;

კონკურსს ატარებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

საკონკურსო-საატესტაციო კომისია სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის მონაწილეთა შეფასებას ახდენს განათლების, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების, სახელმწიფო სამსახურის გავლის, შრომითი საქმიანობის შესახებ მონაცემების საფუძველზე.

კონკურსის მონაწილეები გაივლიან ატესტაციას.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კადრების განყოფილებაში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:
1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი.

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები (საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ" 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან სამი კვირის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შემდეგ მისამართზე: *380062 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №64, ტელ.: 29-30-58 საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კადრების განყოფილება.*

**საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო.**

# განცხადება ტენდერის შესახებ

## საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) მიერ წარმოებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის შესაბამისად აცხადებს ტენდერს:

საგარეჯოს რაიონი – საგარეჯოს წყალსადენის რეკონსტრუქციის მიკროპროექტის კომიტეტი;
(პროექტის საორიენტაციო ღირებულებაა 107 ათასი ლარი)
საგარეჯოს №3 სკოლის რემონტის მიკროპროექტის კომიტეტი;
(პროექტის საორიენტაციო ღირებულებაა 145 ათასი ლარი)
დედოფლისწყაროს რაიონი – დედოფლისწყაროს წყალსადენის რეკონსტრუქციის მიკროპროექტის კომიტეტი;
(პროექტის საორიენტაციო ღირებულება 144 ათასი ლარი)
ლაგოდეხის რაიონი – ლაგოდეხის წყალსადენის რეკონსტრუქციის მიკროპროექტის კომიტეტი;
(პროექტის საორიენტაციო ღირებულებაა 117 ათასი ლარი)
ყვარლის რაიონი – სოფ. ენისელის წყალსადენის რეკონსტრუქციის მიკროპროექტის კომიტეტი;
(პროექტის საორიენტაციო ღირებულებაა 117 ათასი ლარი)
თელავის რაიონი – ქ. თელავის სპორტსკოლის რეკონსტრუქციის მიკროპროექტის კომიტეტი;
(პროექტის საორიენიტაციო ღირებულებაა 135 ათასი ლარი)
ქ. თელავის №3 ბაგა-ბაღის რეკონსტრუქციის მიკროპროექტის კომიტეტი;
(პროექტის საორიენტაციო ღირებულება 67 ათასი ლარი);
ახმეტის რაიონი – ომალო-დართლოს ხიდის რეკონსტრუქციის მიკროპროექტის კომიტეტი;
(პროექტის საორიენტაციო ღირებულებაა 168 ათასი ლარი)
თბილისი – №6 გიმნაზიის შენობის გამაგრების მიკროპროექტის კომიტეტი;
(პროექტის საორიენტაციო ღირებულებაა 143 ათასი ლარი)
თიანეთის რაიონი – სოფ. ტუშურების სკოლის რემონტის მიკროპროექტის კომიტეტი;
(პროექტის საორიენტაციო ღირებულებაა 98 ათასი ლარი)
სოფ. ქებოტის სკოლის რემონტის მიკროპროექტის კომიტეტი;
(პროექტის საორიენიტაციო ღირებულებაა 78 ათასი ლარი)
ბოლნისის რაიონი – ბოლნისის სპორტსკოლის რემონტის მიკროპროექტის კომიტეტი;
(პროექტის საორიენტაციო ღირებულებაა 118 ათასი ლარი)
ხონის რაიონი – ხონის წყალსადენის რეკონსტრუქციის მიკროპროექტის კომიტეტი;
(პროექტის საორიენტაციო ღირებულებაა 135 ათასი ლარი)

*ტენდერში მონაწილეობა შეუძლიათ შესაბამისი ლიცენზიის მქონე კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს. საკონკურსო დოკუმენტაციის გაცემა მოხდება შესაბამისად:*

- თბილისი, №6 გიმნაზია – 24 მარტიდან 24 აპრილის 11.00 სთ-მდე – პეტრიაშვილის ქ. №7;
(კონსულტაცია ჩატარდება №6 გიმნაზიაში 4 აპრილს 12.00 სთ-ზე);
- საგარეჯოს წყალსადენი – 24 მარტიდან 24 აპრილის 14.00 სთ-მდე – საგარეჯოს გამგეობა;
- საგარეჯოს №3 სკოლა – 24 მარტიდან 24 აპრილის 15.00 სთ-მდე – საგარეჯოს სკოლა;
- დედოფლისწყაროს წყალსადენი – 25 მარტიდან 25 აპრილის 12.00 სთ-მდე – დედოფლისწყაროს გამგეობა;
- ლაგოდეხის წყალსადენი – 25 მარტიდან 25 აპრილის 14.00 სთ-მდე – ლაგოდეხის გამგეობა;
- ენისელის წყალსადენი – 26 მარტიდან 26 აპრილის 14.00 სთ-მდე – ენისელის გამგეობა;
- თელავის სპორტსკოლა – 26 მარტიდან 26 აპრილის 16.00 სთ-მდე – თელავის სპორტსკოლა;
- თელავის №3 ბაგა-ბაღი – 26 მარტიდან 26 აპრილის 17.00 სთ-მდე – თელავის №3 ბაგა-ბაღი;
- ომალო-დართლოს ხიდი – 27 მარტიდან 27 აპრილის 14.00 სთ-მდე – ახმეტის გამგეობა;
(კონსულტაციები კახეთის რეგ. პროექტებზე ჩატარდა თელავის გამგეობაში 5 აპრილს 15.00 სთ-ზე);
- ტუშურების სკოლა – 26 მარტიდან 26 აპრილის 12.00-სთ-მდე – ტუშურების გამგეობა;
- ქებოტის სკოლა – 26 მარტიდან – 26 აპრილის 13.00 სთ-მდე – ქებოტის გამგეობა;
(კონსულტაციები ჩატარდება თიანეთის გამგეობაში 6 აპრილს 14.00 სთ-ზე);
- ბოლნისის სპორტსკოლა – 27 მარტიდან 27 აპრილის 14.00 სთ-მდე – ბოლნისის გამგეობა;
(კონსულტაციები ჩატარდება ბოლნისის სპორტ-სკოლის შენობაში 13 აპრილს 14.00 სთ-ზე);
- ხონის წყალსადენი – 27 მარტიდან 27 აპრილის 15.00 სთ-მდე – ხონის გამგეობა;
(კონსულტაცია ჩატარდება ხონის გამგეობაში 16 აპრილის 16.00 სთ-ზე);

*კონსულტაციებზე დასწრება სავალდებულოა*

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულებაა 20 ლარი.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს საკონკურსო გარანტია პროექტის საორიენტაციო ღირებულების ერთი პროცენტის ოდენობით.

წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საკონკურსო დოკუმენტების გატანის საბოლოო ვადიდან ერთი საათის შემდეგ, იმავე მისამართზე.



# ქალაქ რუსთავის მერიის განცხადება

ქალაქ რუსთავის მერიის 2000 წლის 31 იანვრის № 2 დადგენილების თანახმად, ცხადდება ღია ტენდერი ქ. რუსთავში 3-დან 14 წლამდე ასაკის მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2000 წლის პროგრამის სადაზღვევო პრინციპით განხორციელების თაობაზე.

ტენდერში მონაწილე ორგანიზაცია უნდა წარმოადგენდეს საქართველოში ლიცენზირებულ სადაზღვევო კომპანიას, რომელიც პასუხობს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

- გააჩნია სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევის განხორციელების ლიცენზია.
- აქვს სამედიცინო დაზღვევის სფეროში არსებული გამოცდილება.
- ფლობს სერიოზულ სადაზღვევო სიმძლავრეებს.
- გამოირჩევა ფინანსური საიმედოობით.
- ჰყავს კვალიფიციური და მცოდნე კადრები.
- გააჩნია ქ. რუსთავში კარგად განვითარებული სააგენტო და საექსპერტო ქსელი.

საკვალიფიკაციო მონაცემებს უნდა ახლდეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასების კრიტერიუმებია:

- გამოცდილება
- რეპუტაცია
- შრომითი რესურსები
- სადაზღვევო სიმძლავრე
- ფინანსური საიმედოობა

საკვალიფიკაციო მონაცემები შეფასდება ათბალიანი სისტემით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველმა სადაზღვევო კომპანიებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ 2000 წლის 3 აპრილიდან 5 აპრილის ჩათვლით ქალაქ რუსთავის მერიაში (მ. კოსტავას ქ. № 20), სოციალური და მუნიციპალური პროგრამების უფროსს, კახაბერ გურგენიძეს. ტელ: (824) 12-43-67.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტისაგან მიიღება დალუქულ პაკეტებში.

პრეტენდენტთა მიერ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია უნდა იყოს ხელმოწერილი პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ და უნდა წარუდგინოს 2000 წლის 13 აპრილიდან 20 აპრილის ჩათვლით, სატენდერო კომისიას დაბეჭდილი კონვერტებში შემდეგ მისამართზე: ქ. რუსთავი. კოსტავას ქ. № 20 (მერიის შენობა) სოციალური და მუნიციპალური პროგრამების სამსახურის უფროსს კახაბერ გურგენიძეს.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის დაწესებულია მოსაკრებელი 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

დაინტერესებულმა კომპანიებმა საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ

**3 აპრილამდე მიმართოთ სატენდერო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. რუსთავი, კოსტავას ქ. № 20. სოციალური და მუნიციპალური პროგრამების სამსახურის ხელმძღვანელს კახაბერ გურგენიძეს.**



**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი შპს „პრესა-98“-მა ხელმისაწვდომ ფასებში ცალკე ბროშურად დასტამბა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული კანონები:**

**საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.**

**დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ბროშურის შეძენა შეუძლიათ: თბილისში – წიგნის მაღაზიებსა და სს „მაცნეს“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე, უშუალოდ გამომცემელთან (თბილისი, მ. კოსტავას 14. ტელ: 93-26-33), დედაქალაქის ფარგლებს გარეთ კი - შპს „საქპრესის“ საგაზეთო ჯიხურებში.**



## საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი

### აცხადებს კონკურსს შემდეგი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: საზოგადოების ინფორმირების სპეციალისტი

**მოვალეობებში შედის:** საზოგადოების ინფორმირების კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება; პერიოდული და ცალკეული გამოცემების მომზადება და გავრცელება; პრეს-კონფერენციების, სემინარების და სხვადასხვა სახის საინფორმაციო შეხვედრების მომზადება; ფონდის საქმიანობის რეკლამირება პოტენციურ ადგილობრივ და საერთაშორისო დონორებთან, რათა მოზიდული იქნას სახსრები კულტურული მემკვიდრეობის სფეროს საქმიანობის დასაფინანსებლად.

**მინიმუმი მოთხოვნები:** უმაღლესი განათლება და დაახლოებით 5-8 წლის გამოცდილება საგამომცემლო და მარკეტინგულ საქმიანობაში; სასურველია ჟურნალისტად მუშაობის გამოცდილება; საზოგადოების ინფორმირების სპეციალისტი უნდა კარგად ფლობდეს ქართულ და ინგლისურ ენებს, იყოს კომუნიკაბელური, იცნობდეს საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას, გააჩნდეს საელჩოებთან, კულტურულ ატაშეებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება, კომპიუტერულ საგამომცემლო პროგრამებზე მუშაობის გამოცდილება.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა მოგვმართონ 1 აპრილამდე განცხადებით, სადაც აღწერილი იქნება მათი პროფესიული გამოცდილება და კვალიფიკაცია.

განცხადებას თან უნდა დაურთონ Curricukum Vitae.

**განცხადებით უნდა მიმართოთ:**
**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი, თბილისი, მაჩაბლის 4 ა, ტელ: 252220, 93146, ფაქსი: 985713.**


## კალათბურთი

### I ეტაპის ფინიშზე

ბათუმის „ბასკოსა“ და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდების გამოტოვებული მატჩით ხვალ დასრულდება კალათბურთელ ვაჟთა IX ეროვნული ჩემპიონატის I ეტაპი (ეს შეხვედრა ვერის ბაღში 13 საათზე დაიწყება), დღეს კი იქვე გაიმართება II წრის დასკვნითი რაუნდი სტუ-სსუ (13 საათზე), „ვიტა“ – „ბასკო“ (14 საათსა და 45 წუთზე) და „მაქაბი“ – თსუ (16 საათსა და 30 წუთზე).

„აზოტი“ – „შევარდენი“
90:68 (53:40)

ბაბიაშვილის არყოფნაში სტუმართა ცენტრს ბერუაშვილს დასაწყისში საკმაოდ გაუჭირდა ფუგაურის წინააღმდეგ ბრძოლა და 3 ჯარიმა მიიღო, რუსთაველთა ლიდერს გოგობერიშვილს კი დროის ამავე მონაკვეთში მჭიდრო მეურვეობით წარმატებით უპირისპირდებოდა განიძე, რამაც განაპირობა კიდეც მასპინძელთა დაწინაურება – 17:10. სწორედ ამ მომენტში გამძვინვარდა მეტევაში დაჯარიმებული განიძე, რომლის უდისციპლინობაც მოედნიდან გაძევებითა და გოგობერიშვილისთვის ხელ-ფეხის გახსნით დასრულდა. რამაზი შემდგომში შეუჩერებელი გახდა (32 ქულა, მათ შორის 15 – სამქულიანებით), ეს კი „აზოტის“ მორიგ გამარჯვებას ნიშნავდა.

ასკ – გსუ 74:72
(39:26)

ზანგურაშვილის ძალისხმევით (19 ქულა) არმიელებმა ბახტაძისა და მარხვაშვილის გარეშე იოლად მოიგეს I ტაიმი, მაგრამ შესვენების შემდეგ გრძელიშვილისა და ნინოშვილის გააქტიურება საკმარისი აღმოჩნდა თამაშის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე გორელთა წინ გასასვლელად 70:67. კრიტიკულ ვითარებაში მასპინძლები ნათობაძემ იხსნა, რომელმაც ზუსტად შეასრულა საჯარიმო ტყორცნები.



სდასუ – „დინამო“
77:75 (32:40)

სტუდენტმა მთავარი მწერთნელი ლევან მოსეშვილი ოჯახური მდგომარეობის გამო შეგირდებს ამჯერად ვერ მოძლვრავდა, რაც მათ საქმისადმი ზერელე მიდგომაში აისახა. სდასუ ბოლო წუთებამდე მარცხის პირას იყო, თუმცა დინამოელთა მწვრთნელის ცაგარეიშვილის „საჩუქარმა“ (მან სკამზე დასვა თავისი გუნდის ხელი და გული ნიკოლაძე) მდგომარეობა გამოასწორებინა.

**გია პლატონიშვილი**

**სურათზე: „აზოტისა“ და „შევარდენის“ მატჩის მომენტი.**
**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

## ფეხბურთი

# ჯანიმ „დინამოს“ ჯანი შეურყია



საქართველოს ფეხბურთელთა მე-11 ეროვნული ჩემპიონატის მე-2 ეტაპი თანდათან იკრებს ძალას. „ა“ ზონაში გუშინ მე-3 ტურის შეხვედრები გაიმართა. ყურადღების ცენტრში, ცხადია, ქვეყნის უცვლელი ჩემპიონის თბილისის „დინამოს“ და „ბათუმის“ ორთაბრძოლა იყო. არცაა გასაკვირი: გათამაშების ცხრილში მათთვის უჩვეულო მე-2 ადგილზე მყოფ დედაქალაქელებს უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდათ. მეორე ეტაპზე ზედიზედ დაკარგული ორ-ორი ქულის შემდეგ ქუთაისის „ტორპედოს“ საგრძნობლად დაწინაურების საშუალება მისცეს. სატურნირო ცხრილის მიხედვით, არც ზღვისპირელებს ულხინდათ, ამიტომაც სპეციალისტები და გულშემატკივრები, რომლებიც საკმაოდ მრავლად იყვნენ გუშინ ეროვნულ სტადიონზე, უშედავათო პაექრობას მოელოდნენ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. პირველი ტაიმი თანამედროვე ფეხბურთისთვის საკმაოდ შეუფერებლად – დუნედ და უინტერესოდ წარიმართა. ერთადერთი სახიფათო მომენტი 37-ე წუთზე შეიქმნა, როცა მაჭუტაძის მარცხენა ფლანგიდან ჩინებულად ჩამოწოდებული ბურთი ღლონტმა დინამოელთა კარს ააცილა.

შესვენების შემდეგ თამაში ოდნავ გამოცოცხლდა. უფრო ხშირად ჩემპიონები უტევდნენ, თუმცა, მათი იერიშები ბათუმელთა საჯარიმოს მისადგომებთან იფუშებოდა. სტუმრები იშვიათი, მაგრამ სახიფათო კონტრშეტევებით პასუხობდნენ. 67-ე წუთზე დინამოელთა საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ტულუმმა ახლო მანძილთან ვერ შეძლო კარის აღება. ათი წუთის შემდეგ, კვლავ შეცდნენ მასპინძლები, მაჭუტაძე მეკარესთან პირისპირ გავიდა, ამჯერად გრიშიკაშვილმა იხსნა თანაგუნდელები. საფინალო სასტვენამდე ხუთი წუთით ადრე კი ტულუმმა, მაჭუტაძემ და თარგამაძემ რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს. მატჩი დამთავრდა ფრედ – 0:0. „დინამომ“ მესამედ დაკარგა 2 ქულა და საგრძნობლად გაიუარესა ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსი.

– პირველ ტაიმში თამაში არ გამოგვივიდა. – მითხრა მატჩის შემდეგ ბათუმელთა მთავარმა მწვრთნელმა **ჯანი კარნეველემ.** – ორი კვირაა, ნორმალური ვარჯიშის პირობები არა გვაქვს – ხან წვიმს, ხან თოვს. აგერ, ოთხშაბათს, მძიმე სათასო ორთაბრძოლა გადავიტანეთ ფოთის „კოლხეთთან“ და ძალების აღდგენა ვერ მოვასწარით. ყოველივეს მიუხედავად, მოგება მაინც შეგვეძლო. სამწუხაროდ, ოთხი რეალური მომენტიდან ვერც ერთი ვერ გამოვიყენეთ. ცხადია, ორი ქულა დაგვეკლდა, მაგრამ უეფას საგზურის მოპოვების ამოცანას, ვფიქრობ, წარმატებით გადავჭრით.

**– ჩემპიონობის რეალურ კანდიდატებზე – თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოზე“ რას იტყვით?**

– შანსი ორივეს აქვს, მაგრამ ნურც „ვიტ ჯორჯიას“ დაივიწყებთ. ჩინებული გუნდია და კარგი მწვრთნელიც ჰყავს.

კარნეველეს შექებულმა ვეტერანებმა გუშინ მცხეთაში „ა“ ზონის აუტსაიდერს – გორის „დილას“ უმასპინძლეს და გაიმარჯვეს 2:1. „ვიტ ჯორჯიამ“ 19 ქულით გათამაშების ცხრილის მესამე საფეხურზე გადაინაცვლა.

ერთპიროვნულად დაწინაურებულმა ქუთაისის „ტორპედომ“ შინ დიდი ანგარიშით – 5:0 სძლია სამტრედიის „იბერიას“, მოაგროვა 24 ქულა და ახლა უახლოეს მდევარს – თბილისის „დინამოს“ 4 ქულით უსწრებს. თანაც, ლიდერებს ერთი მატჩი მარაგში აქვთ.

საინტერესო პაექრობა გაიმართა ბოლნისშიც. თანაბარქულიანი (14-14) „სიონი“ და ფოთის „კოლხეთი“ ხვდებოდნენ ერთმანეთს. მინიმალური ანგარიშით – 1:0 წარმატებას მასპინძლებმა მიაღწიეს და ბათუმელებს წამოეწივნენ.

მე-4 ტურის შეხვედრები მომავალ შაბათს გაიმართება. ჩემპიონატის ფავორიტები – „დინამო და „ტორპედო“ ქუთაისში ითამაშებენ.

**ვაჟა დანელია.**

**სურათზე: გიორგი ანჩაბაძე მეტოქეთა გარემოცვაში.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

## ჭადრაკი

# ახალი რეიტინგები

ფიდემ გამოაქვეყნა რეიტინგები 2000 წლის 1 იანვრისათვის. ვაჟ მოჭადრაკეთა ასეულს 2851 პუნქტით კვლავ გარი კასპაროვი უდგას სათავეში. ასეულში ამჯერად ორი ქართველი მოჭადრაკეა: ზურაბ აზმაიფარაშვილი, რომელსაც მე-19 პოზიცია უკავია, და ზურაბ სტურუა – 98-ე ადგილი. ქალთა შორის მაია ჩიბურდანიძემ მეორე ადგილზე გადაინაცვლა. მას მხოლოდ იუდით პოლგარი უსწრებს. მე-10 მაჩვენებელი აქვს ნანა იოსელიანს, მე-15 – ნინო ხურციძეს, 33-ე ქეთევან არახამიას, 43-ე – ნონა გაფრინდაშვილს. 20 წლამდე მოჭადრაკე გოგონათა შორის მე-11 ადგილზეა რუსუდან გოლეთიანი, მე-15-ზე – ანა მათნაძე.

გთავაზობთ იმ ქართველი მოჭადრაკეების სიას, რომელთა რეიტინგიც 2400-ს აღემატება.

1. ზურაბ აზმაიფარაშვილი – 2675
2. ზურაბ სტურუა – 2595
3. გიორგი გიორგაძე – 2594
4. გიორგი ყაჭეიშვილი – 2564
5. მაია ჩიბურდანიძე – 2545
6. ელიზბარ უბილავა – 2545
7. ალექსანდრე ღვებუაძე – 2540
8. თამაზ გელაშვილი – 2514
9. გიორგი ბაღათუროვი – 2501
10. გენადი ზაიჩიკი – 2489
11. ლაშა ჯანჯღავა – 2486
12. ნანა იოსელიანი – 2484
13. ხვიჩა სუპატაშვილი – 2479
14. გიორგი ბახტაძე – 2469
15. ნინო ხურციძე – 2464
16. მიხეილ კეკელიძე – 2461
17. დავით ლობჟანიძე – 2448
18. ნიკოლოზ მანაგაძე – 2447
19. ვალერი გაფრინდაშვილი – 2446
20. მიხეილ მჭედლიშვილი – 2436
21. ბადური ჯობავა – 2430
22. ზურაბ იგრიაშვილი – 2425
23. ალექსანდრე ყაშაშვილი – 2417
24. რომან სიჭინავა – 2412
25. ქეთევან არახამია – 2404

## ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

### ფიცარნაგზეა მსოფლიო ჩემპიონი (ნაწილი II)

**ვაგრძელებთ ვარჯიშს მსოფლიო ჩემპიონის გიორგი მინდიაშვილის შესრულებით. წარმოგიდგენთ ამოწევას.**





დაახლოებით ტოლი ძალის მქონე სამჭიდელებიდან, როგორც წესი, გამარჯვებული გამოდის უკეთესი ამოწევის მქონე ათლეტი. ამოწევა დასკვნითი მოძრაობაა და ჩაჯდომასა და აჭიმვაში დაკარგული კილოგრამების კომპენსირების ბოლო შანსს იძლევა. სწორედ ამ მოძრაობას ანიჭებს უპირატესობას გიორგი მინდიაშვილი.

სტარტზე (სურ. 1,2) ათლეტის ხელები დაჭიმულია, ზურგი – გადრეკილი, თავი – გასწორებული. სპორტსმენი იყურება პირდაპირ, მოძრაობა იწყება ფეხებით. ათლეტი იწყებს ადგომას.



როდესაც წონა ასცილდება მუხლებს (სურ. 3), დგება კრიტიკული მომენტი. ამ დროს ფეხები თითქმის გამართულია და მთელი სიმძიმე აწვება წელს. კიდევ ცოტაც და ამოწევა გაიოლდება.



ზურგის, მხრების, ტრაპეციისებრი კუნთებისა და ხელების ძალით ათლეტი აფიქსირებს წონას (სურ. 4). მხრები უნდა იყოს უკან გადაწეული, თავი – გამართული.

სავარჯიშოდ რეკომენდებულია 6-8 მისვლა, 3-3 გამეორებით. ამ მოძრაობას ესაჭიროება წელის სათანადოდ გახურება, რისთვისაც ჩვენი ათლეტები იყენებენ უებარ მალამო „ვიტარაგს“, შეჯიბრებისას კი უპირატესობას ანიჭებენ უფრო ძლიერ საშუალება „ფინალგონს“, რომლის ხშირი გამოყენებაც მიზანშეუწონელია.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**

**ნაზი გოგიშვილის ფოტო.**

## ყოველი მხრიდან

### სენსაცია არ შედგა

მორეულ კალიფორნიის ინდიან-უელსში მიმდინარე დიდი საჩოგბურთო სუპერტურნირების საქმე ფინალამდე მივიდა. როგორც ქალთა, ისე კაცთა ტურნირებმა შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიოს საჩოგბურთო ნაღები მიიზიდა. პირველი კატეგორიის ქალთა ტურნირის საპრიზო ფონდი მილიონ ოთხმოცი ათასი დოლარია, კაცთა ტურნირისა გაცილებით მეტი – 2 მილიონ 950 ათასი დოლარი.

ქალთა ტურნირის ყველაზე დიდი სენსაცია იყო მოსკოველი 18 წლის ქალიშვილის ელენა დემენტიევას ნახევარფინალში გასვლა. რეიტინგით 59-ე რუსეთელ ფინალისაკენ მიმავალი გზა მსოფლიოს მეორე ჩოგბურთელმა, ამერიკელმა ლინდსეი დევენპორტმა გადაუკეტა. ნახევარფინალში სწორედ ისინი შეხვდნენ ერთმანეთს. ამერიკელი ჩოგბურთელი კალიფორნიაშია დაბადებული და, ბუნებრივია, მაყურებელთა უმრავლესობა თანამემამულეს უჭერდა მხარს. დევენპორტმაც გაამართლა გულშემატკივართა იმედი და 47 წუთში გაანადგურა მეტოქე 6:2, 6:1.

მეორე ნახევარფინალში პირველმა ჩოგბურთელმა მარტინა ჰინგისმა სძლია რეიტინგით მეხუთეს – მერი პირსს – 6:4, 6:2.

ისე, რომ ფინალში ძველი მეტოქეები შეხვდებიან. ალბათ, ჩვენი მკითხველები გაზეთის ამ ნომერს რომ მიიღებენ, იქ, შორეულ ამერიკაში ყველაფერი გადაწყვეტილი იქნება.

როგორც უკვე ვწერდით კაცთა ტურნირი, რომელიც იქვე მიმდინარეობს თანდათან დატოვა პლანეტის საჩოგბურთო ელიტის საუკეთესო ნაწილმა. ფავორიტებიდან პიტ სამპრასმა და მაგნუს ნორმანმა მიაღწიეს მეოთხედფინალამდე. მაგრამ წინ ველარ წავიდნენ. სამპრასი ტომას ენკვისტთან დამარცხდა, ნორმანი კი ალექს კორეტხასთან. ნახევარფინალში გავიდნენ, აგრეთვე ნიკოლას ლაპენტი და მარკ ფილიპუსისი.

### აქაც კრამნიკი?

მონაკოში სტარტი აიღო ტრადიციულმა „ქარვის“ მოუ-ტურნირმა 12 დიდოსტატის მონაწილეობით. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ „ბრმა“ და სწრაფ ჭადრაკში. პირველი ტურის შემდეგ ლიდერობს კრამნიკი, რომელმაც დაამარცხა პიკეტი – 2:0. დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა (ფრჩხილებში მითითებულია „ბრმა“ პარტიას შედეგები) ანანდი – ლიუბოევიჩი – 1,5-0,5 (1:0); კარპოვი – ვან ველი – 1,5:0:5 (1:0); შიროვი – ლოტიე – 1,5:0,5 (1:0), გოპალოვი – ივანჩუკი – 1,5:0,5 (1:0), ნიკოლიჩი – ველფანდი – 0,5:1,5 (ყაიმი).

### არის მსოფლიო რეკორდები

საბერძნეთის დედაქალაქ ათენში რუსეთელმა მოცურავემ რომან სლუდნოვმა მსოფლიო ჩემპიონატზე „მოკლე წყალზე“ დაამყარა მსოფლიო რეკორდი. მან 100 მეტრი ბრასის სტილით 58,51 წამში დაფარა. ადრინდელი რეკორდი – 58,79 წამი ეკუთვნოდა ბელგიელ ფრედერიკ დებურგრეივს.

ინდიანა პოლისში კი აშშ სტუდენტურ ჩემპიონატზე ჯორჯიის უნივერსიტეტის ქალთა კვარტეტმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა კომპლექსურ ესტაფეტაში. 4X100. უნივერსიტეტელთა შედეგია 3,57,46 წუთი. ამით მათ დაამხეს შარშან, ჰონგკონგის მსოფლიო ჩემპიონატზე „მოკლე წყალზე“ იაპონელი მოცურავე ქალების მიერ დამყარებული რეკორდი 3,57,62.

### ორმაგი. თანაც სიმბოლური გამარჯვება

ხუთშაბათს ბორმიოში 1999-2000 წლების სეზონის ბოლო სუპერგიგანტში რომ გაიმარჯვა, ავსტრიელმა ჰერმამ მაიერმა მარტო მორიგი პატარა ბროლის გლობუსი კი არ მიიღო (წინა დღეს მან დაშვებაშიც გაიმარჯვა) არამედ ერთბაშად ორი რეკორდი დაამყარა.

მაიერი სამთო მოთხილამურეებში პირველია, ვინც საერთო სათასო ჩათვლაში ათასი ქულა დააგროვა და დიდი ბროლის გლობუსი, რომელიც მან თავის კარიერაში პირველად ახლა 2000 წელს მიიღო, ძალზე სიმბოლურად გამოჩნდა. უნდა ითქვას, რომ 27 წლის მაიერი, ალბათ ამაზე არ შეჩერდება. და იქნებ რეკორდიც გააუმჯობესოს, რადგან გიგანტურ სლალომშიც უნდა გამოვიდეს.

მისი მეორე მიღწევა კი ისაა, რომ მაიერმა სუპერგიგანტის ფინიშთან თავის ძირითად მეტოქეს 1,91 წამით გაუსწრო. ადრინდელი რეკორდი გერმანელ მარკუს ვასმაიერს ეკუთვნის. მან 1986 წელს კანადაში თავის უახლოეს მდევარს ფინიშთან 1,71 წამით გაუსწრო.

ხუთშაბათსვე გამოვლინდა ქალ სამთო მოთხილამურეთა შორის უმაღლესი ტიტულის მფლობელიც. ის თავის კარიერაში პირველად მოიპოვა 24 წლის ავსტრიელმა რენატა გეტშლიმ.

ასეთი ორი წარმატებით ამ ალპიურმა ქვეყანამ 1969 წლის შემდეგ მსოფლიო თასის საერთო ჩათვლაშიც კვლავ ორმაგი გამარჯვება მოიპოვა. მაშინ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ კარლ შრანცი და ჰერტრუდა გაბელი.

**სპორტის რედაქცია.**

საქართველოს რესპუბლიკა
№74-75. კვირა-ორშაბათი. 19-20 მარტი. 2000 წელი.

# ბოლო გვერდი



## ალბომი

### ყველას რამე აქვს სახსოვარი



მრომით, პატიოსნებითა და უბრალოებით გამოირჩეოდა ჭიათურის ზონის სოფელ თაბაგრებში მცხოვრებ ვანო თაბაგარისა და ანეტა სახეჩიძის დიდი ოჯახი. ცოლ-ქმრის ფოტო, 1943 წელსაა გადაღებული. იმ დროისათვის მათ ათი შვილი და თხუთმეტი შვილიშვილი ჰყავდათ.

დღეს ისინი აღარ არიან, მაგრამ მათ კვალობაზე 150 შთამომავალია.

სურათი მოგვაწოდა სოზარ კუპატაძემ (ჭიათურა).

მკითხველებს შევახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

## ღიმილის დოზა

ცოლებს მხოლოდ ორი გლობალური პრეტენზია აქვთ:

1. ჩასაცმელი არაფერი აქვთ.
2. კარადაში ადგილი არ არის.

* * *

ექიმი ეუბნება მღვდელს:

— რამდენჯერ გაგიმეოროთ, რომ თეთრი და მრგვალი ტაბლეტებია, შავი და კვადრატული — ქანჩებია. თქვენთვის სულერთია, ავადმყოფები კი ჩივიან.

* * *

საპარაშუტო სპორტის ინსტრუქტორი მეცადინეობას ატარებს.

ერთ-ერთი კურსანტი ეკითხება:

— თუ ძირითადი პარაშუტი არ გამეხსნა, არც სათადარიგო, მიწამდე რამდენ ხანს ვიფრენ?

— მთელი დარჩენილი სიცოცხლე.

* * *

მგზავრებით სავსე ავტობუსმა მკვეთრად დაამუხრუჭა და ხანდაზმული კაცი გვერდით მდგომ ქალს მხარში ჩააფრინდა.

— არ შეგიძლიათ სხვა რამეს მოეჭიდოთ?

— გაბრაზდა ქალი.

— არ შემაცდინოთ, ქალბატონო...



* * *

ზოოლოგიურ მუზეუმში:

— იცი, სერიოგა, გული მიკვდება, როდესაც სპირტში ჩადებულ ამ ცხოველებს ვუყურებ!

— რას ამბობ! აქ სამად-სამი ბაყაყია...

— საქმეც ეგაა — სამი ბაყაყია და 10 ლიტრი სპირტია.


# აირზენა

საქართველოს ავიახაზები

ამერიკულ ავიაკომპანია "დელტასთან" ერთად გთავაზობთ სიახლეს

იაფ და საიმედო მგზავრობას

თბილისი-ნიუ-იორკი-თბილისის

მიმართულებით (ათენის გავლით)

ბილეთების შეძენა შეგიძლიათ სააგენტოებში:

"ვორლდ ინტერნეშენალი"-წინანდლის 5 ტ.778811

"ბერიკა"-კოსტავას 14 ტ.932829

"ლევონ თრეველი"- ჭავჭავაძის 20 ტ.250010

სრულდება რეგულარული რეისები:

მოსკოვი, თელავივი, ფრანკფურტი, ათენი, სანკტ-პეტერბურგი, სოჭი, კიევი, ვენა, ტაშკენტი, თეირანი.

ტაშკენტის გავლით: პეკინი, დელი, ბანგკოკი.




ინფორმაციისთვის დარეკეთ:947014, 941268

მიმართეთ ქალაქის ავიასალაროებს

აირზენა — თქვენი საიმედო მეგზური


## ცესკოელები

ლია ქათამაძე, ცესკოს თავმჯდომარის თანაშემწე. ლიას უყვარს კომპიუტერთან ჯდომა და „დიალოგი“ (ეს სიყვარული თურმე კომპიუტერულ თამაშებზე არ ვრცელდება), ავტომობილის მართვა (სურს ჰყავდეს ავტომანქანა, მაგრამ არა აქვს). კიდევ, ჰყვარებია მარტოობა და ტელევიზორით კარგი ფილმების ყურება.

**— ლია, რა ევალება თანაშემწეს?**

— თავმჯდომარის პირადი ფოსტის გარჩევა, მიმოწერის მეთვალყურეობა, სტუმრების მიღების ორგანიზება და შეთანხმება. შეთანხმება ძირითადად უცხოური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრებს სჭირდება. რა თქმა უნდა, ხშირად მოდიან არჩევნებით უშუალოდ დაინტერესებულნი.

**— „უარჩევნებოდ“ თუ აკითხავენ ბატონ ჯუმბერ ლომინაძეს?**

— როგორ არა. აკითხავენ მოქალაქეები თავიანთი გასაჭირით. ფიქრობენ, რომ თავმჯდომარის მაღალი ავტორიტეტი დაეხმარებათ ყოფითი პრობლემების გადაჭრაში. ყველას გულისხმიერად უსმენს და სატელეფონო ზარებით ცდილობს თანადგომას...

**— რაკი ჯუმბერ ლომინაძეზეა ლაპარაკი, კიდევ რა შტრიხებს დაუმატებდით მის პორტრეტს?**

— ცესკოს თავმჯდომარეობა ძნელი, სანერვიულო და, ერთგვარად, უმადური თანამდებობაა; ბატონი ჯუმბერი აქ ჩინებული იმიჯით მოვიდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ იმიჯს არაფერი მოჰკლებია, კვლავ ინარჩუნებს. აქვს ადამიანთა „მოთვინიერების“ უნარი. შეუძლია აგრესიულად, პრეტენზიულად განწყობილი პოლიტიკოსების დაწყნარება. პოზიცია-ოპოზიცია მისი კაბინეტიდან ერთნაირად კმაყოფილი გამოდის.



# მარტოობის 33 წელი

**— ცესკოში კიდევ ვის გამოყოფდით?**

— დიდად დავალებული ვარ თავმჯდომარის მოადგილის — გია ზესაშვილისაგან. საარჩევნო საქმეების ნამდვილი პროფესიონალია. ფაქტობრივად, მან გამზარდა აქაურ სპეციალისტად, ჩემს მამას ეძახდნენ, თუმცა, ასაკით არ ეკუთვნის ჩემი მამობა...

**— მოდით, სწორედ ეს გვიამბეთ, — როგორ „იზრდებოდით“ ცესკოში“...**

— აქ, 7-8 წლის წინათ მოვედი. კომპიუტერზე ხელშეკრულებით ვმუშაობდი. წერილები, ოქმები, მთელი დოკუმენტაცია ჩემს ხელში გადიოდა. ახლა მთელი კომპიუტერული ცენტრი გვაქვს. ისეთი დატვირთვა აღარ მიწევს, მაგრამ მაშინ მიღებული პროფესიული ჩვევების წყალობით, სწრაფ ამკრებად ვითვლები.

**— მგონი იმ ავბედით ხანაში აფხაზეთიც მოიარეთ...**

— ბონდო ქურდაძე თავისი „შანსით“ სოხუმს რომ გაემგზავრა, თან გამიყოლა. კომპიუტერი გვქონდა წაღებული, ფრონტის წინა ხაზზე ვუშვებდით გაზეთს. ერთი თვე დავყავით, 5 თუ 6 ნომერი გამოვეცით. სამშვიდობო ხელშეკრულება რომ დაიდო, სანდრო კავსაძემ წამოგვიყვანა თვითმფრინავით. მერე, მეორე მხარემ ხელშეკრულება დაარღვია და სოხუმიც დაეცა... დაბრუნებული, გია ზესაშვილმა მიმიწვია ცესკოში, შტატში ჩამრიცხა. ალბათ, კომპიუტერზე მუშაობით მოვეწონე.

**— ლია, კურიოზულ შემთხვევას ხომ არ გაიხსენებთ რამეს...**

— არ ვიცი, კურიოზი ეთქმის თუ არა, მაგრამ ეს კი მოხდა, — პრეზიდენტის ხმა ვერ ვიცანი...

**— ბატონ ედუარდს გულისხმობ?**

— დიახ. თავმჯდომარის კაბინეტში მარტო ვიყავი. ტელეფონმა დარეკა და ქალის ხმამ ჯუმბერ ლომინაძე იკითხა. არ გახლავთ-მეთქი. მაშინ თქვენ ელაპარაკეთო. ახლა კაცის ხმამ მოიკითხა თავმჯდომარე. ავუხსენი, რომ ბატონი ჯუმბერი ორიოდე საათის წინათ ჩამოფრინდა მოსკოვიდან და ჯერ არ მოსულა-მეთქი. მერე ვკითხე, — ვინ ბრძანდებით, რა გადავცე-მეთქი. ედუარდი ვარო, მიპასუხა... როგორც მერე გამოირკვა, პრეზიდენტს ასტროფიზიკოსთა აზრი აინტერესებდა იმის თაობაზე, თუ ბოლოს და ბოლოს რომელ საუკუნეს ეკუთვნის 2000 წელი, — ოცდამეერთეს თუ ისევ მეოცეს?

მე ეს დღე არ დამავიწყდება...

ესაუბრა
**თამაზ ებანოიძე.**

## ფიქრები

# ექიმი და მწერალი

ხშირად თქმულა, ადამიანს სიცოცხლე ერთხელ ეძლევაო. სიცოცხლესთან ერთად ცხოვრების ნიჭიც გვაქვს მომადლებული. ეს ნიჭი გონიერულად და შინაარსიანად უნდა გამოვიყენოთ.

ცხოვრება მოულოდნელობითაა სავსე. მარადიული ბედნიერება ამ ქვეყნად არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ბედნიერი წუთები, დღეები, პერიოდები და მომენტები. რაც უფრო ადრე შეიგნებს ამას ადამიანი, მით უფრო ბედნიერი იქნება. ბედის მადლიერი რომ იყო, ჯანმრთელობა უნდა გქონდეს უპირველეს ყოვლისა, რაც ღვთითმომადლებულ ნიჭთა გამოვლენის საშუალებას მოგვცემს. ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია. ეს ორი ფენომენი განუყოფელია.

ცხოვრების ცოდნა, დაკვირვება, ადამიანის სულში წვდომის უნარი, გულისხმიერება და სათნოება — აი, რა ზნეობრივ მერიდიანზე იკვეთება ექიმისა და მწერლის პროფესიული, მორალური და მოქალაქეობრივი ინტერესები. ექიმის საქმიანობა არსებითად დაკვირვებაა და შინაგან არსში წვდომა...

მარტოოდენ თანამედროვე მედიცინის საშუალებებისა და მეთოდების რთული სამედიცინო აპარატურის ცოდნა ადამიანის განსაკურნავად საკმარისი როდია. ექიმმა კეთილი სიტყვით უნდა გაამხნევოს პაციენტი, უნდა გაითავისოს მისი ტკივილი, გულითადი მონაწილეობა მიიღოს მისი ყველაზე სანუკვარი სურვილის — ჯანმრთელობის შენარჩუნებაში.

სწორედ მადლიანი საქმიანობის შედეგია მრავალი ათასი გადარჩენილი სიცოცხლე, რაოდენ თვალსაჩინოც არ უნდა იყოს მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევები, ექიმის ჰუმანიზმი, მისი მზადყოფნა მთელი ძალები მოახმაროს ავადმყოფის გადარჩენას, მუდამ იყო და დარჩება მედიკოსის საღვთო მოწოდებად, ჰიპოკრატეს ფიცისადმი ერთგულების უმაღლეს გამოვლენად. ექიმის საქმიანობაში თითქმის მუდამ ორგანულად ერწყმის ერთმანეთს მოქალაქეობრივი, ზნეობრივი და პროფესიული მომენტები. „და მაინც, თუ გავხდები ავად, მივმართავ რომელიმე მოხუც ექიმს, იგი ალმაცერად შემომხედავს, გამისინჯავს მაჯას და გულს, შემდეგ ჩაახველებს, ყალიონს გააბოლებს, ნიკაპს მოისრესს და უფრო კარგად რომ მომარჩინოს, გამიღიმებს“..

„ცხადია, მე ქედს ვიხრი მეცნიერების წინაშე, მაგრამ მე ქედს ვიხრი ადამიანური სითბოსა და სიბრძნის წინაშეც“ — ეს სენტ-ეგზიუპერის აზრია.

ის ექიმი, ვინც მაღალ დონეზე შეძლო პროფესიის დაუფლება, მაგრამ საექიმო ეთიკის ნორმები უგულებელყო, ვერ მოიპოვებს საზოგადოების პატივისცემას. ხალხმა ყოველთვის კარგად იცის გამოჩენილ მკურნალთა როგორც პროფესიული, ისე პიროვნული თვისებები და არ პატიობს მას ზნეობრივ-ეთიკური ნორმებისადმი გულგრილობას. ავადმყოფისა და ექიმის ურთიერთობის მოწესრიგება, ამ სფეროში სინათლის შეტანა ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. არც ექიმი და არც მწერალი არ შეიძლება უკეთური იყოს, ბუნებით პოეტი ადამიანი ხომ სიკეთისა და მგრძნობიარობის განსახიერება გახლავთ.

ანდრე მორუა ამბობდა: „მედიკოსის შრომა შეიძლება შევადაროთ ბრძოლას სიცოცხლისათვის. ამ ბრძოლაში ჩვენი პროფესიული ბედნიერება და მოვალეობა ავადმყოფის სიცოცხლის შენარჩუნებაა. ადამიანის მკურნალობა ხელოვნება კი არ არის, მძიმე ჯვარის ზიდვაა. ექიმობა მხოლოდ პრესტიჟული პროფესია არ გახლავთ, ექიმობა უმძიმესი ტვირთია და პასუხისმგებლობა“.

მართალია, სახელმწიფო ვალდებულია, სათანადო დონეზე უფასოდ მოემსახუროს მოქალაქეებს, მაგრამ საკუთარი გამოცდილების ჯარნახით შემიძლია განვაცხადო — უფასო მომსახურება პაციენტს გაცილებით ძვირი უჯდება.

მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსებით შეუძლებელია სრულყოფილად გამოკვლევისა და მკურნალობის წარმართვა, ამიტომაც უფასო საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების კეთილმოწყობის დონე უკიდურესად დაბალია, ავადმყოფს მკურნალობს ექიმი — მართალი, მგრძნობიარე პროფესიონალი, ექიმობა იყო, არის და ყოველთვის იქნება ადამიანისთვის ერთ-ერთი ყველაზე საჭირო პროფესია...

„რა მომხიბლავი და მიმზიდველი ჩანს მწერლის ცხოვრება და მოღვაწეობა, არადა, მისი შრომა ჯოჯოხეთური საკანჯველია!.. მწერლის შრომის მემსუბუქებას ვერავითარი მექანიზაცია და ავტომატიზაცია ვერ შეძლებს. ერთმანეთის პირისპირ მხოლოდ შენ და სამყარო ხართ, რომელმაც შენს გულსა და გონებაში უნდა გაიაროს...

როგორ გინდათ თქვენ გადაიხადოთ ის ფასეულობა, რაც ღირს, მაგალითად, გალაკტიონ ტაბიძის ერთი კარგი ლექსი, რომელზეც უკვე სამოცდაათი“ წელია იზრდება თაობები?!“

ეს სიტყვები ამოწერილია ცნობილი ქართველი მწერლის თენგიზ ბუაჩიძის წიგნიდან — „მცირე პროზა“. კიდევ ბევრის ამოწერა შეიძლება, მაგრამ მსჯელობისათვის ესეც კმარა.

მართლაცდა, მწერალი ადამიანის სულის დიდებული მკურნალია, სანამ მწერლობის სიყვარული იარსებებს ქვეყანაზე, მანამ ექიმის სიყვარულიც იქნება. ექიმის მსაჯული ხომ თვითონ ავადმყოფია, მწერლის მსაჯული კი მისი უდიდებულესობა — მკითხველი.

**ოთარ თოლორაია.**

## კროსვორდი



თარაზულად: 7. მოუმზადებლად, სახელდახელოდ თქმული ლექსი. 8. შორეული ნაოსნობის დიდი საოკეანო გემი. 9. ყოფილი ქართული საესტრადო ანსამბლი. 12. უმაღლესი სასწავლებლის განყოფილება, რომელზედაც ასწავლიან გარკვეულ მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებს. 13. ქართველი ბალერინა. 15. ფოთლიანი ტოტებით გადახურული გრძელი კარავი. 16. ქალაქი იაპონიაში. 17. ოთხსიმიანი ხემიანი საკრავი. 20. მთავრობის წევრთა, მინისტრთა ერთობლიობა ზოგიერთ ქვეყანაში. 22. ქალაქი მდინარე ყუბანის მარცხენა ნაპირზე. 24. შუა საუკუნეების პოპულარული ჰაგიოგრაფიულ-მორალური ხასიათის სასულიერო რომანი. 27. მჭევრმეტყველების თეორია. 29. სპეციალური დახრილი ფიცარი ნოტების დასადებად. 30. უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო პირების, დიდებულების საპატიო ტიტული ძველად ოსმალეთში, ეგვიპტეში და ზოგ სხვა მუსლიმანურ ქვეყანაში. 32. ქალ-ვაჟის სალონური ნელტემპიანი ცეკვა. 33. ფრანგი სცენარისტი, კინორეჟისორი და მსახიობი. 36. საქართველოს მეფის გიორგი III-ის მეუღლე, თამარ მეფის დედა. 37. საგანგებო სასამართლო. 38. მწვერვალი ცენტრალური კავკასიონის მთავარ ქედზე. 39. რაიმე იდეის სიმბოლოდ გამოყენებული საგანი ან საგნის გამოსახულება. 40. სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც გამოყოფილია კონკურსზე, გამოფენასა და მისთანებზე პრემიების, ჯილდოების მისანიჭებლად.

შვეულად: 1. შოკოლადის ხე. 2. ქალის სამკაულები არაძვირფასი ქვებისა და ლითონისა. 3. სხვა ქალაქიდან ან სხვა ქვეყნიდან ჩამოსული მსახიობის ან მსახიობთა კოლექტივის გამოსვლა. 4. კომპოზიტორ ჯ. ვერდის ოპერა. 5. მეცნიერება ამა თუ იმ ენის აგებულების შესახებ. 6. ცნობილი ქართველი მესტვირე. 10. მოქმედი ვულკანი იტალიაში. 11. წერილობითი თხოვნა, საჩივარი ძველად. 14. ქართველი კომპოზიტორი. 18. მარადმწვანე დეკორატიული მცენარე. 19. მთავარი მსაჯი (სპორტ). 21. რაიმე გზის დისტანციის ცალკეული მონაკვეთი, უბანი. 23. ფურცელი, ქაღალდი, რომელზედაც საჭმელ-სასმელის სიაა ჩამოწერილი ფასების აღნიშვნით. 25. საცხენოსნო შეჯიბრების ველომოტო-ავტო გადარბენის და მისთ. ხელმძღვანელი. 26. მანძილი სტარტსა და ფინიშს შორის, მოძრავ მანქანებს შორის და სხვ. 28. სიტყვა, რომელსაც სხვა სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობა აქვს. 29. იმ ნომრების, ნაწარმოებთა ერთობლიობა, რომელიც სრულდება კონცერტზე, ცირკში და სხვ. 31. წყლის სადენი საგანგებო თხრილი. 33. რაიმე მოქმედების, სიტყვის, საგნის აკრძალვა პირველყოფილ ხალხებში. 34. იგივეა რაც სია. 35. ფრანგი კინორეჟისორი, „დრამატურგი, პოეტი და მსახიობი, დამდგმელი ფილმისა „უკანასკნელი მილიარდები“.

შეადგინა
**ციალა ამაშუკელმა.**

### 12-13 მარტს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. სკაფანდრი. 4. თოხანი. 5. სალონი. 7. ბორტი. 9. ტური. 10. რალი. 12. ანთრაციტი. 13. ლიბია. 15. პრიმატივი. 18. მუმია. 20. ატაშე. 21. კურსი. 23. სუსხი. 25. რუმბა. 26. აფრა. 27. შერი. 29. აკაჟუ. 30. ალუჩა. 31. ილორი. 32. ქვაბი. 33. იონჯა. 36. იმუნიტეტი. 39. იმიჯი. 42. კლავესინი. 45. იარა. 46. ლუკი. 47. იდენი. 48. არშინი. 49. თეზისი. 50. ალიზარინი.

შვეულად: 1. სირია. 2. ატრია. 3. ისარი. 4. თაბახი. 6. იარუსი. 7. ბოთლი. 8. იდიში. 9. ტირი. 11. იგლუ. 13. ლაბირინთი. 14. აპარატურა. 15. პრეპარატი. 16. იორი. 17. ალღო. 18. მასკარადი. 19. ამაშუკელი. 20. არმია. 21. ბორტი. 22. იმედი. 24. ილაჯი. 29. მორი. 34. ოქტავა. 35. ჯაზი. 37. ურანი. 38. ედილი. 40. მალი. 41. ჯირითი. 42. კაფია. 43. ეშერა. 44. ილეთი.

## გახსენება

### გიორგი არეშიძე



უკვე წელიწადი გავიდა, რაც ჩვენს გვერდით აღარ არის გამორჩეული ქართველი კაცი, საზოგადოებრივი მუშაკი, უსაყვარლესი პიროვნება, ღვაწლმოსილი პედაგოგი, ისტორიკოსი, შრომისა და ომის ვეტერანი **გიორგი ვლადიმერის ძე არეშიძე.**

სამოცდაოთხი წელი იმუშავა ბატონმა გიორგიმ დაუღალავად. წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის 55-ე და მე-17 საშუალო სკოლებში. იყო საბურთალოს რაიონის განათლების განყოფილების ისტორიის მთავარი სპეციალისტი, განათლების სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს წევრი, გამოქვეყნებული ჰქონდა რამდენიმე მეცნიერული ნაშრომი ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის საკითხებზე. იყო ერთ-ერთი მოწინავე პროპაგანდისტი. მისი სახელი შეტანილია თბილისის საქალაქო კომიტეტის საპატიო წიგნში. ნაყოფიერი მუშაობისათვის მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები, საზოგადოება „ცოდნის“ საპატიო სიგელი.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, სიცოცხლის ბოლომდე, ენერგიულად და ნაყოფიერად მუშაობდა. მას კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო თავისი საყვარელი ახალგაზრდებისათვის.

გიორგი არეშიძის ხსოვნა მარად დარჩება ახლობლების, კოლეგებისა და ყოფილი მოწაფეების გულში.

**ოჯახი, მეგობრები.**

---

მეუღლე ევგენია, შვილები ომარი, ინა, ბადრი, შვილიშვილები ანანო, ვიქტორია, ვალოდია, ლანა, თეონა სამსონაძეები, რძლები ლამარა ჯაბახიძე, ნანა შარაშენიძე, სიძეები დიმიტრი გუკაევი, ნიკა ჯავახიშვილი, შვილთაშვილი ლუკა, ძმისწულები გივი, ნელი სამსონაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვლადიმერ არისტარხის ძე სამსონაძე

პანაშვიდი 19, 20 III, 5 სთ. დაკრძალვა 21 III, 2 სთ. ვაჟაფშაველას 8. I სადარბაზო.

---

შვილები თინა, დავით, შვილიშვილები თაკო, ვათა ალავიძეები, ელენე, მაკა, გიორგი ბერძენიშვილები, რძალი მარიკა კაშიბაძე, სიძე გოგი ბერძენიშვილი, ძმისწული ნელი ინჯგია, დისწულები კლარა, ირა, აბელ ფეტელავები, მძახლები ელენე ჩიხლაძე, ქორჟი კაშიბაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლუბა დიმიტრის ასული ინჯგია-ალავიძე

პანაშვიდი 21, 22, III, 5 სთ. გამოსვენება 23, III, 3 სთ. კანდელაკის ქ. №10. ბინა 27.

---

მეუღლე სოფიკო ანდღულაძე, შვილები ანა, დათო თევზაძეები, დედა ზეფირა უზნაძე, მამა ჭოლა თევზაძე, და მაია თევზაძე, სიძე ზურაბ ჩიჩუა, ცოლისდები ნონა, მანანა ანდღულაძეები, ქვისლები ბეგლარ მახარაშვილი, თამაზ კვირკველია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მამუკა ჭოლას ძე თევზაძე

პანაშვიდი 19, 20, III, 4 სთ. გამოსვენება 21, III, 3 სთ. ვესტაფონის ქ. №5 I სად. V სართული.

---

სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობა და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პოლკოვნიკი

ელგუჯა შოთას ძე ჭოხონელიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



## ტელევიზია — კვირა, 19 მარტი

10.00 „დილის პაემანი“ 11.30 „საკვირაო გამოფენა“ 11.40 „ნამდვილი ამბები“ 11.50 „ბეტმენი ბრუნდება“ 13.55 „ფან-კლუბი“ 14.15 „გვაქვს უთვალავი ფერითა“ 14.35 „უჩარჩოოდ“ 14.55 რაგბი. ერების თასის გათამაშება. საქართველო - ჰოლანდია. შესვენებისას „ვესტნიკი“ 16.40 „ბუნების კარი“ 17.15 „რეგიონი“ 17.35 „სპა“ 18.00, 00.00 მოამბე 18.15 „ენერგია“ 18.30 „ნაციონალური ბალეტი“ 18.50 „კამერა ობსკურა“ 19.05 „რეიტინგი“ 19.20 „ტოტო-ლოტო“ 19.25 „ჩვენი მისამართია“ 20.00 „ტაიმ-აუტი“ 21.00 „ფორტუნა“ 21.40 „გალა“ 22.30 „დიდების ზღაპარი“ 23.00 შეხვედრები მაჩაბლის ქუჩაზე 23.35 „2X2=4“ 00.00 „მოამბე“ 00.20 „ჯემი“ 00.50 „სერაფინო“.

19.00 კვირადღე: კინოფანტაზია 19.05 „ბინძური პატარა საიდუმლო“ 20.35 სუპერმატჩი, კინოფანტაზია 21.00 სტუმარი 21.20 შვიდეული 21.45 „მატრიცა“ 23.50 ღამის ქალაქი 00.10 ჰიტ-პარადი.

08.00 კლასიკა 09.00 კურიერი 09.15 მულტსერიალი 10.00 საბავშვო ფილმი 11.30 მუსიკა 11.40 „ალფი“ 12.10 „სიმფსონები“ 12.30 მხ. ფ. 13.15 15.15 დოკ. ფ. 18.00, 00.20 კურიერი 18.12 აკუნა მატატა 19.10 „ალფი“ 19.40 სპორტული პროგრამა 20.05 „სიყვარულის ერთგულება“ 21.00 60 წუთი 22.05 „კაბარე“ 00.30 კლასიკა.

იბერია

09.00, 19.00, 22.00, 00.50 ახალი ამბები 09.10, 21.50 „ალსავალი“ 09.20 „ოვაცია“ 09.25, 18.00 ნახ. ფ. 09.30, 12.45, 13.20, 18.25, 19.20 მუსიკალური ტალღა 09.50 „ცხოველთა სამყარო“ 09.55 „ფარული კამერა“ 10.05, 12.50 დოკ. ფ. 10.45 „ფერფლი და ალმასი“ 13.30, 18.30 დოკ. ფ. 19.50 „უკანასკნელი კინოგმირი“ 22.30 „დამოუკიდებლობის დღე“ 00.00 „ნოსტალგია“ 00.05 „ბნელი ისტორიები“, „ოვაცია“.

12.00 „ასინხრული იმედები“ 13.45 მუსიკა 15.00 „გადამწყვეტი რაუნდი“ 16.20 მულტფილმები 17.30 ქადაგება 18.00 „სპორტი, სპორტი, სპორტი“ 19.00 „პატარა შვილი“ 20.30, 00.00 „დღეს“ 21.00 „ვარსკვლავები“. 22.00 „გველეთების დრო“.

ევრიკა 11.00 ცისკრის ზარები. 11.05 ქართული მულტფილმები 11.30 დოკ. ფ. 12.00 ლოცვა 12.03 „თეატრალური შეხვედრები“ 13.15 „ალავერდობა“ 14.05 დოკ. ფ. 15.00 ლოცვა 15.03 ქართული საგალობლები 15.45 დოკ. ფ. 16.35 „თბილისი-პარიზი-თბილისი“ 18.00 ლოცვა 18.05 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ქადაგება 18.15 საეკლესიო კალენდარი 18.30 საუბრები ბიბლიაზე 20.00 საბავშვო გადაცემა 20.30 იქ, სადაც სიყვარულია 21.00 დოკ. ფ. 21.30 „მხიარული სალონი“ 22.15 თბილისური ოჯახები 23.00 „დაგვიანებული სასიძო“.

08.00, 17.40 „ტონიკი“ 08.15 „ჯარისკაცის ქალიშვილი არასოდეს ტირის“ 10.35, 13.00, 19.45, 21.45, 00.20 კლიპ-მიქსი 11.00 „ძველი, ძველი ზღაპარი“ 17.00 მულტფილმები 18.00 „სიმართლე ძაღლებსა და კატებზე“ 20.15 „რიცში“ 22.15 „გადაურჩე სიკვდილს“ 00.50 მხ. ფ., დასასრულს ნონ-სტოპი.

09.00 საინფორმაციო პროგრამა 09.15, 21.00 მუსიკა 09.25 მულტფილმი 09.55 „თავისუფალი მიკროფონი“ 10.30 გადაცემა „ბელისიმო“ 11.00 დოკ. ფ. 11.30 „ცუდი ბიჭები“ 13.00, 18.50 „დისკავერი“ 18.00 საინფორმაციო პროგრამა 18.15 მულტფილმი 20.30 საინფორმაციო პროგრამა 21.20 დოკ. ფ. 22.10 „ქართული მთამსვლელობის ქრონიკები“ 22.30 მხ. ფ. 00.00 საინფორმაციო პროგრამა 00.15 „დედალი ძრელა“.

08.00, 17.00 მუსიკა 08.30, 20.50 „ზღაპარ იყო...“ 08.35, 19.20 მულტფილმები 09.00, 19.00, 23.00 დალალი 09.20 მხ. ფ. 17.30 მხ. ფ. 21.00 კალათბურთი. ეროვნული ჩემპიონატი 22.00 ანალიტიკური პროგრამა „რაკურსი“ 23.30 იტალიის ჩემპიონატი.


გამოიწერეთ, შეიძინეთ, იკითხეთ გაზეთი

„საქართველოს რესპუბლიკა“

შეგახსენებთ, რომ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოწერა ერთი თვით 15 ლარი ღირს (დედაქალაქში), 15,6 ლარი — რეგიონებში; სამი თვით, შესაბამისად, — 45 და 46,8 ლარი; ექვსი თვით — 90 და 93,6 ლარი. გაზეთის ინდექსია 66434.


რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**


საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ანზორ ბასილაია, ზურაბ ვოზიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქოზულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები — „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.